ISSN 0206—569X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ეკონომიკისა და
საქართველოს
სერია

3 . 1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, № 3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და სამართლის სერია

СЕРИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

3. 1987

გამომცემლობა „მეცნიერება“ • თბილისი
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦИИЕРЕБА» • ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь **А. Л. Шенгелия**

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1987, № 3

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 **телефон**

გადაეცა წარმოებას 11.6.87; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.8.87; შეკვ. № 2098; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,5; სააღრიცხვო-სგამმცემლო თაბახი 5,1; სღ.-გატარება 9,9; .უე 04549; ტირაჟი 920;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ილია ჭავჭავაძე — 150

ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური კონცეფცია . . 5

ი. ასათიანი, ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი . . 16

ტ. სართანია, ილია ჭავჭავაძე სტატისტიკის შესახებ 29

ა. სტეფანიშვილი, ილია ჭავჭავაძე საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ 40

დ. ფურცელაძე. გლახა ჩრიაშვილი და სხვანი... 48

თ. ნინიძე, ცოცხალი ხატი ლირსებისა 63

გ. ნადარეიშვილი, ილია ჭავჭავაძის ერთი პოლემიკური წერილის გამო . . . 72

პოლემიკა, რეცენზია, ინფორმაცია,

„ჭრგვალი მაგიდა“.
ქამათი პოლიტიკური ეკონომიკის აქტუალურ თემაზე 79

აქტუალური პრობლემის პოლიტეკონომიური ანალიზი 99

საერთაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი 102

ეროვ. ბიბ. კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ — 150

Гагоидзе В. А. Философско-социологическая концепция Ильи Чавчавадзе . 5

Асатиани И. Э. Илья Чавчавадзе и Тбилисский грузинский поземельный банк 16

Сартания Т. Ш. Илья Чавчавадзе о статистике 29

Степанишвили А. Д. Илья Чавчавадзе о развитии виноградарства и виноделия в Грузии 40

Пурцеладзе Д. Л. Глаха Чриашвили и другие... 48

Нинидзе Т. Г. Живой образ достоинства 63

Надарейшвили Г. Н. Об одной полемической статье Ильи Чавчавадзе . 72

Полемика, рецензия, информация

«Круглый стол»
Дискуссия по актуальной теме политической экономии 79

Политэкономический анализ актуальной проблемы 99

Международное научно-координационное совещание 102

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გაგოიძე

ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური კონცეფცია

საქართველოს ისტორიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარი მნიშვნელოვანია არა მარტო გარდაქმნებითა და ცვლილებებით ეკონომიკური, მატერიალური ცხოვრების სფეროში, არამედ განსაკუთრებით იმ დიდი აღმავლობით, რომელიც ეროვნების განვითარებაში მოხდა. შეიძლება მეტიც ითქვას. ამ პერიოდში მძლავრად ფეხადგმულმა გონებრივმა მოძრაობამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში დიდი როლი შეასრულა ფეოდალური ეკონომიკური სისტემის რღვევისა და კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრების დაჩქარებაში. საქართველოში ამ ახალი მოძრაობის მოთავეები გახდნენ ქართველი სამოციანელები, რომლებმაც ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ჟურნალში „საქართველოს მოამბე", ჩამოაყალიბეს თავისი სამოქმედო პროგრამა და ძველის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპები. ქართველი სამოციანელების აღიარებული ბელადი, გახდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც საქართველოში შემოიტანა, დაამკვიდრა და თავისი ქვეყნის პირობების შესაბამისად განვითარა რევოლუციური დემოკრატიზმი. მან დიდი თეორიული და პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობა გაშალა საქართველოს დაყენებისათვის განვითარების გზაზე იმ კოსერვატიზმისა და უძრაობის დასაძლევად, რასაც ყველა საშუალებით ამართლებდა და იცავდა დრომოჭმული თავადაზნაურული კლასი და მისი იდეოლოგია. ქართველი სამოციანელების წინაშე უპირველესად ყოვლისა ორი პრობლემა დადგა: დაძლეული ყოფილიყო სოციალური მონობა და ეროვნული მონობა, როგორც პროგრესის გზაზე ქვეყნის დაყენების აუცილებელი პირობა. ამიტომ მთელი მათი თეორიული მოღვაწეობა ქვეყნის სოციალური და ეროვნული მონობის პრაქტიკულად დაძლევის სამსახურში ჩადგა. ბუნებრივია ეს პრობლემები განსაზღვრავდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამან განაპირობა, რომ მისი მრავალმხრივი თეორიული საქმიანობა ყოველთვის პრაქტიკული მიზნებასახულობისა იყო, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ დასმული საკითხების ახსნას და მათი გადაჭრის გზების ძიებას ემსახურებოდა. ამით აიხსნება, რომ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური მოსაზრებები განვითარებულია არა სპეციალურ ტრაქტატებში, არამედ მისი თანამედროვე ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე მსჯელობასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების გაარჩევასთან დაკავშირებით, რაც ბუნებრივად აერთიანებს მისსავე სოციოლოგიურ თვალსაზრისთან.

მიუხედავად ასეთი თავისებური მდგომარეობისა, ილიას მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში მაინც გამოიკვეთა ის ძირეული ფილოსოფიური პრობლემები, რომლებზე გაცემული მისი პასუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხები ერთიან ფილოსოფიურ კონცეფციას ქმნის. ეს კონცეფცია, რომელიც განვითარების პრინციპს ეფუძნება და თავისი არსებით მატერიალისტური, განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას, მის სოციოლოგიურ, ესთეტიკურ, ეთიკურ შეხედულებებს, დამოკიდებულებას რელიგიასთან, მის სოციალურ მრწამსსა და პოლიტიკურ იდეალებს.

* * *

ილია ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ადამიანის დამოკიდებულება. უმთავრესად ამ დამოკიდებულებაში დასტურდება მისი მატერიალისტური პოზიცია. ამ პოზიციიდან ებრძვის იგი იმ კონსერვატიული და მოლიბერალო თავადაზნაურობის მსოფლმხედველობას, რომლებიც ბუნებასა და საზოგადოებას ღვთაების ნამოქმედარად თვლიდნენ და განსაკუთრებით კი მის სუბიექტივისტურ ფრთას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის გრძნობებში ის კი არაა გამოსახული რაც თვითონ ბუნებაშია როგორც მისი აუცილებელი თვისება, არამედ, პირიქით, ბუნებაში მათი გრძნობებია გამოსახული. მათთვის „გარეგანი ბუნება არ არსებობს, — წერდა ილია, — და თუ არსებობს იმათ ხელში ის წმინდა სანთელივით ლბილია. იმას გამოსახავენ ზედ, რაც თვითონ უგრძვნია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი“[1]. ილიას აზრით, თვითონ ადამიანიც ბუნების ნაწილია და იმით განსხვავდება „უტყვის ბუნებისაგან“, რომ იგი „მეტყველი ბუნებაა“. და რაკი ასეთი განუყოფელი კავშირი არსებობს ბუნებასა და ადამიანს შორის, მაშინ ცხადია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებაც ბუნების გაგრძელებაა. ამიტომ მსგავსად ბუნებისა საზოგადოებრივი ცხოვრებაც ობიექტური პროცესია, რომელსაცა აქვს თავისი განვითარების კანონები და მამოძრავებელი ძალები. „ცხოვრება თვითრჯულია, — წერდა ილია, — იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან ზოგონილ რიკრიკაზედ... თუმცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავისთავად ახლდება და ჰყვავის“[2]. და სწორედ ეს „თვითრჯული“ ცხოვრებაა, ილიას აზრით, ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა აზრებს, **გრძნობებს, წესებს, ჩვევებს,** რის გამოც „ყველა ესენი ცხოვრების გამოხატველნი არიან“, ის ადამიანთა მატერიალური ურთიერთობა და მატერიალური მოღვაწეობაა, წარმოებაა, რომელიც მით უფრო სწრაფად განვითარდება, რაც უფრო მწარმოებელი განთავისუფლებული იქნება მონობისაგან და თავისუფალი შრომის შესაძლებლობა მიეცემა.

სამოციანი წლებიდან დაწყებული, ილია არაერთხელ უბრუნდება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ საზოგადოების განვითარება დამოკიდებული არ არის არც გეოგრაფიულ გარემოზე და არც სხვა ფაქტორებზე მისი მთავარი მამოძრავებელია შრომა და მატერიალური წარმოება. ამას ნათლად აჩვენებს იგი შოტლანდიელისა და სპარსელის შედარების მაგალითზე, რომელთაგან პირველს გარს არტყია მკაცრი და ღარიბი, მეორეს კი მდიდარი და რბილი ბუნება. მაგრამ შოტლანდიელი თავისი დაუღალავი შრომის შედეგად „არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, სპარსელი კი გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხილი და გათელი-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 459.
2 იქვე, გვ. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. ერთი იმედით აღსავსე, სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინგადადგმა ძლევამოსილებაა ხვალისათვის, მეორე სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობიანად გატარებულ დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი სულით და ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე სულითაც და, ხორცითაც დალეგაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხეია და მდიდარი"[3]. ასე რომ მთავარია შრომა და ის უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ შრომასა და წარმოებას.

საზოგადოების განვითარებაში მატერიალური წარმოების განმსაზღვრელ როლს ილია უფრო აკონკრეტებს ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ის უფრო ღრმად ეცნობა მოძღვრებებს საზოგადოების განვითარების შესახებ და მათ შორის კ. მარქსის ეკონომიკურ მოძღვრებასაც. მისი აზრით, იქ სადაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრება განუვითარებელია, სადაც მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი ადამიანი მგელსავით პირღია დაიარება და საშუალება არა აქვს სხვა რაიმეზე იზრუნოს გარდა ჭამა-სმისა, მას არც დიდებული აზრები და გრძნობები გაუჩნდება, ანუ როგორც ილია იტყვის „ჭამა-სმის გარეთაც სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლეს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს". იმისათვის რომ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩნდეს ინტერესი და მოთხოვნილება მაღალი იდეებისა, მას დაკმაყოფილებული უნდა ქონდეს თავისი მატერიალური მოთხოვნილებები, რასაც მხოლოდ განვითარებული მატერიალური წარმოება უზრუნველყოფს. „დღეს ყველამ იცის, — წერს ილია, — რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინ და გარეთ დამოკიდებულებისა... ეკონომიკური ძალღონიერებაა ერისა"[4]. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს განვითარებაც შეუძლებელია მატერიალური წარმოების გაძლიერების გარეშე და ამის შეგნებითაა გამოწვეული, „რომ დღეს თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, რომ აჭამომდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენს საზოგადოებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკურ ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძებოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა, აქ უნდა გავისარჯოთ და ვიამაგოთ"[5].

როგორც აქედან ჩანს, ილიას ეჭვი არ ეპარება, რომ ცხოვრების საფუძველი მატერიალური წარმოებაა, რომელზედაც აღმოცენდება ადამიანთა სულიერი ცხოვრება. საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებადაც ის მიაჩნია მას, რომ იგი მატერიალური და სულიერი მხარეების ერთობლიობაა და ვერ იარსებებს თუ ან ერთი არ იქნა ან მეორე. „ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის, — წერს ილია. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა... მეორე-მოსაქმე...[6]. ამ ორი მხარის დამოკიდებულებაში განმსაზღვრელია მოსაქმე ანუ მატერიალური ცხოვრება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა გონებრივ მოღვაწეობასა და საქმიანობას. გონების ამოცანაა თავზე დასტრიალებდეს ცხოვრებას, ახსნიდეს მას და დაადგენდეს მისი განვითარების კანონებს, რომლებიც ისევე ობიექტურია როგორც ის მატერიალური ცხოვრება, რომლის

---

3 ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. VI, 1956, გვ. 8.
4 იქვე, ტ. VII, 1956, გვ. 31.
5 იქვე, გვ. 9.
6 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 204.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონებსაც ისინი წარმოადგენენ. ამიტომ კანონები ცხოვრებაში გარედან კი არ შეიტანებიან, როგორც ამას ქადაგებდა ილიას დროს გავრცელებული ბეგრი ფილოსოფიური თეორია. პირიქით, ილიას აზრით, ცხოვრება „თვითრჯულია". ამიტომ „თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა"[7]. ადამიანის გონებამ უნდა შეიმეცნოს ცხოვრება, აღმოაჩინოს ეს მისი ობიექტური კანონები და მათზე, ამ კანონებსა და პრინციპებზე დაფუძნოს მეცნიერება. რომელიც „სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა". აზროვნება, გონებითი ძალა სწორედ მეცნიერების საშუალებით ზემოქმედებს ცხოვრებაზე. იგულისხმება, რომ ობიექტური სამყაროს შემეცნების შედეგები მეცნიერული დებულებების სახით, საშუალებას აძლევს ადამიანებს ზემოქმედება მოახდინონ ცხოვრებაზე, დაიჩქარონ მისი განვითარება, უფრო მრავალმხრივი გახადონ სამოღვაწეო ასპარეზი. ამიტომ ამბობს ილია, რომ „რაც ცნობაშია მოყვანილი, რაც დამტკიცებულია, მხოლოდ იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა, ცხოვრებასა... ეგრე ცხოვრებისვე მოღებულსა, ცხოვრებავე მიიღებს ხოლმე, ეგრე ცხოვრებისაგან აღმოსულნი, მეცნიერების სიცხოველით ნაყოფად მოწეულნი, ისევ ცხოვრებასვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის"[8].

ცხოვრებისა და ცნობიერების დამოკიდებულებას მრავალმხრივ ანალიზებს ილია და კატეგორიულად აღნიშნავს, რომ ამ დამოკიდებულებაში განმსაზღვრელი მატერიალური ცხოვრებაა, მაგრამ თავის მხრივ ცნობიერებაც ზემოქმედებს ცხოვრებაზე, თუნდაც მეცნიერებისა და ხელოვნების საშუალებით, რომლებიც გაცნობიერებული ყოფიერების სისტემას წარმოადგენენ. ცხოვრებაზე ცნობიერების უკუზემოქმედების ფუნქციის გარეშე, ცნობიერების არსებობას აზრი არ ექნებოდა, ფიქრობს ილია, ვინაიდან ცნობიერების მოქმედება ადამიანის უქმი გასართობი რამ კი არაა, არამედ ისევ მისი პრაქტიკული მოღვაწეობითაა განსაზღვრული. „მეცნიერება და ხელოვნება — წერს ილია, — არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითეე წინ მიჰყავს ცხოვრება... რაც მათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული ის გადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა"[9]

აქ ნათლად არის გამოკვეთილი ილიას აზრები, ერთი მხრივ ცნობიერებისა და ნაყოფიერების დამოკიდებულების, ხოლო მეორე მხრივ მატერიალური გარემოს შეცნობადობის შესახებ. მას კარგადა აქვს გააზრებული შემეცნების ხასიათიც, ადამიანის შემეცნების შესაძლებლობის უსასრულობა და ამავე დროს მისი ისტორიული განსაზღვრულობა.

ილია ჭავჭავაძე შემეცნებას ახასიათებს როგორც პროცესს, თუმცა მას იგი უბრალო ჟურნალისტის ენითა აქვს გადმოცემული. შემეცნების პროცესი იმაში მდგომარეობს ილიას აზრით, რომ შესამეცნებელი ობიექტი, „თვალმა უნდა დაინახოს, გონებამ უნდა დანახული გააჩიოს, ახსნას, გაგოს", ხოლო „ხელმა, მარჯვენამ უნდა გააკეთოს[10]". თუ გავითვალისწინებთ, რომ „დანახვა-

---

7 იქვე, გვ. 66—67.

8 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 62—63.

9 იქვე, გვ. 71.

10 იქვე, ტ. VI, გვ. 337.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში" გრძნობადი შემეცნება იგულისხმება, ხოლო „გაკეთებაში" ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობა, მაშინ ეჭვს არ იწვევს, რომ შემეცნების პროცესი აქ გაგებულია, როგორც გრძნობადისა და რაციონალურის ერთიანობა. რომელიც პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდება და რომლის შედეგის რეალიზაცია ისევ „საქმეში", პრაქტიკაში ხდება. ილიას კარგად აქვს გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ შემეცნება არცოდნიდან ცოდნისაკენ, უფრო ნაკლებად სრული ცოდნიდან უფრო მეტად სრული ცოდნის მიღწევისაკენ მოძრაობაა. „რაც გუშინ კაცს ჰგონია და აურწეველ ჭეშმარიტებად, — წერს ილია, — რისთვისაც უცია პატივი, როგორც მოუცლებელი საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია. ასე რომ კიდევაც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორ სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩია თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისთვის — თეთრი"[11].

ილია აქაც სრულიად მეცნიერულ პასუხს იძლევა, როდესაც წერს, რომ ადამიანის შემეცნების სიღრმე იმ ეპოქით, იმ გარემომცველი ვითარებითაა განსაზღვრული, რომელშიაც უხდება მას ცხოვრება. ასე რომ ადამიანის შემეცნების მისწრაფება, რომელსაც საზღვარი არა აქვს, თავისი ეპოქით არის პირობადებული. განვითარების ახალ საფეხურზე ბეღლად მიღებულ ჭეშმარიტებათა სიმცდარე აღმოჩნდება. „განა იმისაგან, განაგრძობს ილია, — რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ... ჩვენ რომ ამ თავმომწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია აეცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით"[12]. როგორაცა ვხედავთ, აქ გარდა იმისა რომ კარგად არის გამოხატული შემეცნების სიღრმის ისტორიული განსაზღვრულობა, ნათლადაა მინიშნებული ისიც, რომ, არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება და ყოველი ცოდნა ფარდობითაა ჭეშმარიტი.

* * *

ილია ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში საერთოდ სამყარო და კერძოდ კი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საკითხი დგას. მან მოძრაობა და განვითარება აღიარა ცხოვრების მთავარ პრინციპად და მთელი სიღრმით სცადა მისი ყოველმხრივი დასაბუთება. „ცხოვრება როგორც ყოველი მოზარდი, — წერს ილია, — იზრდება ჰყვავის მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისაგე თესლზე ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წვიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკეთესვება უნდა"[13].

ილიამ თავისი დამოკიდებულება განვითარების იდეისადმი ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში" გამოხატა. თერგისა და მყინვარის შედარებისას მან ბობოქარ თერგში დაინახა ის ძალა, რომელიც აცოცხლებს ყველა არსებულს, მათ შორის ცხოვრებასაც. „მიყვარს თერგის ზარიანი ხეული, — წერდა იგი, —

---

11 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 57.

12 იქვე.

13 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი — თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მომცემი"[14].

ილია მოძრაობისა და განვითარების ამ იდეით იყო გამსჭვალული, როდესაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა თავადაზნაურულ კონსერვატიზმს, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ახალს და არა მომავალში არამედ წარსულში ხედავდა აწმყოს იდეალს. სამოციანი წლების საქართველოში დამკვიდრებულმა ასეთმა განწყობილებამ ათმეოვნა პეტერბურგიდან ახლად დაბრუნებულ ილიას:

„ვიდექ მარტოკა და მთების ჩრდილი
ცვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ეალერსება
ოხ ღმერთო ჩემო სულ ძილი, ძილი,
რასღა გეფიერსოს ჩვენ გაღვიძება".

ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი მოღვაწეობა ქართველი ერის გამოფხიზლებას და განვითარების გზაზე მის დაყენებას შესწირა. შეიძლება ითქვას, რომ მან განვითარების საკმაოდ მწყობრი თეორია შექმნა იმ მიზეზების გათვალისწინებით, რომლებიც საზოგადოებივ ცხოვრებას უბიძგებენ წინსვლისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ განუწყვეტელ მოძრაობა-ცვალებადობაში ის ახლის უძლეველობის დადასტურებას ხედავდა ამიტომ ახლის უძლეველობის კანონი მას განვითარების შეურყეველ კანონად მიაჩნდა, რომელიც გზას იკაფავს შესაძლებლობათა და სინამდვილის კანონზომიერად მონაცვლეობის ბროცესში. „ყველგან, — წერს ილია, — საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა, სეხოვრობს. ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის, რასაც დღეანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამ. როცა ის, რასაც დღეანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძველსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული იქნება, მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს ხოლმე პირველის ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია მანამ ეს ასე მოხდებოდა, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახლის საჭიროებას აჩენს. ამიტომ ახლად გამარჯვებოლს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არა აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა"[15].

აქ განვითარების სრულად მეცნიერული კონცეფციაა ჩამოყალიბებული იმ კატეგორიების აშკარა მომარჯვებით, რომლებსაც შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიები ეწოდება, თუმცა ილია მათ არ ასახელებს. აღნიშნულია ისიც, რომ განვითარება განსხვავებული საფეხურების კანონზომიერი მონაცვლეობაა, რომლებიც უარყოფით ერთიანობაში არიან ერთმანეთთან. და ბოლოს კარგად არის გახსნილი განვითარების მიზეზიც, რომელიც საპირისპიროთა ბრძოლაში მდგომარეობს.

---

14 იქვე, ტ. II. 1950, გვ. 21.

15 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. V, 1955, გვ. 89—90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ წინაღმდეგობათა ბრძოლას, როგორც განვითარების შინაგან წყაროს, მიზეზს, ილია მრავალგზის უბრუნდება და იქ დასკვნამდის მიდის, რომ ყველგან და ყოველთვის მხოლოდ დაპირისპირებულთა ბრძოლაა ის მიზეზი, რომელიც იწვევს წინსვლასა და განვითარებას. თვით ჭეშმარიტების ძიდწევაც მხოლოდ წინააღმდეგობათა ბრძოლითა და ჭიდილითაა შესაძლებელი. „მთელი ისტორია კაცობრობისა ყოველგვარ სფეროში, — წერს ილია, — საცა კი კაცს წარმატების ძლევამოსილება მიუძღვის და არ მიუძღვის, სხვა არა არის რა გარდა გაუთავებელის ჭიდილისა „ჰოსა და არასა“ შორის. ყოველივე ჭეშმარიტება, ყოველივე საქმე, რაც კაცობრობას აღმოუჩენია კაცთა ცხოვრების გულის, გონების, განსაკარგებლად, გასაძლიერებლად წარსამატებლად, ამ ჰოსა და არა-ს ჭიდილით მიუპოვებია. ჭეშმარიტების აღმოჩენას, საქმეს ცხოვრების ასე თუ ისე განწყობისა და განრიგებისას, სხვა გზა არა აქვს ამ ერთადერთის გზის მეტი. რა მოვლენასაც კი კაცთა ხელიდამ თუ გონებიდამ გამოსულს, გულში ჩახედავთ, დაინახავთ, რომ ჰო-არაობის ჭიდილსა და ქარცეცხლშია გამოტარებული. მართალია გამარჯვება ერთისა თუ მეორისა, ჰოსა თუ არასი, ყოველთვის არა ჭნიშნავს ჭეშმარიტების გამარჯვებასა, მაგრამ მაინც ჰო-სა და არა-ს ჭიდილია ერთად ერთი გზა ჭეშმარიტების აღმოჩენისა და პოვნისა“. ამიტომ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი „ერთად-ერთი გზა ჰოსა და არას დაპირისპირებაა“[16].

ასე რომ დაპირისპირებულთა ბრძოლა არის როგორც ცხოვრების ისე აზროვნების მამოძრავებელი მიზეზი. ილიას კარგადა აქვს გააზრებული, რომ „აზრთა მოძრაობაში როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთიმეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“[17]. ასევეა ცხოვრებაშიაც. აქ განუწყვეტელი ბრძოლაა კლასებს შორის. საშუალო საუკუნეებში თავადაზნაურობა და სამღვდელოება იბრძოდა იმისათვის, რომ „მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და როცა ჩაიგდო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტებით დაიპყრა“. ფეოდალიზმი შეცვალა კაპიტალიზმმა, რომელშიაც ბურჟუაზიამ დაისაკუთრა მთელი სიმდიდრე, ხოლო თვით ამ მოძრავი სიმდიდრის შემქმნელი „წრის გარეთ დარჩა“. ეს წრეს გარეთ დარჩენილი მუშა კაცია, რომელიც დამკვიდრებულმა უსამართლობამ საბრძოლველად გამოიყვანა იმის მოთხოვნით, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არ ჰქონდეს განსაკუთრებული. დღეს ეს კლასი (რომელსაც ილია წოდებას უწოდებს) „იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისი დედაზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა“[18].

საერთოდ, ილიას გააზრებული აქვს ის გარემოებაც, რომ დაპირისპირებულთა ბრძოლა საბოლოოდ ახლის გამარჯვებით თავდრდება. მართალია ეს გამარჯვება უმტკიცნეულო არ არის, მას შეიძლება მრავალი დაბრკოლება გადაეღობოს წინ, მაგრამ თუ იგი ნამდვილად ახალია, საბოლოოდ გარდუვალად გაიმარჯვებს. „მომდევარი წინადმსვლელზე ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესია და მშვენიერი, — წერს ილია, — თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო,

16 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, გვ. 301.
17 იქვე, გვ. 88.
18 იქვე, გვ. 52-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც გაარღვევს დღეს თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი"[19]. ამაში ხედავს ილია ახლის უძლეველობის კანონის დადასტურებას, რომელიც მას როგორც ახრის, ისე ცხოვრების მოძრაობა-განვითარების შეურყეველ კანონად მიაჩნია.

* * *

ილიას ახრით, საზოგადოების ისტორიაც, რომელიც წინსვლითი ხასიათისაა, ახლის უძლეველობის კანონის დადასტურეაას წარმოადგენს. ეს ახრი მსჭვალავს მთელს მის სოციოლოგიურ კონცეფციას, რომელიც თავისი დროისათვის ბევრი საყურადღებო მოსაზრების შემცველი იყო. ის ამ კონცეფციით ხელმძღვანელობდა როდესაც კატეგორიულად გაილაშქრა ე. წ. ერის სიბერის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც რუსულ პრესაში ი. ჯაბადარმა განავითარა და არსებითად გავრცელებული ორგანისტული სოციოლოგიური თეორიების ნაირსახეობას წარმოადგენდა. ი. ჯაბადარის მიხედვით, ინტენსიური ცხოვრება ერების დაბერებას და ისტორიის ასპარეზიდან გასვლას იწვევდა. ილია კი სწორედ ერის ინტენსიურ ცხოვრებაში, გაძლიერებულ თვითმოქმედებაში ხედავდა ერის უკვდავებისა და ზეადამიანად მოძრაობის პირობას. „დღეს აქამომდე ვვეგონა, — წერს ირონიულად ილია, — რომ ხანა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და თურმე ნუ იტყვით, დასახრჩობი ფონი კი სწორედ ეგ ინტენსიურით ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არ დაცლილი, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა, და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აპყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგან ამათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ და. მაშასადამე ადამიანზე უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბურება ისტორიისა"[20].

ი. ჯაბადართან და ნ. ხუდადოვთან კამათში ილიამ ხაზი გაუსვა საერთოდ ორგანისტული სოციოლოგიის არამეცნიერულობასა და უსუსურობას. ამ სოციოლოგიის წარმომადგენლები: სპენსერი, შეფლი, დრეპერი და სხვები ვერ ჩაითვლებიან, ილიას ახრით, ისეთ მეცნიერებად, რომლების ნაწერებშიაც შეგვეძლო მოგვენახა ისტორიის კაგების გასაღები. ამით აიხსნება ილიას უარყოფითი დამოკიდებულება მათდამი, მისი კატეგორიული განცხადება, რომ „ჩვენ ამ თეორიის წინააღმდეგი ვართ". და ეს სრულიად ბუნებრივი იყო, ვინაიდან ილიას კარგად ქონდა გაახრებული დამოკიდებულება ბუნებასა და საზოგადოებას შორის და ის თავისებურებაც, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას და, მაშასადამე, მის ისტორიას განასხვავებს ბუნებისა და მისი ისტორიისაგან. საზოგადოებრივი ცხოვრება თვითმიზეზოვანია, — წერდა ილია, — რომლის მოქმედ პირებს ადამიანები წარმოადგენენ. ამიტომ ამ პირთა აქტიურ და ინტენსიურ მოღვაწეობაზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა თუ უკანდახევა.

* * *

ადამიანის საკითხს, მის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ბედისათუ უბედობის ახსნას დიდი ადგილი უკავია ილიას შემოქმედებაში. ილიას ახ-

19 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. VII, გვ. 18,58.

20 იქვე, ტ. IV, გვ. 21-22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, ადამიანი თვითმოქმედი არსებაა და მისი ბედი და უბედობა მის ამ თვითმოქმედებაზეა დამოკიდებული; „ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა“ — წერს იგი. ამიტომ „როგორც თითოეული კაცი, ისე საზოგადოება, ისე ხალხი მარტო თავისით არის და თავისით უნდა იყოს. ძალაც ამისთანა ხალხშია და ბედიც“[21].

ამგვარად, რამდენადაც უფრო აქტიურია ადამიანის მოქმედება იმდენად უფრო გამართულია იგი, სრულყოფილია და გამარჯვებული. ამიტომ წერს ილია, რომ „არსებობისათვის ბრძოლასა და ჭიდილში მარტო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედიც, ვინც თავისთავზეა მარტო დანდობილი და თავის საკუთარ მხნეობასა და გარჯას ესახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინწასაწევად“[22]. მაგრამ ადამიანის თვითმოქმედებისადმი ასეთი ხაზის გასმა როდი ნიშნავს მის ყოვლისშემძლეობას. პირიქით, ადამიანის მოქმედება ცხოვრებაში მოქმედ კანონებსაა დაქვემდებარებული, რომლებიც ადამიანმა უნდა აღმოაჩინოს და რომელთა შესაბამისადაც უნდა წარმართოს ოავისი საქმიანობა. ამიტომ, როდესაც ილია ახასიათებდა ამოცანას, რომელიც სამოცად წლებში საქართველოს სინამდვილემ მისი თაობის წინაშე დააყენა, აღნიშნავდა, რომ მათი სურვილია საქართველოს ცხოვრების გარდაქმნა და გაუმჯობესება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, დასძენდა იგი,ეს ცხოვრება გარდაქმნათ იმის მიხედვით, რაც ჩვენ მოგვესურვება. „ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, — წერდა იგი, — რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება“. პირიქით, „თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავისთვის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოჩენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს“[23]. ადამიანის აქტიურობა ამ „თვითრჯული ცხოვრებით“, მისი კანონების შეცნობის დონითაა განსაზღვრული. ამიტომ ადამიანი თავისი ცხოვრების პროდუქტია, ადამიანი ისეთია როგორიცაა მისი გარემომცველი ცხოვრება, ანუ ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ადამიანი „შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღეკანდელისა და დამბადებელია ხვალისა“. ასე რომ ადამიანი ცხოვრების შედეგიცაა და მიზეზიც, ამ ცხოვრების აკარგიანობის ნაყოფიცაა და შემოქმედიც, ანუ როგორც ილია წერდა „ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მოქმედნი პირნიცა, ცხოვრება არის თვითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“. ვფიქრობთ ამაზე უკეთესად ძნელია ადამიანისა და მისი გარემომცველი ცხოვრების დიალექტიკური ერთიანობის დახასიათება. ცხოვრებისა და ადამიანის ამავე ურთიერთობაში იბადებიან აგრეთვე გმირები, დიდი ადამიანები, რომლებიც ასევე ცხოვრების მოქმედი პირებია, ცხოვრების ქმნილებები და მისი შემოქმედებია. „გმირებს, — წერს ილია, — სახელოვან კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას, — ეგ შემოქმედებითი ძალა ცხოვრებასა ჰბადავს“[24].

ილიამ მთელი მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით გაიაზრა დიდი პიროვნების საკითხი, მის გამოჩენის მიზეზები და როლი ცხოვრებაში. აქ ის ყოველგვარი სუბიექტივიზმისაგან თავისუფალია და ამტკიცებს, რომ დიდი ადამიანები ყოველთვის არიან ჩვენ შორის, მაგრამ თუ ისინი აქამდე არ ჩანდ-

---

21 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, 1953, ტ. III, გვ. 452.
22 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, 1953, ტ. VII, გვ. 344.
23 იქვე, ტ. III, გვ. 66-67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ, იმიტომ რომ ცხოვრება მათთვის საამისო საზრდოს არ იძლევა და რაკი ცხოვრებაში გაჩნდება ამ დიდ ადამიანზე მოთხოვნილება. იგი მაშინათვე გამოჩნდება, „ახლნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენ შორისვე იყო და არ გვესმოდა. მაშინ იგი გამოანგრევს ძველის საძირკველსა და ახლის საძირკველში რაკი ქვას დაამკვიდრებს, მიანებებს საქმეს უმცროსთანა მუშაკთა“[25]. ამგვარად, ილიას კარგად ესმის, რომ დიდი ადამიანი ცხოვრების ღვიძლი შვილია, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი უფრო შორსა და ღრმად იხედება ცხოვრებაში, მას შეუძლიან სწორი მიმართულება მისცეს ცხოვრების მოვლენებს. ამიტომ იმ როლს, რომელსაც ის ასრულებს ისტორიაში, მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ შევისწავლით იმ ცხოვრებას, რომელშაც იგი წარმოშვა.

ამით იახსნება, რომ ილია თვითონაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცხოვრების რაობის გარკვევას, იმ მატერიალური პროცესების ახსნას, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს ადამიანის როლს საზოგადოებაში, საზოგადოების მდგომარეობასა და ხასიათს. მას კარგად ქონდა შეგნებული ისიც, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება იცვლებოდა საკუთრების ფორმის ცვალებადობასთან ერთად, რომ იყო საზოგადოებრივი საკუთრება, შემდეგ კერძო მიწათმფლობელური და ფეოდალური, რომელიც თავის მხრივ კერძო კაპიტალისტურმა საკუთრებამ შეცვალა. ამ უკანასკნელმა, როგორც არასდროს გაამწვავა წინააღმდეგობა სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. ილია ცხრაასიანი წლების ნაწერებში დიდ ადგილს უთმობდა ამ წინააღმდეგობის ახსნას და უაღრესად რადიკალურ აზრებსაც გამოთქვამდა. ფიქრობდა, რომ მთელი უბედურება კერძო საკუთრების გაჩენაშია. რომელშაც დაარღვია ბუნებრივი მსგლელობა ცხოვრებისა. ამიტომ ის ფიქრობდა იქნება საქართველოს აცდენოდა კაპიტალიზმი თავისი უარყოფითი მხარეებით და სხვა მიმართულება მისცემოდა მის განვითარებას. ამან განსაზღვრა მისი თვალსაზრისი საქართველოს შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც ცხადია დღევანდელობის თვალსაზრისით გაუმართლებელია, მაგრამ გარკვეულ ისტორიულ პირობებში წოდებათა შერიგება იქნება თუ სხვა საკითხი, ქვეყნისათვის უკეთესი მომავლის ძიების ერთ-ერთი ვარიანტი იყო. განა თვითონ ილია არ წერდა, რომ „ეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“[26].

დიდი მოაზროვნის ეს სიტყვები დღესაც შეგვახსენებს, რომ მკაცრად ობიექტური ვიყოთ თვითონ მისი შემოქმედების მიმართ და დავაფასოთ იგი არა იმის მიხედვით რა ვერ მოგვცა დღევანდელობის თვალსაზრისით, არამედ რა მოგვცა მოწინავე და პროგრესული თავისი დროისათვის. მან კი სიცოცხლიანი წლების საქართველოში შემოიტანა და დაამკვიდრა პროგრესის იდეა, რომლის თეორიულ გამართლებას და პრაქტიკულ განხორციელებას მიუძღვნა თავისი გული, გონება და ენერგია. ფილოსოფიური ნაზრევიც, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვხაზეთ, ამ იდეის გამართლებასა და დაფუძნებას ემსახურებოდა.

---

24 ილიაა ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, 1953, ტ. V, გვ. 151.
25 იქვე, ტ. III, გვ. 61.
26 ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. VI, 1955, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

В. А. ГАГОИДЗЕ

ФИЛОСОФСКО-СОЦИОЛОГИЧЕСКАЯ КОНЦЕПЦИЯ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Во второй половине XIX столетия в Грузии началось большое движение против феодального консерватизма, за прогресс всей общественной жизни. Вожаками этого движения были грузинские шестидесятники, сгруппировавшиеся вокруг журнала И. Чавчавадзе «Сакартвелос моамбе», который отстаивал и развивал революционно-демократические идеи, вел борьбу за освобождение Грузии от национального и социального гнета.

И. Чавчавадзе, как признанный вождь революционно-демократического движения в Грузии, развивал материалистические взгляды. Он подчеркивал роль экономических отношений и производства вообще в изменении всех остальных общественных явлений, определяемость сознания общественно-экономическими отношениями и — в свою очередь — активную роль сознания по отношению к жизни. Большое внимание он уделял анализу процесса развития действительности, раскрытию внутренних противоречий, определяющих это развитие. В открытии объективных законов он усматривал задачу познания и условие свободы человека. Развитие рассматривалось им как результат действия закона неотдалимости нового, и с этих позиций он критиковал органическую социологию, отстаивая идею закономерного развития общественной жизни.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში პროფ. ლ. ჩიქავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

 იოველ ასათიანი

ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი

„ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შერს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ".

ილია

თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა საგლეხო რეფორმის პერიოდში წარმოიშვა. დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელიც მაშინ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო, ზრუნავდა ბატონყმობის გადავარდნის შედეგად „დაზარალებული" თავადაზნაურობის პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. მას მტკიცედ სწამდა, რომ შექმნილი ვითარების პირობებში თავადაზნაურობისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სწავლა-განათლება. „კეთილგონიერება გვაწევს, — სწერდა დიმიტრი ყიფიანი, — რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენი შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსარგებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერე შეავსებს რა, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა"[1].

დ. ყიფიანი პირველ ხანებში იმის ცდაში იყო, რომ შეეგროვებინა სახსრები სწავლა-განათლებისათვის, შემდეგ სწავლა-განათლებისათვის ფულის შეგროვება სათავადაზნაურო ბანკის დაარსებას დაუკავშირა.

დ. ყიფიანმა 1864 წლის 9 ნოემბერს მოწოდებით მიმართა თავადაზნაურობას ბანკის დასაარსებლად საჭირო თანხა გაეღოთ. მიმართვაში განსაზღვრული იყო ბანკის მიზნები და ამოცანები, საჭირო სახსრები და მისი წყაროები, რომლითაც უნდა შემდგარიყო დასაარსებელი ბანკის ძირითადი კაპიტალი.

თავადაზნაურთა სამაზრო საგანგებო კრებებზე გორში, თბილისში, სიღნაღში, თელავში თავადაზნაურობა სრული თანაგრძნობით შეხვდა ბანკის დაარსების იდეას და გადაწყვიტა ამ საქმისათვის გაეღო 20 პროცენტი გლეხების განთავისუფლებისათვის, ხაზინიდან ფულის მიღების დროს. რაკი ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული გუბერნიის სამაზრო საგანგებო კრებებზე, დ. ყიფიანი 1865 წლის 17 აპრილს სამოქალაქო გუბერნატორს სთხოვს, გასცეს განკარგულება დაუქვითონ თავადაზნაურობას მისაღები ფულიდან 20 პროცენტი და ეს

1 საქ. სსრ ცსია, ფონ. 214, საქმე, 3366, ფურც. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული შეინახონ სათავადაზნაურო კაპიტალის სახით ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში.

1867 წლის 6 მაისს მოწვეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება, რომელზედაც დიმიტრი ყიფიანი გამოვიდა ვრცელი მოხსენებით მის მიერვე შემუშავებული ბანკის წესდების პროექტის საფუძვლების შესახებ. კრებამ ერთხმად მოიწონა საერთო პრინციპები, რომელიც საფუძვლად დაედებოდა მომავალ საადგილმამულო ბანკს და ამორჩია ბანკის წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტი.

სარედაქციო კომიტეტის სამპატიო პრეზიდენტად აირჩიეს პოეტი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი. კომიტეტის თავმჯდომარედ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.

თავადაზნაურთა საგუბერნიო კრების მიერ არჩეული სარედაქციო კომიტეტი გარკვეული უფლებებით აღიჭურვა. კომიტეტს მომავალი ბანკისათვის უთუოდ უნდა შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი ხასიათი. წესდების სხვა საკითხების შემუშავების დროს კომიტეტი არ იყო შეზღუდული და მას შეეძლო საგუბერნიო კრების მიერ მოწონებული ძირითადი დებულებები ისე განვითარებინა, როგორადაც მიზანშეწონილი იქნებოდა ბანკისათვის და მიღებული იქნებოდა კომიტეტის მიერ ერთხმად ან დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით. თავრობის მიერ ბანკის წესდების დამტკიცების შემდეგ, სარედაქციო კომიტეტი იმავე შემადგენლობით და იმავე თავმჯდომარეობით იქცეოდა ზედამხედველ კომიტეტად, რომელიც დაიწყებდა მოქმედებას წესდების შესაბამისად. აირჩევდა ბანკის მმართველობის პირად შემადგენლობას, ზედამხედველობას გაუწევდა მის მოქმედებას, მის ანგარიშგებას საზოგადოებისა და თავადაზნაურთა საგუბერნო კრების წინაშე. ბანკის მმართველობის პირად შემადგენლობის მიმართ კომიტეტს უფლებამოსილება ეძლეოდა დაეთხოვა მასზე დაქვემდებარებული პირები, მათ შორის ბანკის მმართველიც, მოქმედებისათვის, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა ბანკის ინტერესებისათვის.

დიმიტრი ყიფიანს დასაარსებელი ბანკი ისეთ საკრედიტო დაწესებულებად ესახებოდა, რომელიც სესხს მისცემდა თავადაზნაურობას დაბალი სარგებლით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში დამგირავებელს მამულს არ გაუყიდდა. დიმიტრი ყიფიანი ვერ ხედავდა, თუ არ უნდოდა დაენახა, რომ ასეთი ამოცანის შესრულება ბანკს არ შეეძლო.

თავადაზნაურობას თავიდანვე წოდებრივი ხასიათის ბანკის დაარსების სურვილი ჰქონდა. დ. ყიფიანის ცდა წესდების შემუშავებისას ბანკისათვის საზოგადოებრივი ხასიათი მიეცა შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა; თავადაზნაურობა თავრობას დახმარებას თხოვს ბანკის დაარსების საქმეში იმ მიზნით, რომ გლეხობასაც გაუხსნას კრედიტი. ამიტომ განზრახული ბანკი უნდა იყოს საზოგადოებრივი, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია, ნამდვილად კი ბანკი თავადაზნაურობისაა, რადგან იგი ფუძნდება თავადაზნაურობის ფულით, თავადაზნაურობას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც მისი გამგებლობა, ისე სარგებლობა ბანკის მოგებით.

ბანკის წესდების შემუშავებას და მის დამტკიცებას თავრობის ორგანოებში 7 წელი დასჭირდა. წესდების შემუშავების პროცესში და შემდეგაც, კრედიტის და ბანკის საკითხები, კერძოდ, თუ როგორი ხასიათის ბანკი უნდა [illegible]დარსებულიყო, ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელთა პაექრობის საგნად იქცა. მოპაექრეთა შეხედულებები ხშირ შემთხვევაში გარკვეული ორიგინალობით ხასიათდებ[illegible] რასაც [illegible] შეიძლებო-

[illegible] ს. ს. ს. ბიბლიოთეკა
ხან. ხან. [illegible]
[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გავლენა არ მოეხდინა რეფორმის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე.

დ. ყიფიანის თავადაზნაურობის წინამძღოლობის პერიოდში (1864-1870 წწ.) ბანკის წესდების ხუთი ვარიანტი შეიმუშავეს, მაგრამ არცერთი მათგანი არ იქნა დამტკიცებული მთავრობის მიერ.

1871 წლის 2 თებერვალს შედგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც ესწრებოდა გუბერნიის ოთხივე მაზრის თავადაზნაურთა რწმუნებულები. თავადაზნაურობის წინამძღოლმა რევაზ ანდრონიკაშვილმა კრებას მოახსენა, რომ მეფემ თავადაზნაურობას აჩუქა 160 ათასი მანეთი და გააცნო ფინანსთა სამინისტროს დასკვნა ბანკის წესდების, რიგით მეხუთე პროექტზე, ის მოტივები, რომელთა გამოც იგი არ შეიძლებოდა დამტკიცებინა მთავრობას.

საგუბერნიო კრებამ ბანკის წესდების ახალი პროექტის შესამუშავებლად აირჩია კომისია 5 კაცის შემადგენლობით. რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარე) გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძე, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი, ისე ადამის ძე ანდრონიკაშვილი[2]. კომისიას დაევალა წესდების ახალი პროექტი წარედგინა დასამტკიცებლად თავადაზნაურთა საგუბერნიო კრებაზე. ამრიგად ბანკის დაარსების საქმეს სათავეში ჩაუდგნენ მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა თავიდანვე წინააღმდეგი იყო საადგილმამულო ბანკის დაარსების.

კომისიის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი ავტორი ბროშურისა „О существе национальной индивидуальности и об-образовательном значении крупных народных единиц“ ცდილობდა დამტკიცებინა რომ მცირე ერები უნდა გაითქვიფონ დიდ ერებში, რადგან მათ ღირებულება არ აქვთო. თერგდალეულებმა ამისათვის მუხრანსკი სასტიკად გააკრიტიკეს. ილიამ მას სატირული ლექსიც კი შეუთხზა „რჩევა“ „თუ გინდა ძმაო იგემო ამა ქვეყნისა შვებანი, დიდთა საფეროდ მოამართე შენი გულ-სიტყვისებანი, მერე ბრძნობით შეიმოსე, დიდთა უკმიე, სხვათ არა, და იქადაგე — „წესია, რომ დიდმა ჭყლაპოს პატარა“ და სხვა[3].

საგუბერნიო კრების მიერ კომისიის არჩევამ ზემოდ დასახელებული პირების შემადგენლობით, ძველი სარედაქციო კომიტეტის წევრების და, საერთოდ, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების დიდი უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია.

ახლად არჩეულმა ბანკის წესდების პროექტის შემმუშავებელმა კომისიამ შეადგინა ზოგადი დებულება — ე. წ. „ზაპისკა“, თბილისის გუბერნიის მიწათმოქმედთა საჭიროებისათვის საკრედიტო დაწესებულებების მოწყობაზე და სამაზრო საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა წესდების პროექტი, რომლითაც უარყო საგუბერნიო საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. საადგილმამულო გამსესხებელ ამხანაგობათა წესდება საკუთარ გამორიცხავდა ბანკის მიერ რიგი საზოგადოებრივ-ეროვნული საქმის სამსახურს.

როგორც ანტონ ფურცელაძე მოგვითხრობს, კერძო სხდომებზე, რომლებიც იმართებოდა დ. ყიფიანთან, ი. მამაცაშვილთან, ზ. ავთანდილაშვილთან,

---

2 საქართველოს სსრ ცსია ფონ. 214, საქ. 3373, ფურ. 23.

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. I, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. თუმანიშვილთან, გადაეწყვიტეთ დაგვეცვა საადგილმამულო გრძელვადიანი კრედიტის იდეა და გამოვსულიყავით კომისიის წინაეღმდეგ.

«На сказанных выше частных собраниях решено было сообщить о нашем плане Илье Григорьевичу Чавчавадзе в Душет, где он состоял тогда мировым судьею, как сочувствующему делу талантливому оратору и влиятельному в обществе молодежи. Сообщено было ему через близкого его друга Луарсаба Магалова»[4].

ბანკის წესდების ახალი პროექტით საზოგადოებაში შექმნილი განწყობის თაობაზე გაზ. „დროება“ წერდა: „მოაწია დრომ, როდესაც ჩვენი თავადაზნაურების ბანკის თაობაზე დაულეველ ბაასსა და ლაპარაკს ბოლო უნდა მოეღოს, მაგრამ როგორ გათავდება ეს საქმე: რომელ პროექტს მიიღებს საზოგადო კრება? ნუ თუ დაამტკიცებს იმ პროექტს, რომელიც უკანასკნელმა კომისიამ წარუდგინა და რომლითაც ერთი საზოგადო ბანკის მაგივრათ, რამდენიმე „ურთიერთ სესხის ამხანაგობა“ ანუ ბანკები უნდა გაიხსნას თვითეულს უეზდში?

აი კითხვები, რომლებიც ყოველ ქართველს ადგია ახლა ენაზე და რომლის პასუხს მომავლის კრებისაგან ყველა მოუთმენლად მოელის.

სხვაგან, ჩვენზე უფრო განათლებულ ქვეყანაში, ამისთანა კითხვებს, რასაკვირველია, ადგილი არ ექნებოდა. სხვაგან უეჭველია, ყველა სასაცილოთ აიგდებდა ისეთ კაცს, რომელიც მემამულეებს სავაჭრო და მცირე ვადიანი სესხის ბანკის გამართვას ურჩევდა... ჩვენებურ თავადაზნაურებს, როგორც ადგილმამულით მცხოვრებ პირებს, საადგილმამულო ბანკი და ხანგრძლივი სესხი უნდა და არა ურთიერთ სესხის ამხანაგობანი და ექვსი თვის სესხი, როგორც ახალი პროექტი გვირჩევს“[5].

ბანკის წესდების ახალი პროექტის წინაეღმდეგ გამოთქმულ აზრებს ვხვდებით არა მარტო იმდროინდელი ქართული და რუსული გაზეთების ფურცლებზე. მ. მამაცაშვილმა წესდების პროექტს ბროშურაც კი მიუძღვნა[6], რომელშიაც იგი ვრცლად იხილავს წესდების ახალ პროექტს, დამაჯერებლად ასაბუთებს მის უვარგისობას და გამოუყენებლობას გუბერნიის მიწათმოქმედ მეურნეთათვის..

თავადაზნაურთა სამაზრო კრებებზე განხილული იქნა კომისიის მიერ შედგენილი სასესხო ამხანაგობათა წესდების პროექტი. კრებათა მონაწილეების დიდმა უმრავლესობამ უარყო იგი და მოითხოვა გუბერნიისათვის ერთი ცენტრალური საადგილმამულო ბანკის დაარსება, რომელიც ადგილმამულის გირაოთი გასცემდა გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს. თავადაზნაურთა სამაზრო კრებებზე მიღებული დადგენილების თაობაზე გაზეთი „დროება“ წერდა: „მაშ ეხლა სრული იმედი უნდა გვქონდეს და შეგვიძლია ვინუგეშოთ ჩვენი თავი, რომ თბილისის გუბერნიის საზოგადო კრება უარყოფს უკანასკნელი კომისიის ბანკის პროექტს“[7].

70-იანი წლების დასაწყისიდან ქართველი სამოციანელები აქტიურად მონაწილეობენ თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსებაში, რათა იგი გა-

---

[4] Газ. „Закавказская речь“, 1912. № 132.

[5] გაზ. „დროება“, 1872, № 39.

[6] М. Г. М. „Тифлисский Дворянский банк, его застои и затруднения“ по поводу записки комиссии. Тифлис. 1872.

[7] გაზ. „დროება“, 1872, № 45.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოეყენებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს ნიკო ნიკოლაძის შემდეგი სტრიქონები: „ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ (დამფუძნებელთაგან ახლა მეტი არარავინ მეგულება ცოცხლებში), რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ. რამდენ ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინა, ბანკის დაარსება ეერშით აგვღო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალადატანებით ქართული საქმის მოთავედ ჩაგვეყენებინა“[8].

პროგრესული ახალგაზრდობა, ჯერ კიდევ მაზრების საგანგებო კრებების მოწვევამდე აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა კომისიის „ზაპისკისა“ და სასესხო ამხანაგობის წესდების პროექტის წინააღმდეგ, რომლითაც ფეოდალურ არისტოკრატიას სურდა დაესამარებია საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. საგუბერნიო კრებაზე, რომელიც გაიმართა 1872 წლის 25 ნოემბერს, ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა კომისიის მიერ შედგენილი წესდების პროექტი, და დაიცვა საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. როგორც ანტონ ფურცელაძე იგონებს:

«Речь была громадная, злая, ядовитая, проникнутая острыми сарказмами, доходящая до издевательства над незнанием дела, непониманием заданной комиссии задачею... Говорил он с необычайным воодушевлением, вдохновенно, страстно, с непоколебимою логикою, подкрепленною неопровержимыми данными. Он доказывал, что комиссия отступила от данных ей дворянством полномочий... Что она не поняла задачи начатого дела, что не банк нужен, а нужна школа на прибыли банка, чего предложенный комиссиею банк не даст, что проект их губит единственное общественное начинание, которое стремится к обеспеченной будущности. Что они никакого представления не имеют о банках и т. д. и т. п.

Из членов комиссии не было в собрании кн. Георгия Константиновича Багратион-Мухранского, остальные члены во время речи кн. Чавчавадзе один за другим бежали из собрания»[9].

გაზეთი „დროება“ ბეჭდავს ილიას სიტყვას და აღნიშნავს, რომ იგი გონიერად, გულმხურვალედ შეეხება ბანკის საქმესო.

„1867 წელსა — ამბობს ილია, — თავადაზნაურობამ გამოთქვა სურვილი ბანკის დაწესებისა იმ აზრით, რომ დაიხსნას ჩვენი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. იგი აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდ-სულოვნებითა და ნაყოფიერებითა. ამ ძვირფასის აზრის გონიერებისა შესრულებაზედ, დამოკიდებულია ჩვენის ეკონომიურის მოღვაწეობის იგი განცხოველობა და გაძლიერება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენს ნივთიერ კეთილდღეობამდე და სიმდიდრემდე და ამის გამო ზნეობის სიკეთემდეც... აი, ამის გამო ღირსია გულითადის ჩვენის მადლობისა ღვაწლი ამა ჩვენგანისა, რომელმაც პირველად ჩაგვინერგა ეგ ნაყოფის მომცემი აზრი. არა-ნაკლებ მისი ღირსნი არიან გულითადის ჩვენის მადლობისა იგი ჩვენგანნი, რომელთაცა პირველსავე მოწოდებაზედ მსწრაფლვე ,ეუდრტვინელად დაემორჩილნენ თავადაზნაურობის

[8] ჟურნალი „ცნობა“ 1913 წ., № 20, გვ. 9.

[9] Газ. „Закавказская речь, 1912 г., № 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებასა და სწრაფლვე შემოიტანეს მათგან მოთხოვნილი ნაწილი ყმების განთავისუფლებისათვის მიღებულის ფულისა, და ამით შემოგვწირეს მსხვრეპლი, რათა დაიხსნან ჩვენი მშვენიერი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. არ შემიძლიან, ბატონებო, არ მოგაგონოთ ის, რომ ამ დიდსულოვანთა და პატიოსანთა შემოწირველთა შორის უფრო მრავალი ღარიბია და ჭათ შორის, რომელთაც არ ისურვეს ამა მსხვრეპლის მოტანა უფრო ბევრნი შედარებით, მდიდარი არიან.

დიდ მოწყალენო ხელმწიფენო, ყოველთაგან დევნილმა სიღარიბემ აქაც გვიჩვენა, რომ იგი უფრო სულგრძელია ძლევამოსილს სიმდიდრეზედა"[10]...

ილიას სიტყვას, თავადაზნაურთა საგუბერნიო კრებაზე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინავე ინტელიგენციის მიერ აღებული კურსის გამარჯვებისათვის.

ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვის თაობაზე, ბაბალე თუმანიშვილი ძმას გიორგის წერდა: «На всех предыдущих заседаниях спорили о том, какой банк должны принять, краткосрочный или долгосрочный и наконец, в один вечер, выступил Илья Чавчавадзе. Сначала раскритиковал старую комиссию и устав, вышедший в мае месяце, потом доказывал, что все мы должны думать об общем благе и потому нужно учредить такой банк, который бы приносил пользу всем. Как поэт, так и убедил всех. Выбрали новую комиссию и его главным. И таким образом покончили все споры»[11].

საგუბერნიო კრებაზე, ხანგრძლივი კამათის შემდეგ იმის თაობაზე თუ როგორი ბანკი იქნეს დაარსებული — საადგილმამულო გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სასესხო ამხანაგობა, თავადაზნაურთა კრებამ 27 ნოემბერს ორი მესამედი ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა დაეარსებინა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკი.

29 ნოემბერს აირჩიეს ახალი სარედაქციო კომიტეტი 27 წევრის შემადგენლობით, მათ შორის ილია ჭავჭავაძე. სარედაქციო კომიტეტის სპეციალ პროზედენტად აირჩიეს პოეტი გრიგოლ ორბელიანი. კომიტეტის თავმჯდომარედ თავადაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ანდრონიკაშვილი[12].

ახალი წესდების პროექტის შემუშავებაში წამყვან როლს ასრულებდა ილია ჭავჭავაძე, ბროკჰაუზ-ეფრონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის შედგენილ ავტობიოგრაფიაში ილია წერს: „ბევრი ყოყმანისა და მერყეობის შემდეგ, თუ რაგვარი საკრედიტო დაწესებულება დავაარსოთო, თავადაზნაურობამ გადასწყვიტა, ჩემის რჩევისამებრ, დაარსება საადგილმამულო ბანკისა და აირჩია კომისია რომლის ერთ-ერთ წევრად მეც დამნიშნა წესდების შემდგენად"[13].

ილიას წამყვანი როლი წესდების პროექტის შედგენაში, თავადაზნაურობის საკრებულოს საქმეებში არსებული საბუთებიდანაც ნათლად ჩანს. თავადაზნაურობის წინამძღოლი რევაზ ანდრონიკაშვილი ორჯერ მიმართავს თხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს გაუგრძელოს შვებულება ილია ჭავჭავაძეს იმასთან დაკავშირებით, რომ აზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრება ბანკის ახალი წესდების განსახილველად ჯერ კიდევ გრძელ-

---

10 გაზ. „დროება", 1872, № 47.

11 ე. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. საარქივო მასალები, „ნიცნიერება", თბ., 1965 წ., გვ. 97.

12 საქართველოს სსრ ცსია, ფონ. 214, საქ. 3373, ფურ. 190.

13 ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. IX, თბ., 1957 წ., გვ. 310.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაო. ამასავე მეტყველებს ბაბალე თუმანიშვილის პირადი წერილი გიორგი თუმანიშვილისადმი «А говорят, эти заседания были очень интересны. Мы попали только на самое последнее, когда все уже было решено. Читали новый устав, потом открыли баллотировку, но уже заранее можно было сказать, что большинство примет хорошо, потому что там были все, большей частью приверженцы Ильи Чавчавадзе, который и написал новый устав»[14].

1872 წ. 5 დეკემბერს თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ერთხმად მოიწონა ბანკის წესდების ახალი პროექტი. 7 დეკემბერს კრებამ აირჩია ზედამხედველი კომიტეტი, რომელსაც დაევალა ბანკის საქმეების ხელძღვანელობა. ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ანდრონიკაშვილი, წესდების პროექტს, კრების ოქმებთან ერთად უგზავნის სამოქალაქო გუბერნატორს და თხოვს, წარუდგინოს დასამტკიცებლად ფინანსთა მინისტრს.

ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ბანკის წესდების პროექტი შემდეგ მთავარ საფუძვლებს ემყარებოდა; ბანკი მოქმედებს თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებს როგორც ნაღდი ფულით, ისე საკრედიტო ნიშნებით, ე. ი. გირავნობის ფურცლებით. სესხი გაიცემა გრძელვადიანი 43 წლით და 6 თვით სოფლის მამულებისათვის, 18 წლით და 7 თვით ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემა ერთი წლიდან სამ წლამდე ნაღდი ფულით უძრავი ქონების გირავნობით. ბანკის ძირითადი კაპიტალი განისაზღვრება 500 ათასი მანეთით და შესდგება ოთხმოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც შეტანილია თავადაზნაურობისაგან, და ას სამოცი ათასი მანეთისაგან, რომელიც მთავრობამ უბოძა თავადაზნაურობას საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად და იმ ფულისაგან, რომლის შეტანაც დაევალა თავადაზნაურობას გუბერნიის საგანგებო კრების 1872 წ. 27 ნოემბრის დადგენილებით. წლიური მოგებისაგან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ დარჩება 45 პროცენტი უნდა გადაიდვას იმ თავნის შესადგენად, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს ქართველი ხალხის ზოგადსასარგებლო საჭიროებანი. ბანკის საქმეებს განაგებს თავადაზნაურთა კრება, ზედამხედველი კომიტეტი და ბანკის გამგეობა, რომელიც შედგება სამი წევრისაგან: თავმჯდომარისა და ორი დირექტორისაგან, რომელთაც საზოგადო კრება არჩევს.

ბანკის წესდების შემმუშავებელ სარედაქციო კომიტეტს, რომელიც არჩეულ იქნა თავადაზნაურთა საგუბერნიო საგანგებო კრების მიერ 1872 წლის 29 ნოემბერს, წესდების დამტკიცების შემდეგ დაეკისრა ზედამხედველი კომიტეტის ფუნქციები, რომელსაც უნდა ეზრუნა ბანკის ორგანიზაციის დასაბოლოებლად.

ზედამხედველმა კომიტეტმა ბანკის მმართველად აირჩია ილია ჭავჭავაძე, დირექტორებად დიმიტრი ყაზბეგი და დავით ყიფიანი.

1873 წელს გაზ. „დროების“ პირველი ნომერი ატყობინებს საზოგადოებას, რომ ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა ბანკის მმართველად ი. ჭავჭავაძე აირჩია, რომელიც ამის გამო სამსახურს ტოვებსო. „ჩვენ, სრულს თანაგრძნობას განვაცხადებთ ამ ამორჩევაზე. პირუთნველად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძისოდენი თითქმის არ უშრომია ამ უკანასკნელ დროს თბილისის საარაზარო ბანკისათვის და იმდენი მონაწილეობა ამ ბანკის წესდებულების შედგენისათვის არავის არ მიუღია“[15].

---

14 ე. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საარქივო მასალები, მეცნიერება, თბილისი, 1965, გვ. 97.

15 გაზ. „დროება“, 1873, № 1.

ილია ჭავჭავაძემ დიდი შრომა გასწია არა მარტო წესდების შემუშავებაზე, რომელიც კიდევაც მიაღწევინა თავადაზნაურთა საგანგებო კრებას, მას კიდევ უფრო მეტი შრომის დახარჯვა დასჭირდა წესდების პროექტის დამტკიცებისათვის, რაც თითქმის წელიწადნახევრის გაგრძელდა.

დადგენილი წესის მიხედვით, სანამ წესდების პროექტი ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნებოდა, იგი უნდა განეხილა მეფისნაცვლის თავარ სამმართველოსთან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ სამანკო კომისიას და მხოლოდ მისი მოწონების შემთხვევაში გაიგზავნებოდა დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ეს პროცედურა ძლიერ გაჭიანურდა, წესდების პროექტი მხოლოდ 1873 წლის 14 მარტს გაიგზავნა ფინანსთა სამინისტროში. ამასთან დაკავშირებით ილია დუშეთიდან (ილია მაშინ დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა) სწერს მეუღლეს: „ჩვენი ბანკის საქმისა ვერა შევიტყე რა გარდა იმისა, რომ გლავნი უპრავლენიეს ჩვენი პროეკტი დაუბუნებიაო. რაღაცას ცუღლუტობენ დიდნი და პატარანი და მე ვერა გამიგია, როდის უნდა დაბოლოვდეს ჩვენი საქმე“[16]. ცოტა მოგვიანებით ილია მეუღლეს წერს: „მიხარებია შენთვის; ჩვენი ბანკის პროეკტი აქ მიიღეს და 14 მარტს პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონია, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდეს. დღეს მე „ატსტავკას“ ვაძლევ და იმედი მაქვს, რომ აპრილში გნახოთ“[17].

ილიას „ატსტავკის“ საქმე ჭიანურდებოდა. იგი იძულებული იყო დუშეთში დარჩენილიყო და მომრიგებელი მოსამართლის მოვალეობა შეესრულებინა. „რა წამსაც „ატსტავკა“ მამივა, — სწერდა ილია მეუღლეს, 1873 წ. 17 მაისს — და საქმეს ჩავაბარებ, მაშინვე წამოვალ... ჩვენი ბანკის საქმისა აი რა შევიტყეე: ჩვენი პროეკტი „გოსუდარსტვენნი სოვეტში“ გადაუციათ ფინანსების სამინისტროსა. ეგ ცუდი ნიშანია. დამტკიცდება თუ არა, ღმერთმან იცის. დიმიტრი ყაზბეგი ზის ქალაქში, მე მელის და სიცხით იწვვნა ჩემს მოლოდინში. მე და ეგ ერთად მიდიოართ ბაქოზედ და მაინდამ ერთად წავალთ რუსეთს. რუსეთში ორი სამი თვე დავრჩებით მეტი არა“[18].

1864 წლიდან ილია დუშეთში მუშაობდა. მომრიგებელ შუამავლად, შემდეგ კი მომრიგებელ მოსამართლედ. მან თავისი მოღვაწეობით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ადგილობრივ მოსახლეობაში. ილიას „ატსტავკის“ მოლოდინში დუშეთის საზოგადოება მის პატივსაცემად სადილებს მართავდა. 1873 წლის 24 მაისს ილიას დუშეთიდან გამომგზავრების აღსანიშნავად დიდი წვეულება გამართეს, ქება-დიდებით შეამკეს და გზა დაულოცეს.

ილია ჰეტერბურგში ჩასვლისთანავე დაუღალავად ზრუნავს ბანკის საქმეების მოსაგვარებლად. იგი საადგილმამულო ბანკს საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისა და პოლიტიკური თვითმყოფადობის საქმეს უკავშირებდა. ამიტომ ზრუნავდა მისი მოქმედების დასაჩქარებლად. „ოღონდ ის საზოგადო საქმე, — წერს მეუღლეს, — რომელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარიმართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს. რამოდენადაც კაცს ვრცელის გრძნობის დატევა შეუძლიან გულში, იმოდენად დიდია. მე რომ მარტო ყვარელი მიყვარდეს და შენ მთე-

16 ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. X, თბ., 1957, გვ. 275.

17 იქვე, გვ. 276.

18 იქვე, გვ. 286.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კახეთი, შენ ჩემზე დიდი იქნები და თუ იმისთანაც იქნება, რომ მთელი საქართველო უყვარდეს ის ოროთავეზე უდიდესი იქნება „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველს ბედმა და დიე გვრახონ — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“[19]. ოჯახს და სამშობლოს მოშორებული ილია დადის მეფის მთავრობის ერთი ბიუროკრატიული დაწესებულებიდან მეორეში, ყოველ ღონეს ხმარობს მინდობილი საქმის დასაჩქარებლად, ილია არა მარტო ბანკის წესდების დამტკიცებისათვის ზრუნავდა, არამედ აგრეთვე პრაქტიკულადაც შეესწავლა ბანკის საქმე. მაგრამ მას აქაც დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა. „მე — სწერს ილია მეუღლეს, — ოცდაექვსს, პეტერბურგიდამ მოვედი ყოველ ცისამარე დღე ჩვენს ბანკის საქმეზედ დავდივარ და ვერა გავხდერა. არც ერთ ბანკში არ გვიშვებენ, რომ შევისწავლოთ რამე. მე ამისთანა გულშუტტივარი ხალხი არ მინახავს, ამის გამო ბევრი დრო გვეკარგება და იქნება დიდი ხნით დავბრკოლდე აქა. თუ არ შევისწავლეთ რა და ისე ხელცარიელები მოვეედით ქალაქს, ხომ იცი რამდენს ცილს დაგვწამებენ. აი ბატონო, იტყვიან, ჩაიჯიბეს ოთხმოცი თუმანი, გაისეირნესო და ხელცარიელები მოვიდნენო. მე არ მინდა რომ ჩემზე ესა ჰსთქვან; რაც უნდა მოხდეს, თუნდა ერთი წელიწადი დარჩომა მომინდეს, დავრჩები აქა, რომ შევისწავლო რამე და როგორმე ბანკების კარი გავაღო. ... მე ეხლა ძლიან შევდგი ფეხი ბანკში და რაც საჭიროა ვსწავლობ, დილიდამ ათი საათიდამ ოთხ საათამდე ბანკში ვარ ხოლმე, ორი ნაწილი საქმის დაწყობა შევისწავლე, ორი კიდეც დამრჩა. იმ კვირას სულ ღვთით გავათავებ“[20].

ილიას დიდი დაბრკოლების გადალახვა **უხდება წესდების** დამტკიცებისათვის. „ეს მამაძაღლები აბრკოლებენ საქმეს სხვადასხვა მიზეზთა გამო — წერს ილია — თვითონ მინისტრი უარზედ არ არის. იმის დირექტორია რაც არის, ისა აბრკოლებს ჩვენ საქმესა. ქოთამი უნდა. მაგრამ ვინ რას მისცემს, ისეც კუტრები ვართ. ესეა ჩვენი საქმე. ყოველდღე თითქმის დავდივართ სამინისტროში და არ ვასვენებ, ახლაც იქ მიდდივარ, იქნება ამ დღეებში თვითონ მინისტრის ნახვაც მომიხდეს. ზოგი მირჩევს ნახეო და უთხარიო, რომ დირექტორი საქმეს აგვიანებსო, ზოგი არ მირჩევს მეუბნებიან, დირექტორი უფრო საქმეს წაახდენსო. აკ ვიცი რომელს დაუჯერო. ორივე თითქმის ერთნაირად მართალნი არიან. მაინც და მაინც დღეს საქმეს და მის მდგომარეობას შეეიტყობ, ავწონ დავწონი და მერე ისე მოვიქცევი“[21].

ილიამ, რომელიც ბანკის საქმეების გამო დიდ ხანს დაჰყო რუსეთში, (1873 წლის გაზაფხულიდან 1874 წლის გაზაფხულამდე) წამოიწყო მეტად მნიშვნელოვანი სალიტერატურო საქმე, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ქართულად თარგმნას. ილიამ აქ იპოვა თავისუფალი დრო შექსპირზე სამუშაოდ, ილია პეტერბურგში გაეცნო ახალგაზრდა სტუდენტს ივანე მაჩაბელს, რომელიც ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და ინგლისური პრწყინვალედ იცოდა. ილია შეუდგა შექსპირის „ჰეფე ლირის“ თარგმნას ივანე მაჩაბლის დახმარებითა და თანამშრომლობით. ილია ამავე დროს შესდგომია ინგლისური ენის შესწავლას შექსპირის დედანში გასაცნობად. ილია სწერს თავის მეუღლეს ოლღას პეტერბურგიდან 1873 წლის 21 ნოემბრის თარიღით: „... ჩემო კარგო!... აქაური ამბავი რა მოგწერო: მე ინგლისური ენის სწავლას

19 ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. X, 1957 წ., გვ. 290.
20 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., ტ. X, 1957 წ., გვ. 293—300.
21 იქვე, გვ. 322.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდექი და შექსპირის ტრაგედიას კოროლ ლირს ესთარგმნი სხვასთან ერთად. აქედან რომ მოვალ ინგლისური მეცოდინება იმდენად. რომ სუბუქის, თხზულების წაკითხვა შემეძლოს. სხვა არაფერი გასართობი არ მაქვს რა". ლირის თარგმანი 1873 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში უკვე ძირითადად დამთავრებული ყოფილა. ილია კმაყოფილი იყო გაწეული მუშაობით, წერილში 1873 წლის 19 დეკემბრის თარიღით ილია შემდეგ წერს თავის მეუღლეს ოლღას: „ვერ წარმოიდგენ ჩემს უბედურს და უგემურს გარემოებას. ვგდივარ დილიდან საღამომდე შინ და თუ გავალ, ისიც სასეირნოდ, იმ დღეს ვიორგი შერვაშიძესთან ვიყავი, აი მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თითონ მოვიდა და მთხოვა — შექსპირის ტრაგედია, კოროლი ლირი, რომელიც ქართულად ინგლისურიდამ ვთარგმნეთ. წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხავად. კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს.. ვერ წარმოიდგენ, რა რიგ კარგად გამოვიდა ქართული ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება... შენ ხომ იცი, ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თითონ არ მიყვარს. მაგრამ ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილი კაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიკეთებულია და აღტაცებაში მოსულნ".

ილია, რომელიც საერთოდ დიდად თავდაჭერილი იყო თავისი ლიტერატურული საქმიანობის შეფასებაში, ასეთი აღტაცებით ლაპარაკობს ლირის თარგმანზე. ლაპარაკობს ისე, როგორც მას არასოდეს არ ულაპარაკნია არც ერთი თავისი ნაწარმოების შესახებ, აქედან ჩანს თუ როგორის განსაკუთრებულის გატაცებით უმუშავნია ილიას შექსპირის თარგმანზე, ილიას ამისთვის გაუმეტნია თავისი დიდის ტალანტის ძალა.

„მეფე ლირის" თარგმანი ილიას და ივანე მაჩაბელს დაუმთავრებიათ 1874 წლის 1 იანვარს. წერილში თავის მეუღლე ოლღასადმი ილია წერს: „აქამდინ ჩვენს თარგმანს ლირის (პირველ ნაწილს) წაიკითხავდი მომწერე, როგორ მოგეწონა... სწორედ ახალი წლის პირველ დღეს სრულიად გავათავეთ თარგმანი".

ასეთია ისტორია „მეფე ლირის თარგმანისა. რომლითაც ილიამ, ივანე მაჩაბელთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა შექსპირის გადმოქართულებას, და რაც შემდეგ ასე ბრწყინვალედ განაგრძო ივანე მაჩაბელმა"[22]

ბანკის წესდების დამტკიცება დიდი ხნით პრანურდება, რის გამოც ილია ძლიერ წუხს. რადგან მისი დამტკიცების გარეშე მას არ შეუძლია საქართველოში წამოსვლა.

„ჩვენი ბანკის საქმე ხათაბალა გახდა. ის უფალი, რომლის ხელშიაც არის ეგ საქმე. საბაგელი, უგულო და უადამიანო კაცია. თუმცა არ შეუძლიან იმდენი, რომ საქმე საბოლოოდ გააფუჭოს, მაგრამ აგვიანებს კი და პირდაპირ ყველაფრით გვიჩვენებს, რომ მაგისთანა საქმე უქრთამოდ ვერ გარიგდებაო. ამა კრთამის მიცემა როგორ შეუძლიან ჩვენს კუტრს ბანკსა, ორშაბათს ვაპირობ ოქასთან წასვლას და ჩხუბსა. აქამდინ ვეფერებოდი. ვეხვეწებოდი, ხელში უკვდებოდი, მეგონა, რომ ამით იქნება დავიყოლიო მეთქი, მაგრამ ამან ყოველმა ვერ გასჭრა. ახლა ვაპირობ ჩხუბსა და დიდ ჩხუბსაცა. ენახოთ რა გამოვა.

ამას წინათ ვიფიქრე, მოდი წავიდე შინ მეთქი. რისთვის ვიტანჯები და ვწვალობ მეთქი? მაგრამ შენმა წიგნმა კიდევ გული მომცეს და ვჰსთქვი: ეს ხომ ჩემგან სილაჩრე იქნება, რომ გაუთავებლად საქმე დამრჩეს; ეგ ბრძო-

22 პ ა ვ ლ ე ინ გ ო რ ო ყ ვ ა. ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1967 წ., გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ველიდამ გაქცევა იქნება და სირცხვილი მეთქი. ვინ რას მეტყვის? ხომ მიწასთან გამასწორებენ მეთქი"[23].

1874 წ. 18 თებერვალს ილია ატყობინებს მეუღლეს, „ბანკის საქმე გაჩაღდა და გაჩარხდა" და დიდად იმედოვნებს, რომ წესდებას დამტკიცებენო. „მაისამდე გათავდება ეს საქმე სრულიად და ღვთით გამარჯვებითაც, მაგრამ მე მის გათავებას აღარ მოუცდი, რადგანაც მე ეხლა საჭირო აღარა ვარ, უჩემოდაც გარიგდება. მე წამოვალ პეტერბურგიდამ ან დიდ შაბათს, ან არა და ორს აპრილს უსათუოდ გადაწყვეტილად"[24].

როგორც იქნა დამთავრდა ილიას რუდუნება ბანკის წესდების საქმეებზე. დამთავრდა ხანგრძლივი მივლინება და ილია გამარჯვებული მოემგზავრება საქართველოში. როგორც ილია ვარაუდობდა, 1874 წლის 28 მაისს მთავრობამ დამტკიცა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდება ფინანსთა მინისტრი, რეიტერნი ატყობინებს რა ამის შესახებ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს, თხოვს მას, რომ წესდების საფუძველზე თავადაზნაურთა საერთო კრებამ აირჩიოს ბანკის მმართველობა, რომელსაც გადაეცემა მთავრობის მიერ ნაბოძები 160 ათასი მანეთი თბილისის ბანკის დასაარსებლადო.

1874 წ. 1 სექტემბერს გაიხსნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრება, რომელმაც აირჩია ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ამავე კრებაზე მოხდა ბანკის მმართველის და დირექტორის არჩევა. ბანკის მმართველად აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, დირექტორებად ალექსანდრე ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ერისთავი. თბილისის საადგილმამულო ბანკის მოქმედების დაწყებამდე ილიას, როგორც ბანკის მმართველს, 1874 წლის დამლევს კიდევ მოუხდა რუსეთში გამგზავრება, ახლა უკვე იმისათვის, რომ დაეჩქარებინა ბანკის გიროს ფურცლების დამზადება და მოლაპარაკებოდა ბანკირებს ამ ფურცლების გასაღების თაობაზე. გაზეთი „დროება" აუწყებდა საზოგადოებას „ჩვენ შევიტყვეთ, რომ თბილისს აზნაურობის საადგილმამულო ბანკის გამგებელს, რომელიც ამჟამად ქალაქშია, ჩვენი ბანკის გიროს ფურცლების გასაღებაზე ერთს პეტერბურღლის საინდო ბანკთან პირობა შეუკრავს. ამ ბანკს სახელად ჰქვიან „რუსეთის ბანკი გარეშე ქვეყნებთან ვაჭრობისათვის"[25].

1875 წლის 26 იანვარს შედგა თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრება. კრების მთავარი მიზანი იყო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრების არჩევა, რომელთა გარეშე ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა. კრების 3 თებერვლის სხდომაზე ილიამ წარმოსთქვა საპროგრამო სიტყვა, რომელშიაც ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა ბანკს და რომლებსაც იგი მტკიცედ იცავდა ბანკში მუშაობის პირველი დღიდან უკანასკნელ დღემდე. ილიას სიტყვა საგაზეთო ანგარიშის სახით გამოქვეყნებული იყო გაზეთ „დროებაში".

ილია აფრთხილებს კრებას, რომ დამფასებლებლად აირჩიონ სიმართლის მოყვარენი, პირუთვნელნი. კეთილსინდისიერნი, მეცოდნენი და ჭკუა-გონება გახსნილი ადამიანები, რადგან მარტო წესიერად და სასტიკად მოწყობილი დაფასება ბანკის წარმატების საფუძველიაო.

---

23 ი. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. X, გვ. 312.

24 იქვე, გვ. 314.

25 გაზ. „დროება", 1875 წ. №7.

„ბანკი თავად-აზნაურობამ დაწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი ჩვენს ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არ იმათ, ვინც გულადმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასვით და მაჭამეთო“[26].

დასრულდა ხანგრძლივი რუდუნება საადგილმამულო ბანკის დაარსებისათვის, რომლის „ნიშანდობლივი და საყურადღებო თვისება, რომელიც სხვა საადგილმამულო ბანკების წესდებისაგან განარჩევს, ის არის, რომ ბანკის მოგება, იმის გარდა, რაც სხვადასხვა თანხას უნდა მიემატოს ჰხმარდება ამერეთის არა მარტო მიწათმფლობელთა, ესე იგი თავადაზნაურთა, არამედ მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას. ამ სახით, თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი თითქმის ისეთი ერთადერთი დაწესებულებაა საადგილმამულო კრედიტისა რუსეთში, რომლის წესდებითაც სრულიად უარყოფილია კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“[27].

1875 წლის 15 თებერვალს საფუძველი ჩაეყარა ბანკის მოქმედებას, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ დიდი ენერგია შეალია.

ნიკო ნიკოლაძე, რომელიც იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა, გულნატკენია იმის გამო, რომ ქართულ პრესაში არაფერი ითქვა იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც თავის მხრებზე გადაიტანეს ბანკის დაარსების ეს მძიმე საქმე. „რატომ არც ერთ ადგილობრივ გაზეთში არ ითქვა არცერთი სიტყვა მოწონებისა და მადლიერებისა იმ კაცისადმი, რომლის სახელი ცნობილი იყო ჩვენი ქვეყნის თითოეული შეგნებული შვილისათვის და რომელმაც მოთმინებით და გონიერი შრომით შესძლო ახალი საფუძველი ჩაეყარა ერთ-ერთ ისეთ დიდად სასარგებლო და აუცილებელი დაწესებულებისათვის, როგორიც კი ოდესმე დაარსებულა ჩვენს ქვეყანაში? რატომაა რომ ი. ჭავჭავაძე ახლაც ისევე მარტოა, ისევ დაუფასებელია, ისევ მოკლებულია მხარდაჭერას, როგორც იმ სამწუხარო ჟამს, როცა მან დააარსა და მხოლოდ საკუთარი მხრებით ატარებდა უდროოდ დაღუპულ. მაგრამ დაუვიწყარ „საქართველოს მოამბეს“? ზემოდ ნათქვამის საფუძველზე მე სულ მგონია, რომ ბანკის საქმე ისევე როგორც ადრე „საქართველოს მოამბის“ საქმე, მთელი თავისი სიმძიმით ილია ჭავჭავაძის მხრებს დაწვება“[28]. სავსებით მართალი იყო ნ. ნიკოლაძე. ილია ჭავჭავაძე 30 წლის მანძილზე საკუთარი მხრებით ეზიდებოდა ამ დიდ საქმეს, ქართველი ერის კეთილდღეობისათვის.

Ի. Ա. ԱՍԱԹԻԱՆԻ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ И ТБИЛИССКИЙ ГРУЗИНСКИЙ ПОЗЕМЕЛЬНЫЙ БАНК

Резюме

Идея создания Тбилисского поземельного банка зародилась в период проведения крестьянской реформы. Тогдашний предводитель

26 „დროება“, 1875 წ. № 16.

27 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IX, თბ., 1957 წ., გვ. 310.

28 ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 4, თბ., 1964 წ., გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

дворянства Тбилисской губернии Дмитрий Иванович Кипиани заботился о сохранении привилегированного положения дворянства, «пострадавшего» в результате упразднения крепостничества. Он твердо верил, что в создавшихся условиях просвещение представляло для дворянства настоятельную необходимость.

Поначалу Д. Кипиани пытался собрать средства для обучения дворянской молодежи и призывал дворянство жертвовать во имя этого благого дела пятую часть получаемых им в виде помощи от государства денег за освобождение крестьян. Впоследствии сбор средств на нужды просвещения он связал с идеей основания дворянского поземельного банка.

В бытность Д. Кипиани предводителем дворянства были разработаны пять вариантов проекта банковского устава, но ни один из них правительством не был утвержден.

В 1871 году Чрезвычайное собрание дворянства Тбилисской губернии вновь избрало для составления нового проекта банковского устава комиссию пяти под председательством нового предводителя дворянства Реваза Андроникашвили. Большинство членов комиссии — представители крупной феодальной аристократии — с самого же начала были против основания поземельного банка, поэтому комиссия выработала проект устава уездных поземельных ссудных товариществ.

Основание в уездах кредитных товариществ по краткосрочным ссудам, предусмотренное проектом комиссии, полностью исключило их использование для общественных нужд. Проект устава вызвал справедливое недовольство большей части общества.

С начала 70-х годов грузинские шестидесятники под руководством Ильи Чавчавадзе активно поддерживали идею основания поземельного банка. Они надеялись использовать его в интересах национально-освободительного движения.

25 ноября 1872 года, на собрании дворянства Тбилисской губернии, где рассматривали составленный комиссией проект устава ссудных товариществ, Илья Чавчавадзе выступил с блестящей речью в защиту основания поземельного банка, которая имела решающее значение в деле окончательного решения этого вопроса. И. Чавчавадзе был избран одним из членов нового редакционного комитета, и подготовка проекта устава была поручена ему. 5 декабря 1872 года на заседании того же собрания Илья Чавчавадзе представил новый проект устава банка, который был одобрен единогласно.

Илья Чавчавадзе потратил много сил не только на создание проекта устава, ему пришлось немало потрудиться также и для его утверждения правительством; именно с этой целью отправился он в Петербург и пробыл там с весны 1873 до весны 1874 года.

1 сентября 1874 года Чрезвычайное собрание дворянства Тбилисской губернии избрало Илью Чавчавадзе управляющим банка.

В январе-феврале 1875 года состоялось собрание дворян — учредителей банка, на котором были избраны члены оценочной комиссии, и управляющий банком Илья Чавчавадзе произнес свою программную речь; он сформулировал руководящие принципы деятельности банка, которые твердо соблюдались им в течение всего периода его работы в банке.

წარმოადგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარიელ სართანია

ილია ჭავჭავაძე სტატისტიკის შესახებ

სტატისტიკას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი მე-17 ს. ჩაეყარა. თავდაპირველად მან ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლის, ინგლისელი ვ. პეტის (1623-1687 წწ.) ნაშრომში — „პოლიტიკური არითმეტიკა“ (1676 წ.) ჰპოვა ასახვა, რის გამოც მისი სახელწოდებაც თავიდან ასევე განისაზღვრა.

კ. მარქსი ვ. პეტის პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად სტატისტიკური მეცნიერების ფუძემდებლადაც თვლიდა. ვ. პეტი თავის შრომებში პოლიტიკური ეკონომიის მთელ რიგ დებულებებს რაოდენობრივი გაანგარიშებით ასაბუთებდა, რისთვისაც იყენებდა რიცხობრივ მონაცემებს სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების მდგომარეობა-განვითარების შესახებ.

მოგვიანებით, 1749 წ. როდესაც გამოიცა გერმანელი პროფესორის გ. ახენვალის ნაშრომი ევროპის მოწინავე ქვეყნების მდგომარეობის შესახებ, ამ მეცნიერებას „სტატისტიკა“ ეწოდა. სტატისტიკის, როგორც მეცნიერების შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით XIX ს. გამოჩენილ რუს მეცნიერებს: აკად. ი. გერმანს (1755-1856), რომელმაც 1809 წ. გამოსცა პირველი სახელმძღვანელო „სტატისტიკის საყოველთაო (ანუ ზოგადი — ტ. ს.) თეორია“, ავრეთვე — დ. ჟურავსკის (1810-1855 წ. წ.), ი. იანსონს (1835-1892 წ. წ.) მამა-შვილ ჩუპროვებს და სხვებს.

იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა სტატისტიკისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემა, ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა და სტატისტიკურ-საღრიცხვო სამუშაოებს ეწეოდნენ ცალკეული სამინისტროები და უწყებები, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, საგზაო მიმოსვლის სამინისტრო და სხვ. მხოლოდ 1857 წ. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი, რომელსაც დაეკალა სტატისტიკურ სამუშაოთა კოორდინაცია და ერთიანი ხელმძღვანელობა ქვეყნის მასშტაბით. ამ კომიტეტის შექმნამ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოოდა აღნიშნულ სამუშაოთა არე. 1861 წ. საგლეხო-საბატონო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის დაქვემდებარებაში შეიქმნა საერობო სტატისტიკა, რომლის თავდაპირველი დანიშნულება იყო საგლეხო მეურნეობის შემოსავალ-გასავლების დადგენა და კომლების აღწერა. შემდგომში საერობო სტატისტიკამ მეტად თვალსაჩინო მუშაობა გასწია სხვადასხვა სტატისტიკური აღწერებისა და გამოკვლევების ჩატარების საქმეში, რამაც სისტემატური ხასიათი მიიღო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასული საუკუნის ბოლოს იმდროინდელი საქართველოს სინამდვილიდან საინტერესო ცნობებს გვაწვდის ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „სტატისტიკის შესახებ", რომელიც 1888 წ. 18 იანვარს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" (№ 12): „კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტმა შარშან კარგი სამეცნიერო განძი შესძინა კავკასიას საერთოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ. — წერდა ილია ჭავჭავაძე — მან განიზრახა ყოველი სასტატისტიკო ცნობანი ამოკრება ეგრეთწოდებული „საოჯახო სიებიდან", რომელნიც შედგენილ იქნენ იმისათვის, რომ უტყუარი ანგარიში ჰქონდა მთავრობას მკვიდრთა რიცხვისა სამხედრო ბეგარისათვის მოსაწოდებლად და ამასთანავე, იმის საცნობლად, თუ რამდენი ოჯახია იმისთანა, რომელსაც უნდა გაეწიოს საკმლო გარდასახადი"[1]. მართლაც, სტატისტიკის დანიშნულებას ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან შეადგენდა მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მამაკაცების, რიცხოვნობის განსაზღვრა სამხედრო საჭიროებისათვის და გლეხური კომლების შემოსავლების დადგენა მათი დაბეგვრის სიღიდის განსაზღვრისათვის. ასეთივე ფუნქციები ჰქონდა მეფის რუსეთის სტატისტიკას. ილია ჭავჭავაძე ზემოთ აღნიშნულ სტატიებში ეხება სტატისტიკურ კრებულს, რომელიც იმხანად გამოსულა ვინმე ზეიდლიცის რედაქტორობით და მას მაღალ შეფასებას აძლევს, როგორც მასალას სამეცნიერო კვლევა-ძიებისა და მეცნიერული დასკვნების გასაკეთებლად. იგი ფრიად საშურ საქმედ მიიჩნევს სტატისტიკური მონაცემების იმ სახით შეკრებას და დამუშავებას, რომ იგი მეცნიერებას გამოადგეს და ამდენად მისასალმებლად მიიჩნევს „კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის" ისეთ დავალებას მთავარი რედაქტორისათვის, როგორიც იყო „...ამოკრება ამ სასტატისტიკო ცნობებისა, ამათი განხილვა და შემუშავება და მერე დაბეჭდვა იმისდა მიხედვით რამოდენადაც ეს საინტერესო მასალა მეცნიერებისა მზად იქნება დაბეჭდისათვის"[2]. შემდეგ ილია იტყობინება, რომ ჯერჯერობით ოთხი ასეთი რვეული (კრებული) დაიბეჭდა, რომელთაგან პირველი მოიცავდა 115 გვერდს და განეკუთვნებოდა მთლიანად ზაქათალის ოლქს, მეორე — ახალქალაქის მაზრას, მესამე — შავი ზღვის ოლქს და მეოთხე — დარღოს ოლქს დაღესტანში: „სიღნაღის მაზრის ცნობანიც მზად არის, ხოლო ჯერ იბეჭდება და არ გამოსული სტამბიდან. ჩვენ ეს ოთხი რვეული დღეს მოგვივიდა და მარტო მოვასწარით ხელდახელ გადათვალიერება. რვეულები რიგიანად და ლამაზად არის დაბეჭდილი და სავსეა საინტერესო ცნობებით, რომელნიც საკმაო ცოდნით თავ-თავის რიგზეა დალაგებული. ჩვენ დღეს ერთს ფრიად საყურადღებო საგანს შევნიშნავთ და ამ საგანზე გავუწევთ საუბარს ჩვენ მკითხველებს. ეს საგანი მით არის შესანიშნავი, რომ იმისთანა ცნობას გვაძლევს, რომელიც პირდაპირ ეპირისპირება და არ ეთანხმება სასტატისტიკო მეცნიერების საზოგადო დასკვნას"[3]. ეს ლაპარაკია სტატისტიკის მიერ დადგენილ იმ კანონზომიერებაზე, რომ დაბადებულთა შორის ბიჭების რიცხვი სჭარბობს გოგონებისას, ამჟამად, იგი ყოველ 1000 მცხოვრებზე მთელ მსოფლიოში შეადგენს 515 ბიჭს და 485 გოგონას. რაც არა მრტო ოც, არამედ ოცდაათი წლის ასაკამდე ასევე სჭარბობს გოგონებისას. სწორედ ამის შესახებ ამბობს ილია: „სასტატისტიკო მეცნიერებას გამორკვეული აქვს, რომ თითქმის ყველგან ევროპაში დედაკაცთა რიცხვი სჭარბობს მამაკაცთა რიცხვსა. მართა-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VII, თბილისი, 1956 წ. გვ. 321.

2 იქვე,

3 იქვე, გვ. 322.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია მეცნიერება ამასთან იმასაც ამბობს, რომ ეს მეტნაკლებობა ზოგჯერ ჰმატულობს, ზოგჯერ ჰკლებულობს, მაგრამ არასოდეს ისე არ იცვლება, რომ მამაკაცთა რიცხვმა გადაჭარბოს. ეს ამბავი მით უფრო შესანიშნავია, — განაგრძობს იქვე ილია, — რომ დაბადებით მამაკაცთა რიცხვი ყოველთვის მეტია დედაკაცთა რიცხვზე და მაშასადამე მამაკაცნი რიცხვით აღემატებოდნენ დედაკაცთა. საქმით — კი ესე არ გამოდის. მეცნიერებას გამოცნობილი აქვს, რომ თხუთმეტი წლის ასაკამდე ამ ორისავე სქესის რიცხვი თანასწორია და ამ ასაკს შემდეგ — კი მთელს დანარჩენს ასაკობაში დედათა რიცხვი მეტია"[4].

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე კარგად ერკვეოდა დემოგრაფიულ სტატუაციებშიც და მეტად საღ დასკვნებს აკეთებდა იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე: „ყველგან და ყოველთვისაო, ამბობს მეცნიერება, ვაჟი უფრო მეტი იბადება, ვიდრე ქალი, მაგრამ ესეც — კი შენიშნულია, რომ ყრმობაშივე სიკვდილითაც ვაჟი მეტი იხოცება, ვიდრე ქალი. ეს არის მიზეზი, რომელიც ჰმოქმედობს — ამ ორის სქესთა მეტნაკლებობაზედ, ჯერ როცა ასაკსრული არ არის არც ვაჟი და არც ქალი. როცა ასაკი ემატებათ და სისრულეში შედიან, მამაკაცთა ცხოვრება უფრო ბევრს მსხვრევს იწრიავს, რადგანაც ცხოვრებას მამაკაცისას უფრო ბევრი ფათერაკი და განსაცდელი სდევსო, მაგალითებრ, ომები, მოგზაურობა, ზღვაში მიმავალობა, მძიმე მუშაობა მადნების ხარობსა და თხრილებში და სხვანი ამისთანანი.

ეს ფათერაკიანი და განსაცდელიანი ცხოვრება მამაკაცისა მოჰყავდათ ძველს მეცნიერებს იმის მიზეზად, რომ დედაკაცთა რიცხვი ყველგან მეტია მამაკაცთა რიცხვზედ. ხოლო ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებამ ეჭვი შეიტანა და ამბობს, რომ ამ მეტნაკლებობის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და მაინცდამაინც ეს მიზეზები უფრო ღრმად მიმალულნი და შორს არიან იმათზედ, რაც აქამომდე ეგონათო. ამ სახით დედაკაცთა მამაკაცზედ ნამეტნობა თუმცა მეცნიერებისაგან აღიარებულია და დამტკიცებული, მაგრამ ამის მიზეზი — კი ჯერ აქამომდე გამორკვეული და ნაპოვნი არ არის და ელის მეცნიერების საბუთიან სიტყვას"[5]. უნდა ითქვას, რომ დღესაც ელის ეს საკითხი მეცნიერულ გადაჭრას. ზოგიერთი დემოგრაფი (პროფ. ი. ულლანსი) ფიქრობს, რომ მამაკაცნი უფრო ნაკლებ ამტანნი და შემგუებელნი არიან და რომ ავადმყოფობა მათ უფრო მეტად ერევა, ვიდრე დედაკაცს. ეს აზრი კომპეტენტურ მიდგომასა და გადაჭრას მოითხოვს დღევანდელ პირობებშიც კი, არათუ ილიას დროს.

შემდეგ ილის მოყავს იმის დამადასტურებელი სტატისტიკური მაჩვენებლები, რომ ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად ბელგიაში, იტალიაში, საბერძნეთში, რუმინეთსა და ოსმალეთში (თურქეთში) მამაკაცთა რიცხვი სჭარბობს ქალებისას: „ამ ქვეყნებში, — აღნიშნავს იგი, — ას მამაკაცზედ სულ ცოტა რომ ვსთქვათ 93 1/10 დედაკაცი მოდის. სულ ბევრი — 99 4/5. რა თქმა უნდა, — განაგრძობს ილია, — რომ ევროპის სხვა დიდ ქვეყნებშიაც არის იმისთანა ცალკე ადგილები, საცა მამაკაცნი რიცხვით სჭარბობს დედაკაცთა, მაგრამ თითოეული ესეთი ქვეყანა, ერთად აღებული, მაინც დედაკაცთა ნამეტნობას წარმოადგენს...

ერთი სიტყვით, მეცნიერებას უეჭველ ჭეშმარიტებად მიღებული აქვს, რომ რიცხვი დედათა სქესისა თითქმის ყოველთვის მეტია მამაკაცთა რიცხვზედ და

---

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 323,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთა-შუა (საშუალო-ტ. ს.) რიცხვი მეტობისა ისეა, რომ 21-ს დედაკაცზედ მოდის 20 მამაკაცი.

ჩვენში სულ სხვა აღმოჩენილა — განაგრძობს ილია — ზაქათალის ოლქში, ახალქალქის მაზრაში და შავი ზღვის ოლქში ყველგან დედაკაცთა რიცხვი ნაკლებია მამაკაცთა რიცხვზედ, ხოლო დარღოს ოლქშიღა სჭარბობს. ზაქათალის ოლქში 53 2/3 მამაკაცზე მოდის 46 1/3 დედაკაცი. ახალქალქისაში — 52 1/2 მამაკაცზედ მოდის 47 1/2 დედაკაცი, შავიზღვისაში — 54 2/3 — ზედ 45 1/3, ხოლო დარღოსაში — 49 3/4 მამაკაცზედ მოდის 50 1/4 დედაკაცი.

მეტად ღირსშესანიშნავი საგანია ეს ამბავი მეცნიერების მკვლევართათვის როგორც ზოგადიდან გამორჩეული და გამოსათვლელი. რასაკვირველია, ჯერ მინამ კავკასიის თაობაზედ საერთოდ და ამიერკავკასიაზედ საკუთრად სრული ცნობანი არ დაიბეჭდება, ადრეა რაიმე გადაწყვეტილად ითქვას ამ საგანზედ. ხოლო თუ დანარჩენ ადგილებშიაც ასეთი ჭარბობა აღმოჩნდება მამათა სქესისა დედათა სქესზედ. — ეს ამბავი მეტისმეტად ჩააფიქრებს მეცნიერებს და ამის მიზეზის პოვნა და ახსნა ბევრს გაუძლიერებს წყურვილს ძიებისას და კვლევისას. მართლადა რა მიზეზი უნდა იყოს, რომ მკვიდრთმრიცხველობა ჩვენში სქესობის მიხედვითა არამც თუ ემოწმება, ასე პირდაპირ ეწინააღმდეგება კიდეც მეცნიერებისაგან მიღებულ დასკვნას? ნუთუ საინტერესო არ არის ჯერ ამის ახსნა და გამოკვლევა და მერე იმის გამორკვევა, თუ რას ნიშნავს და რას მოასწავებს ეს ასეთი განსაკუთრებული ამბავი?"[6]. — მეტად დამაფიქრებელი კითხვაა, რომელიც შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ კავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ სისხლისმღვრელი ომები მუსულმანურ სამყაროსთან თითქმის შეწყდა და მამაკაცთა რიცხოვნობაც სტაბილური გახდა.

ილია ჭავჭავაძე სტატისტიკურ მიმოხილვას და ანალიზს ხშირად მიმართავდა ხოლმე სხვადასხვა, განსაკუთრებით, განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისას. ასე, მაგალითად, ინგლისისა და ირლანდიის შესახებ ილია ასეთ სტატისტიკურ ცნობებს აწვდის მკითხველებს და ამის საფუძველზე მნიშვნელოვან დასკვნებსაც აკეთებს: „საყურადღებოა ციფრები მისი თუ. როგორ კლებულობდა წვრილთა მესაკუთრეთა რიცხვი დროთა განმავლობაში. მე-11 საუკუნეში სულ 300 000 — ასეთნი თუ ისეთნი მიწათმფლობელნი ყოფილან, სულ ერთი მილიონი სული, ესეიგი ნახევარი მცხოვრებთა რიცხვი მაშინდელის ინგლისისა და ვალისისა (უელსის ტ. ს). 1660 წელს 160 000-ღა დარჩენილა, 1816 წელს 16000. 1831 წელს 7200. მეცხრამეტე საუკუნეში სულ გაჭრნენ ამისთანა წვრილნი მესაკუთრენი და მიწათმფლობელნი და დღეს მთელის ინგლისის მამულები (აქ მარტო საკუთრივ ინგლისი და ვალისია სახეში მიღებული-ი. ჭ.), რომელიც ვალისთან ერთად შეადგენს 37 324 015 აკრსა (აკრი ორი მესამედია ჩვენის დღიურისა-ი. ჭ.), მარტო 30 766 კაცის ხელშია, საეკლესიო და სამღვდელოთა მამულების გარდა, მაშინ როდესაც რიცხვი დანარჩენთა მკვიდრთა ოცს მილიონზედ მეტია, შოტლანდიის და ირლანდიის გარდა. ამ ოცს მილიონზში ათს მილიონზედ ცოტა მეტი ქალაქებში არიან მცხოვრენი და დანარჩენი სოფლად. ამ სახით დღეს ინგლის-ვალისში ორგვარი მკვიდრნი არიან მიწათმფლობელობის კვალობაზედ: ერთის მხრით 30 766 კაცია მესაკუთრენი ადგილ-მამულისა და მეორეს მხრით სრულად უმამულონი თითქმის ათ მილიონამდე სული, რომელნიც ან იჯარა-

---

6 იქვე. გვ. 324.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობით, ფერმერობით, რჩებიან და იკვებებიან, ან უბრალოდ დადიან დღიურ მუშად და მოჯამაგირეებად"[7].

ილია ჭავჭავაძე აქ იძლევა ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის შესანიშნავ ნიმუშს და თვალსაჩინო დასკვნასაც აკეთებს ინგლისის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის შესახებ, თუ როგორ იზრდება წარმოების საშუალებათა (ამ შემთხვევაში მიწის) რაოდენობის კონცენტრაცია მის მფლობელთა ერთეულების ხელში დანარჩენი მშრომელი მასის გაღატაკების გზით, დაწყებული XI საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით.

ილია ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია და დიდი გულისტკივილი გამოსთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ამ დროისთვის ადგილი ჰქონდა მოსახლეობის „იმიგრაციას საქართველოდან" (გაზ. „ივერია", 1889 წ. № 13).

„ჩვენ ცხოვრებაში, — ამბობდა ილია, — ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გაუხსნია და ამის გამო ჯერ ყურადღება საზოგადოებისა და მთავრობისა არ მიუქცევია. ეს მოვლენა, თუმცა ჯერ კანტიკუნტად, აქა-იქ იჩენს თავს, მაგრამ მუდამ მიზეზი, რომელიც მას იწვევს, ისეთია, რომ დღითიდღე მეტს ადგილს დაიპერს ჩვენს ქვეყანაში და დღითი-დღე უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდამ აყრაზედ და სხვაგან გახიზნვაზედ მამულების საშოვრად. უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა: გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა. თქმა არ უნდა, რომ რაკი ამ მოვლენამ ფეხი აიდგა იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, საცა მკვიდრი, ერთხელ ერთის ადგილას დაბინავებული კაცი ძნელად გამოიმეტებს ხოლმე თავის მამა-პაპის ბინას და მიწა-წყალსა, დიდის სიმძიმით და გულისტკივილით ჰშორდება იმ ადგილს, საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი ულვრია მამა-პაპასა, საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ საცა დამარხულან, საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრივს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგვა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა თუ კეთილშობილისათვის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის, იქ მამა-პაპისაგან დაშენებულის, დადებულის ბინის აშლა, აგვა, გათახსირება და სხვაგან ძებნა ბედისა, — იქ აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა, აღარა ეშველება-რა.

ერთი ამისთანა მიზეზი, — განაგრძობს ილია, — როგორც ზემოთა ვთქვით, ადგილ-მამულის ნაკლებობაა. ჩვენ არა გვგონია ჩვენებურნი მკვიდრნი სხვა რაიმე მიზეზმა დასძლიოს და მამულის ბინიდამ იძულებით აპყაროს. ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლადშემძლებლის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ რომ სხვა ყოველ უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული საზღვარი და ამიტომაც უღონია ამგვარის ჭიდილისთვის. როცა სიცოტავე ადგილ-მამულისა ვეღარ უძღვება ხალხს, როცა ვეღარა ჰკვებავს, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არ აყრა და სხვაგან ძებნა ახლის ბედისა.

---

7 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათტომად, ტომი IX, თბილისი, სახელგამი, 1957 წ. გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მოვლენამ ყველაზედ უწინ თუ არა, ყველაზედ შესამჩნევად მაინც თავი იჩინა რაჭაში: — აყრა, მამულის ბინის მოშლა და სხვაგან გადასახლება აქ დაიწყო იმ ზომით, რომ შეუძლებელია კაცმა ყური არ ათხოვოს. პირველი შემთხვევა გადასახლებისა მოხდა 1879 წელს. ამ წელიწადს აყრილა და გადასული ალაგირში (ალაგირი ერთი პატარა ადგილია თერგის ოლქში, არღონის წყლის ახლო. აქ არის ვერცხლის მადანი და ქარხანა რომელიც თუ არა ვცდებით, დღესაც მოქმედებაშია — ი. ჭ.) მარტო ერთი კაცი ონიდამ. მერე 1880 წლიდამ ეს აყრა და გადასახლება გახშირდა ასე, რომ 1882 წლის დამლევამდე 120 კომლი გადასულა. (материалы для изучения экономического. быта государственных крестьян Закавказского края, т. II, с. 93) ყოველი ციფრული საბუთი, რაც ამ წერილში იქნება, ამ ყოვლად შესანიშნავ წიგნიდან მოგვყავს — ი. ჭ.)"[8]. შემდეგ ილიას მოყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ამ გადასახლებას ხელი შეუწყო 1882 წელს რაჭაში დიდმა მოუსავლიანობამ და შიმშილმა, რაც ფათერაკად მოევლინა ამ ადგილს და იმიგრაციის სხვა მიზეზებს ეს მიზეზიც დამატაო. შემდეგ ილია უჩივის იმ გარემოებას, რომ ის სტატისტიკური ცნობები, რასაც იგი იყენებს არასრული, იგი მარტო სახასო გლეხკაცობას ეხება და „... სხვა მკვიდრთა ეკონომიური ყოფაცხოვრება გამოუკვლეველად არის დარჩენილი, რადგანაც პროგრამაში არ იყო შეტანილი, მაგრამ იგი ცნობანი იმოდენად საგულისხმონი არიან. რომ შესაძლოა უტყუარი დასკვნა გამოიყვანოს კაცმა ამ გადასახლების სამუდამო მიზეზის თაობაზედ.

დღეს რაჭაში, — განაგრძობს იქვე ილია ჭავჭავაძე, — სახასო გლეხნი ირიცხებიან 2130 კომლი და ამათში სულ 17429 სულია ორისავე სქესისა. ტყე რომ გამოვიდეთ, გამოვა, რომ სახლ-კარის ადგილი, სახნავ-სათესი, საკენსე და საძოვარი, რომელიც ამოდენა სულის ხელშია, სულ 4765 დესეტინას შეადგენს. თითო კომლზედ მოდის თითქმის 2 1/4 დესეტინა და თითო სულზედ 1/4 დესეტინაზედ ცოტა მეტი. აშკარაა, რომ ასეთი სიცოტავე ადგილ-მამულისა ვერ გაუძღვენა ამოდენა ხალხს, ვერ იშვნეს და ვერ მოითავსებს. ამ სიცოტავეს ისიც დაუმატეთ, რომ რაჭის მიწები მეტად მწირნი და ულონონი არიან. ნაფუზრების გარდა, სხვა მიწებს 10, 15 და 20 წელიწადი შესვენება უნდა თურმე ზოგიერთის ადგილს, უამისოდ არავითარს მოსავალს არ იძლევიან. ამ სიცოტავეს მამულებისას ის მოჰყვა, რომ ზემო რაჭაში ერთი ქცევა (900 ოთხკუთხი საჟენია) სასახლის ადგილი 100-200 მანეთამდე ჰფასობს, ონში — 500-1000 მანეთამდეა, ნაფუზარი 100-220 მანეთამდეა და ისე სახნავი 40-100 მანეთამდე. ამისთანა ფასები პირდაპირ გვანიშნებენ, სად უნდა ვეძებოთ სამუდამო მიზეზი გლეხთა გადასახლებისა რაჭიდან"[9]. შემდეგ ილია აფრთხილებს საზოგადოებას და ხელისუფლებას, რომ თუ რაიმე საშველი არ გამოენახა რაჭის ხალხს, ეს გადასახლება მეტად არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანსო. აქვე იძლევა წინადადებას დიდი მზრუნველი ქართველთა ბედისა, რომ იქნება მთავრობამ ხალხს ნება დართოს, რათა ტყის გამოუყენებელი ნაწილიდან ახო გამოიღონ და სახნავ-სათესად აქციონ: „შრომისმოყვარეს და დაუზარელ რაჭველ რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, დღეს ვერაფერში

---

[8] ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VIII, თბილისი, სახელგამი, 1957 წ. გვ. 301—302.

[9] იქვე, გვ. 303.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსარჩენს ტყის ადგილს ხუთს-ექვს წელიწადში რაჭველი წალკოტად გადაქცევს, თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს. ამ გზით, — იქვე განაგრძობს ილია, — რაჭველი იძულებული აღარ იქნება თავისი მკვიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინვე მოჰტრიალდება. ეს მით უფრო სასურველია, რომ რაჭველი თავშენახული შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება. მეტად სინანული იქნება, თუ ეს ღირსეული და საყვარელი ხალხი ჩვენს ქვეყანაში ვერ მოთავსდეს, ჩვენ გამოგვაკლდეს და სხვაგან დაბინავდება"[10]. იშვიათად თუ ვისმეს გამოუჩენია ასეთი მამაშვილური მზუნველობა თავისი ტომის ხალხისადმი, როგორსაც ილია იჩენდა ამ მართლაცდა, დიდებული ქართველების — რაჭველების მიმართ.

ილია ჭავჭავაძე საინტერესო სტატისტიკურ მიმოხილვას აკეთებს ე. წ. „ბამბის კრიზისის" შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა აშშ სამოქალაქო ომის დროს თითქმის მთლიანად შეწყდა მისი მიწოდება სხვა ქვეყნების საფეიქრო წარმოებისათვის: „ბაშინ იყო ის სახელოვანი გაჭირება, რომელსაც „ბამბის კრიზისს" ეძახიან და რომელმაც აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თითონ ფაბრიკები და ქარხნები ინგლისსა და რუსეთში პირქვე დაამხო. მარტო რუსეთში 659 საფეიქრო ფაბრიკებიდან, რომელნიც 1860 წელს მოქმედებდნენ, 1863 წელს 388-ღა დარჩა, თითქმის ნახევარზე ჩამოხტა. ისიც ძლივსძლივობით სულს ატრიალებდნენ. ბამბა შიდაჯჩისა და ბუხარისა, რომელიც 1860 წლამდე ფუთი ოთხ და ხუთ მანეთამდე ძლივს გადიოდა ნიჟეგოროდის დიდს ბაზარში, ჩრდილო-ამერიკის შტატების ომის დროს 1861 წ. შვიდ-რვა მანეთამდე აიწია, 1862 წელს თორმეტ-ცამეტ მანეთამდე და 1863 წელს კი ოცდაორ-ოცდასამ მანეთამდე... იმ ხანად იმერეთმა კარგი გამორჩომა ჰნახა და ეს შემთხვევა ყველაზედ უკეთესად იმან გამოიყენა: დიდძალი თესვა ბამბისა დაიწყეს იმერეთში და კარგა ფული გაინაღდეს ამ გზით. ღღეს ბამბის მოყვანის საქმე ჩვენში სრულიად შემწყდარია და ეს წყარო სიმდიდრისა ხელიდამ გამოგვეცალა".[11].

ილია ჭავჭავაძე ბამბის თესვის წარმატებას იმერეთში კონიუნქტურულ ვითარებას მიაწერს და მას იგი ორ თვლის პერსპექტიულ დარგად. საქართველოსათვის იგი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შექმნას ადგილობრივი თვითმმართველობითა და მთავრობაზე იმდენად დამოკიდებულებით, რამდენადაც ეს საჭიროა ქვეყნისა და მამულისათვის, უფრო საჭირო საქმედ თვლის, რათა უფრო მეტად განვითარდეს სახალხო მეურნეობის ეს დარგი და გაიზარდოს მოსახლეობის მოხმარების დონე პროდუქტებზე. იგი შემდეგნაირად ასაბუთებს სასოფლო-სამეურნეო დარგების ადგილ მთლიან სოფლის მეურნეობაში — მიწების საშუალო ფართობებზე საშუალო შემოსავლების მიხედვით გადასახლების დადგენა და არა ერთპიროვნულად, მეურნეობათა დიფერენციაციის გარეშე: „... საჭიროა გამოიერკვეს ორთა-შუა სახის მამულის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე რა თქმა უნდა, ეს ორთაშუა შემოსავალი ვენახისა სხვაა, სახნავისა, ტყისა, საძოვრისა სხვა...

---

10 იქვე, გვ. 304.

11 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი VII, თბილისი, სახელგამი, 1956 წ. გვ. 197—198.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექვი არ არის, — განაგრძობს ილია, — რომ ეგრეთი განვითარება ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა და აქედან ეგრე დარგ-დარგად გაწერა საადგილმამულო გადასახადისა, უფრო შეუცდომელი, უფრო ზედმიწევნილი და მართალი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ამა სხვადასხვა დარგის მამულის შემოსავალს ერთ-მანეთში აურევენ და აქედან ერთს ორთა-შუა წმინდა შემოსავალს დაადგენენ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდ მეტნაკლებობით გაწერა აუცილებელია და ასეთი დიდი მეტნაკლებობა უსამართლობა იქნება, მით უფრო არასასურველი, რომ ამ გზით მცირე შემოსავლიანი მამულის პატრონი დაიჩაგრება და დიდ შემოსავლიანი — კი იმედავათებს"[12].

აქ ილია ჭავჭავაძე მიუთითებს სტატისტიკური დაჯგუფებისა და ჯგუფური საშუალო მაჩვენებლების გამოყვანის აუცილებლობაზე, ვინაიდან ერთიანი საშუალების მიღმა იჩქმალება მეურნობათა დიფერენცირებული შემოსავლების სიდიდე, რაც ზოგიერთს აზარალებს, ზოგიერთს კი ახერებს უსამართლოდ. ამის დასადასტურებლად ილიას იქვე მოყავს კონკრეტული გაანგარიშებები: „ვთქვათ, გამოირკვა, რომ მთელ ამიერკავკასიაში ორთა-შუა სახის მამული დღიურზე იძლევა ორთა-შუა წმინდა შემოსავალს: ვენახი 10 მანეთს, სახნავი ორ მანეთს, ტყე და საძოვარი თითო მანეთს. ვთქვათ საადგილმამულო გადასახადი ორია შემოსავლის ასის თავზე (2 პროცენტი-ტ. ს.). მაშინ გადასახადი დღიურ ვენახზე მოვა ერთი აბაზი, სახნავზე ოთხი კაპეიკი, ტყესა და საძოვარზე ორ-ორი კაპეიკი"[13].

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ყველაზე შემოსავლიანად, ილიას აზრით, ვენახი ითვლებოდა: „ვენახი, — ამბობდა იგი, — თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა, დიდძალ მოგებას იძლევა. მაგალითისამებრ... თელავის მაზრაში დღიურს ვენახზედ იხარჯება წელიწადში 34 მანეთი და შემოსავალი კი ორთა-შუა მოსავლისა იძლევა 110 მანეთსა. ასე, რომ დღიურზედ წმინდა მოგება რჩება 76 მანეთი. ხვნა-თესვა კი იმავ მხარეს იძლევა წმინდა შემოსავალს დღიურზედ 10 მანეთსა და ორს აბაზსა... სხვა მარცვლეულობა კი, მაგალითებრ, ქერი, სულ ოთხს მანეთსა და ექვს შაურს წმინდა მოგებას იძლევა და სიმინდი მარტო სამს მანეთსა და ათ შაურს"[14]. აქვე ილია აკეთებს დასკვნას, რომ მოსახლეობის მატებასა და სახნავ-სათესი ფართობების შეზღუდვასთან დაკავშირებით, საჭიროა სახნავ-სათესი ვენახებად ვაქციოთ. ამის შესაძლებლობას ჩვენი ბუნება იძლევა და ამასთან „...ვენახად ქცეული სახნავ-სათესი ერთი-შვიდად მეტს სარჩოს მოიტანს[15]. თუმცა აქვე იგი წინდახედულებას იჩენს და იმის საშიშროებასაც ანგარიშს უწევს, რომ სტიქიური მოვლენები ვენახს უფრო ემუქრება ვიდრე სახნავ-სათესს „... ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგა გვიან მოდის მოსავალი ვენახისა და, მაშასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშ უფრო დიდხანს იმყოფება. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სეტყვა ავიღოთ, ხვნა-თესვის მოსავალი მარტო მკაბათვის დამლეკამდეა სეტყვის შიშქვეშ და ვენახისა კი თითქმის ღვინობის თვემდე, და ამ ხნის მანძილზე ვინ იცის რა არ დაემართოს ვენახსა, კაცზედ დამოუკიდებელ მიზეზის გამო"[16]. ილია ანგარიშს უწევს იმ გარემოებას,

12 იქვე, გვ. 305—306.
13 იქვე, გვ. 307.
14 იქვე, გვ. 167.
15 იქვე, გვ. 168.
16 იქვე, გვ. 168.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თუ სტრიქონურმა მოვლენამ, ვთქვათ, სეტყვამ ორივე სახის მოსავალი გაანადგურა, მაშინ ვენახის პატრონი უფრო მეტად ზარალობს, ვიდრე სახნავ-სათესისა, რამდენადაც უფრო მეტი ხარჯები აქვს გაწეული. მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ძირითადი შემოსავლის წყაროდ ღვინო მიაჩნდა, ამის შესახებ იგი გვაწვდის მეტად მდიდარ სტატისტიკურ მასალას და ეკონომიკურ-სტატისტიკურ ანალიზს უკეთებს ჩვენთან იმ დროს ღვინის წარმოებისა, გასაღებისა და მისი პერსპექტივის საკითხებს. „მინამ ვიტყოდეთ რასმე, — ამბობდა ილია გაზეთ „ივერიაში" 1885-1887 წ. წ. დაბეჭდილ წერილების სერიაში „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი", — რა აბრკოლებს და რა ჰშველის ღვინის საქმეს ჩვენში და რამოდენის ბაზარის იმედი უნდა გვქონდეს ღვინისათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, ცნობები ღვინის რაოდენობისა მარტო ერთის წლისა გვაქვს, სახელდობრ, 1870-სა. ერთის წლის ცნობებზედ ძლიერ ძნელია რაიმე დასკვნის გამოყვანა მით უფრო, რომ არც კი ვიცით, სანდონნი არიან ის ცნობები თუ არა, რადგანაც ამ წიგნში. (историко-статистической обзор промышлености России, т. I), საიდამაც ჩვენ ამის ქვემოთ ამოვკრეფთ ამ ცნობებს, არ არის ნაჩვენები, რაზედ არის დაფუძნებული. რადგანაც ჯერ ხელთ უკეთესი სხვა არა გვაქვს-რა, მეტი რა გზაა, იგი წიგნი უნდა გავიმძღვაროთ წინ და მასვე დავეფუძვნოთ.

ამიერკავკასია ღვინის მოსავლის კვალობაზე ხუთ ნაწილად არის გაყოფილი ხსენებულ წიგნში და თვითო ნაწილის მოსავალი ცალკეა მოხსენებული: ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ცნობანი 1870 წელს ეკუთვნიან და „ვედრით" (ვედრა სამი თუნგია ანუ 16 ბოთლი-ი. ჭ.). არიან არიცხულნი:

	მოსავალი შინ	მოუხმარიათ	გაუყიდნიათ
შვი ზღვის რაიონის ნაპირები:	3753500	2276759	9757750
კახეთი	2915080	728770	2186310
მტკვრის ნაპირები	1425910	875546	5703654
არაქსის ნაპირები	952200	575520	383680
შამახა-გეოკჩაი	95737	23934	71003
სულ ამიერკავკასიაში —	8648427	4460520	4187907

ამ სახით გამოდის, ნახევარზედ მეტი ღვინო შინ ისმევა და მარტო ნახევარზედ ცოტა ნაკლები გადის ბაზარში გასასყიდად. რომ გამოვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ასზედ

	შინ ისმევა	იყიდება
იმერეთში	70	30
კახეთში	25	75
ქართლსა და სომხეთში	60	40

მაშასადამე, ამიერკავკასიას თითქმის 4 1/4 მილიონი ვედრა ღვინო აქვს ბაზარში გასატანი და გასაყიდი, ვედრა რომ ერთიერთმანეთზედ მანეთ-ნახევრად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ღვინისაგან ამიერკავკასიას უნდა შემოუვიდეს ექვსი მილიონი და 375 000 მანეთი, აქედან იმერეთს თითქმის მილიონ ნახევარი, კახეთს სამი მილიონი და თითქმის 279000 მანეთი, ქართლსა და სომხეთს თითქმის 855 000 მანეთი და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ და იმიერკავკასიაში და დანარჩენ ადგილებში რუსეთის სულ 15 მილიონამდე ვედრა ღვინო მოსდის წელიწადში, აქედან 5 588661 შინ სასმელად რჩება ღვინის პატრონებს და დანარჩენი 9 316296 გადის გასასყიდად"[17]. შემდეგ ილია ასაბუთებს, რომ ამიერკავკასიაში „... ორი და სამი მაგოდენა ღვინოც რომ იყოს, მარტო რუსეთის ბაზარს ვერ აუვა, თუ კი ჩვენი ღვინოები გზას გაიხსნიან და რუსეთს მოაწონებენ თავსა"[18], რომლის დასამტკიცებლადაც მოყავს სტატისტიკური მონაცემები რუსეთიდან საზღვარგარეთ გატანილი და შემოტანილი ღვინისა და არაყის ღირებულების შესახებ 1853-1880 წ. წ. მაგრამ ამის გამო ილია აქვე ეჭვსაც გამოთქვამს: „ჩვენ ღვინოს ძლიერი მეტოქე და მოცილე ჰყავს რუსეთის ბაზრში: ეგ მეტოქე ევროპაა, რომლის ღვინოსაც რუსეთი დიდი ხანია სვამს და დიდი ხანია შეჩვეულია. ამ მეტოქის განდევნა რუსეთის ბაზრიდან და მისი ადგილის დაჭერა მეტად რთული და ძნელი საქმეა"[19].

ილია ჭავჭავაძე საინტერესოდ განიხილავს სტატისტიკურ მონაცემებს ამიერკავკასიაში ნავთობის მოპოვების შესახებ, ადარებს მას აშშ ანალოგიურ მაჩვენებლებს და აკეთებს საგულისხმო დასკვნებს, რომ ჩვენში უფრო იაფი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოება შეიძლება, ვიდრე აშშ, თუ დავუჯერებთ ქიმიის პროფესორ ი. მენდელეევის რჩევასო. არანაკლებ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი პურეულით ვაჭრობის შესახებ, რისთვისაც იყენებს შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს 1879-1884 წ. წ. და ადარებს სხვადასხვა ქვეყნებს — ამერიკას, რუსეთს, ავსტრალიას, ინდოეთს. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთს მსოფლიო ბაზარზე 1885 წ. 4 მლნ. ფუთი პურის ხორბალი გაუტანია. ასევე მიმოიხილავს ილია სხვადასხვა ქვეყნებში მარცვლეულის მეტ-ნაკლებობით წარმოებისა და მოხმარების სტატისტიკურ მონაცემებს და არკვევს საერთაშორისო ბაზრის ტევადობის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს როგორც ცალკეული ქვეყნების, და მათ შორის რუსეთისა და საქართველოს, ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების პირობას.

ქართველი ერის დიდი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე მრავალი მეცნიერული დარგის მატერიალისტური გაგების ფუძემდებლად ითვლება საქართველოში. ასეთებია: ლიტერატურისმცოდნეობა, ისტორია, სამართლმცოდნეობა, სოციალური, ეკონომიკური მეცნიერებანი და მათ შორის სტატისტიკა, რასაც ჩვენ ამ წერილში მხოლოდ ზედაპირულად შევეხეთ.

Т. Ш. САРТАНИЯ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ О СТАТИСТИКЕ

Резюме

Зарождение статистики как науки связано с именем основателя буржуазной политической экономии, английского ученого В. Петти (1623—1687 гг.). В ее развитии значительную роль сыграли русские учёные: акад. И. Герман (1755—1856), Д. Журавский (1810—1856 гг.), Я. Янсон (1835—1892 гг.) и др.

17 იქვე, გვ. 157—158.
18 იქვე, გვ. 158.
19 იქვე, გვ. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

И. Чавчавадзе широко применял в своих публикациях общие положения статистической науки, а также имевшуюся в то время статистическую информацию, на основе которых делал весьма важные выводы о состоянии и тенденциях социально-экономических явлений как в Грузии, так и за ее пределами.

В своей статье «О статистике», опубликованной в газете «Иверия» (от 18.I.1888 г. № 12), он дал критический обзор официальных статистических данных и отметил обратные тенденции в численности населения Кавказа — в отдельных его областях, вопреки общим тенденциям, численность мужчин превышала численность женщин. Он придавал большое значение достоверности статистических данных.

В дальнейших своих публикациях И. Чавчавадзе делал научно обоснованные экономико-статистические анализы таких общественных массовых явлений и процессов, какими были, в частности, концентрация средств производства в отдельных руках и обнищание массы трудящихся, миграция населения из Грузии на Северный Кавказ, говорил о справедливости обложения налогами земель с различными доходами от их обработки, о развитии и перспективах виноградарства и виноделия в Грузии, о рынках сбыта вина и зерна, о добыче нефти на Кавказе и др.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციოლოგიისა და დემოგრაფიის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ სტეფანიშვილი

ილია ჭავჭავაძე საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ

დიდმა ილიამ არაერთი შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე 1886-1900 წწ. საქართველოში მევენახეობის მნიშვნელობაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე. მის კალამს ეკუთვნოდა წერილები: ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ, მევენახე გლეხთა მდგომარეობა, მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში, ფილოქსერა, ვაზის სნეულებანი, ვენახების წამლობის შესახებ, ღვინის ქართულად დაყენება, ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი და სხვა. „ჩვენი ხალხი — წერდა იგი — უძველესი დროიდანვე მისდევდა ვენახის კეთებას რადგან ქვეყნის ბუნება და ნიადაგი სრულიად უწყობდა ხელს ვაზის გაშვებას“.

„ჩვენი ქვეყანა, უფრო ბევრწილად, და მომეტებულად — რასაკვირველია — ჰავითა და დედამიწის მომცემლობათა, სულ სხვაა, და ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათმფლობელობა სოფლისა სხვაგვარად წარიმართა. ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასე, რომ ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული, ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას, დიდს ხარჯს, დიდს დროს თხოულობს. ვენახსა და ხილნარს შიგ ჩატანილი აქვს უკუდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა ადუბადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძვარს თავისი ისტორია აქვს... ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფის, გარჯისა და მხნეობისა“[1].

შემდეგ განაგრძობდა იგი, რომ ქართველი გლეხკაცისათვის ძნელია მიატოვოს თავისი მამულ-დედული და ბინადარს მცხოვრებს სამართლიანად „მკვიდრს“ უწოდებენო და არა „მდგმურს“ როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაშიო.

„ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულდამ ამოიღოს თავისი თემი, თავის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითეული ვაზია, თვითეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულდამ ამოღება ძნელია“[2]. „ივერიის“ № 128-ში (1887 წ.) ილია წერდა, რომ ვენახი, თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა,

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. VI, თბ., 1956, გვ. 188.

2 იქვე, გვ. 189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდძალს მოგებას იძლევაო, რომ „ვენახი თითქმის ერთი-შვიდად მეტს იძლევა ვიდრე სახნავ-სათესი... ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამოაკლებისა ჩვენში“.

წერილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“ (1886 წ. 26 აპრილს) სათაურით: „ჩვენი მეევნახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“, ილია ხაზს ესვამდა, რომ იმთავითვე ადგილობრივი მოსახლეობა ყურძენს იყენებდა როგორც საჭმელად, ისე ბუნებრივი ნატურალური ღვინის დასაყენებლად. „დიდი სიმდიდრე თუ არ მოაქვს ღვინის მოსავალს — ნათქვამი იყო მასში — ჩვენი ხალხისათვის, ცოტა შველას მაინც აძლევს. შრომა და ჯაფა მუქთად არ მოსდით. შინ სახმარებლად თავისი საკუთარი ღვინო აქვს, ჯირსა და ლხინში ღვინის ყიდვა არ უნდება და მეტ ხარჯში არ შედის. მარტო ესეც საკმაოა, რომ ჩვენი ხალხი გულმოდგინედ მიჰყოლოდა ღვინის წარმოებას და თავი არ დაენებებია ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის[3]“.

მაგრამ მეევნახეობის განვითარებას აბრკოლებდა რიგი გარემოება. მათ შორის ვაზის ისეთი სნეულება, როგორიც იყო მილდიუმი (ვაზის ჭრაქი), ოიდიუმი („ნაცარი“), ჭიგოს უკმარობა და სხვა. ოცდახუთ წელიწადზე მეტი იქნება — წერდა იგი „ივერიაში“ (1885 წ. № 91), რაც ოიდიუმი („ნაცარი“) ეწვია ჩვენს ვაზს. შემდეგ ფილოქსერა და „ისეთ უბედურებას უქადის ჩვენს ქვეყანას, რომ თუ დროზე არ ვიზრუნებთ და ამ ზედმოსეულს მტერს შესაფერად არ დავხვდით, შეიძლება ამ უბედურებამ ჩვენი ხალხი იქამდე მიიყვანოს, რომ ვენახებზე სრულიად ხელცარიელი დასოს, ამას ზედ დაემატა კიდევ ერთი ვაზის მტერი, რაღაც „ხაშმის“ ჭია... ბოგანა ჭია და ვენახის კალია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ კახეთში ვენახები სულ მოჭამა[4]“.

ამ საკითხებს კვლავ უბრუნდება ილია 1889 წელს. იგი „ივერიის“ № 222-ში წერდა: „ეს ფილოქსერა სახუმარო საქმე არ არის და არც ხანდასაყოვნებელია. ვენახის პატრონებმაც ხელი უნდა გამოიღონ ამ საქმისათვის, და რაც შეიძლება მალე, თორემ მერე ვგიან იქნება, მერე ვეღარ ვუშველით და ის საქმე დაგვმართება, რაც საფრანგეთს მოუვიდა, საცა ასი-ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა... მარტო თავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს-რა. დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის“.

იმავე „ივერიის“ № 277-ში ილია წერდა „ნაცარის“ შესახებ. „ეს ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია, საცა-კი ეს ჭირი მოდებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ... სამეგრელოს, ისეთი ამბავი დაეწია, რომ ვენახების პატრონებმა თითქმის ხელი აიღეს ვენახებზედ და ვაზით ნაშენი ადგილები გაამინდვრეს. რა თქმა უნდა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში არავინ არ ააოცა თვლი ამ დაუნდობელ ჭირს ვაზისას, არავინ არ გამოიძია არც მისი მიზეზი, არც ვითარება... ვაი ის არის, რომ უფრო ადვილად მოსასვლელ საქმეშიაც ივიდე ულონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. იფიქრეთ: აბა კალია რა არის, იმასაც კი ჭიდილი ვერ შევუბედეთ... ამ ოცდაათი წლის განმავლობაში. ეს ბატონი კალია არა ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადაუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა

---

3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, თბ. 1956, გვ. 149.

4 იქვე, გვ. 150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად იცის, ეს პატარა სულიერი რამოდენა წანახდენს, რამოდენა ზარალს იძლევა. ერთმა კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდან მოიშოროს. ამაზე ადვილი რა არის. თვალი ადევნე სად დგება კვერცხს, ამოიღე და დასწვი. ამით თუ სულ არ გაიქლიტა, ბევრისბევრად გაწყდება მაინც. რა საკვირველია, ამას ერთისა და ორის კაცის ღონე არ გასწვდება, ამას ერთიანი გარჯა უნდა, მთელი სოფლობის ღონე და ჯაფა. საყოველთაო ჭირთა და საყოველთაოდ ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჭიდებას".

1890 წ. „ივერიის" № 64-ში, კვლავ უბრუნდება ილია ამ დაავადებებს. „მოვიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტს და ყვავილ ვაზი. პირველ ხანებში სიუხვე და სიმრავლე კვირტისა და ყვავილისა რა თქმა უნდა, გაახარებს ვენახის პატრონის გულსა, ხოლო სასურველია ამ სიხარულმა ის უბედურება არ დაგვიგიწყოს, რომ ჩვენი მტერი ვენახებისა — ნაცარი და ნამტენავად მილდიე — ჯერ კიდევ მოსაცლინებელია. ან ერთი და ან მეორე, ან ორივე ერთად მიესევა აწ სასიხარულოდ გამოსულს ვაზსა და გაზაფხულის ლხინს შემოდგომის გლოვად გაგვიხდის... ეგ წყეულები მერე იმისთანანი არიან, რომ თუ ვაზი წინათვე არ მოამზადე გაუმაგრდეს, მერე, როცა ან ერთი, ან მეორე გამოჩნდება და მიესევა, ყოველივე ღონე თითქმის უქმია და ყოველივე ჭიდილი უიმედო. აი რა მხრით არის სასურველი, რომ ყველა ვენახის პატრონმა წინათვე სამზადისი იქონიოს და წინათვე შეუდგეს ვაზს უწამლოს მტრის დასახვეიდრად და გასაბრუნებლად". რაც შეეხება ვენახის კეთებას, ამ მხრივ აქ ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს, ვისაც კი ცოდნით და წინათაუღებელის აზრით ეს საქმე ჩვენში უსწავლია „კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამტენავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამც თუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც"[5].

ილია მოუწოდებდა მევენახეებს, რომ არ კმარა მაარტო ვაისა და „ვუის ძახილი" ამის შესახებ, საჭიროა პრაქტიკულად მიუდგეთ საქმეს, რომ თანდათან გამოვიწეროთ საზღვარგარეთიდან ამერიკული ვაზი და შეუდგეთ მის — ე. ი. ფილოქსერაგამძლე ვაზის ძირზე ჩვენებური ვაზის მყნობას, სხვა შემწყმელავ ნივთიერებების შეძენას და ვაზის მკურნალობას. ეს კი მოითხოვდა სათანადო ხარჯების გაღებას, რომ ეს სახარჯო ფული უნდა გაიღოს თვით გლეხმაც. მართალია მთავრობაც ეხმარებოდა ამ საქმეში მევენახეებს, მაგრამ როგორც ილია წერდა: „ყოველივე ეს წვეთია ზღვაში. წელს (1890 წ. ა. ს.) ჩვენი ბანკიც აპირებს ერთი ხუთასიოდე თუმნით მიეშველოს ჩვენ ვენახების პატრონებს, მაგრამ არც ეს კმარა... სხვა არა იყოს-რა ამბობენ მარტო კახეთში რამდენიმე ათასი დესეტინა ვენახიო, ახლა ქართლი აიღეთ, ახლა სომხითი და სხვა ადგილები, და სად უნდა გასწვდეს ეს მცირეოდენი ფული. აქ საჭიროა თვითონ ვენახების პატრონთაც გაიკრან ჯიბეს ხელიო. მართალია, ბევრს არაფერს იპოვნიან ამ ჯიბეებში, მაგრამ ეს ისეთი საქმეა, რომ სხვაგან უნდა დაიკლონ, აქ არა დაზოგონ-რა და ერთი საყოველთაო სახსარი რამ იღონონ და ამ ურთიერთობით გაძლიერდნენ ერთმანეთის საშველად"[6].

ასე ზრუნავდა ილია საქართველოში ვენახების გადასარჩენად, ბევრი რამ პრაქტიკულადაც გააკეთა, მაგრამ როგორც აღნიშნული დაავადებები ისე ფილოქსერა თავისას აკეთებდა და თუ 90-იან წლებში ვენახის მთლიანი ფართობი

---

5 იქვე, გვ. 91.

6 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, გვ. 185.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში 70 ათას ჰექტარს აღემატებოდა, 1913 წლისათვის იგი შემცირდა 51 862 ჰექტარამდე, 1917 წ. 37470 და 1921 წ. 36 ათას ჰექტარამდე, ე. ი. სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში განახევრდა მისი ფართობი.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა სერიოზული ყურადღება მევენახეობის აღდგენა-განვითარებას.

ჯერ კიდევ 1920 წ. ჟურნ. „ვაზი და ღვინო“ (№ 4) წერდა, რომ „ფილოქსერა და მრავალგვარი ვაზის სნეულება აქ წლითი-წლობით იმსხვერპლებენ ვაზს და მოსავალს“. ხოლო ს. ჩოლოყაშვილი, ამავე ჟურნალის № 9-ში აღნიშნავდა: „დღევანდელი კახეთის ჩინებული ვენახები, რომელნიც ზურმუხტისფრად ამბინინებულნი, ალაზნის ველის ბეჭედზე გადაჭიფლან და ზღაპრულ წალკოტს მოგვაგონებენ, ათიოდე წლის შემდეგ უვაზო ქვეყანად გადაიქცევა“. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, საბჭოთა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 1922 წ. ოქტომბრის დასაწყისში, წინანდალში მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელზეც შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ და კახეთის მთელ მევენახეებს: „ჩვენი ძალა, ჩვენი მეურნეობის მთავარი ძარღვი არის ღვინო. მისმა მოსავალმა ამ ბოლო დროს შესამჩნევად იკლო, და არ გავა რამდენიმე წელიწადი, რომ უმთავრესი დარგი ჩვენი მეურნეობისა — მეღვინეობა სრულიად მოისპობა. ამის მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე წელიწადია რაც ჩვენს ვენახებს შემოესია საშინელი ვაზის მტერი — ფილოქსერა, რომელიც მუსრს ავლებს ჩვენს ვენახებს... ჩვენი ვენახების ბედი და არსებობა დამოკიდებული იქნება იმაზედ თუ რამდენად სწორად აუღებთ ალღოს დღეს შექმნილ მდგომარეობას... ამ საქმის მოგვარება მარტო მთავრობას არ შეუძლია თუ თვითონ მევენახენი არ შეიგუებენ საფრთხეს და საკუთარი ძალღონით არ ჩაეშვებიან მთავრობის საერთო მტერთან ბრძოლაში“[7].

თათბირმა აღნიშნა, რომ „ფილოქსერას მიერ ვენახების განადგურება მომავალში მოხდება გეომეტრიული პროგრესის გზით, რაც გამოიწვევს მთლიან ვენახის განადგურებას 6-7 წლის განმავლობაში“[8] ასე რომ, ილიას მიერ წამოწყებული ფილოქსერასი და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, ფრთები შეესხა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს და რამდენიმე წლის შემდეგ დადებითად გადაწყდა იგი ჩვენს სინამდვილეში.

მევენახეობასთან დაკავშირებით, გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე ილია ფართოდ იხილავდა მეღვინეობის განვითარების მტკივნეულ საკითხებსაც. იგი 1886-1900 წწ. აქვეყნებდა წერილებს. ქართულად ღვინის დაყენების შესახებ, ჩვენი მეღვინეობის საჭიროებანი, ჩვენი ღვინის საბაზროდ ქცევის საკითხები, ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში და სხვა.

პირველ ყოვლისა, ილია იძლევა ღვინის შემდეგ განმარტებისას: „რა არის ღვინო?“ — სვამდა იგი საკითხს და იქვე უპასუხებდა „იგი ბუნების ნამოქმედარი წვენია ყურძნისა, სხვა სახედ ქცეული მისივე თანდაყოლილის ბუნების ძალთაგან... როცა კაცი იტყვის ეს ფქვილი ბუნებრივია, ამით იმისი თქმა უნდა, რო აქ ფზენილის ხორბლის მეტი არა არისრა. როცა კაცი ამბობს: ეს ღვინო ბუნებერია, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ყურძნის წვენის მეტი სხვა არა არის-რა“[9].

---

7 საქ. სსრ, ორსმცსა, ფ. 288, აღწ. 1, საქ. 287, ფურ. 168.

8 იქვე, ფურ. 165.

9 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, გვ. 125.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი იმათგან, ვინც ხმა აღიმაღლა ყალბი, ფალსიფიცირებული ღვინოების დაძხდებისა და ძაშასადამე ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი პირდაპირ წერდა, რომ ამ საქმის პირველი ოსტატები ევროპიულ ქვეყნებში ღვინის მწარმოებლები არიან და შეციფრავენ მას სხვადასხვა გზითა და საშუალებით ღვინის კეთებას ეძახიანო. „თუმცა ამ თითქმის ყოველად შეძლებულმა მეცნიერებამ დიდი ძალღონე მოიმაღლა ყალბი ღვინის ოსტატებს, მაგრამ ამავე პიროვნულობა მეცნიერებამ გამოაქვეყნა საყოველთაოდ ყოველივე ეშმაკობა, რაც კი ბუნებურს ღვინოს — ამ მაოგებელ და სასიამოვნო სასმელს ადამიანისა, — პრყვნის, აფუჭებს და ხშირად სხეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაც ჰხდის“[10].

ილიას მოყავს მაგალითი იმის შესახებ, რომ ევროპაში ერთძა ძეაფთიაქემ, რომელსაც შეელი ერქვა, დაიწყო გლიცერინით ღვინის შეზავება და კეთება. ამიტომ მის სისტემას შეელიზაცია დაერქვა. მეორენი საფრანგეთში იწყებდნენ ღვინოში წყლის დასხმას და ალკოჰოლის ჩამატებას და ამ გზით ღვინის ერთიორად გადაქცევას.

„ამ ბოროტებას და სიყალბეს — წერდა ილია — ზედ მოსდევს სხვა სიყალბე და ბოროტება, რომელიც იმაზეა ძიქცეული, რომ დაკარგული ფერი დაუბრუნონ ღვინოს და სიყალბე თვალად შესამჩნევი არ იყოს. ამის გამო ღვინოს განგებ ჰფერავენ. ღვინის დასაფერავად ბევრგვარი წამლებია ევროპაში ცოობილი. ყველაზე გავრცელებული ეგრეგ წოდებული ფუქსიხიაა“[11].

საქართველოსათვის ყოველივე ეს უცხო იყო.

„ღვინის კეთებას — წერს ილია — ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპელს უფრთხის და ეიდება დღესაც... ხუოვინ ხუ იფიქრებს, ვითომ ჩვენ ამით იძის თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა, მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენი ღვინისა, რომელსაც ჩვეხებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენნი შინაურნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესძე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის“[12]. ეს ღირსება კი მდგომარეობდა მის ბუნებრიობაში, ღვინის დაყენება მხოლოდ ყურძნის წვენისაგან.

ილია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მოსკოვში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ შრომის ავტორებს, კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე, რომელშიც ის აზრი იყო გატარებული თითქოს კახელი მევენახეები „ვენახის მიწას ადამისყამურ წესით აკეთებენო... ძველი ხალხია, უკან წამორჩენილი, და რა დიდი ლარი და ხაზიდა უნდა, რომ ადამისეული წესი ექნებათო... ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი ანავენ გაჯობნის და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამე“[13]. მეორენი კი აშკარად აბუჩად იგდებდნენ ხუეში ღვინის დაყენების საქმეს, რადგან არ ამზადებდნენ მას იმავე ოსტატობით, როგორც საფრანგეთში. ილია დასაკვნის, რომ „მარტო ამით სწუნობენ

10 იქვე, გვ. 124.
11 იქვე, გვ. 128-129.
12 იქვე, გვ. 76-77.
13 იქვე, გვ. 79-80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურს ღვინის კეთებას მაგალითებრ, საფრანგეთის მინისტრმა ქიმიკოსმა შანტალმა აღმოაჩინა, რომ შესაძლოა მეკვე ღვინის სიმეკვე დაუკარგოს კაცმა; თუ ფხვნილი მარმარილო ჩააყარა, სიმეკვეს მარმარილო შეისვამს და მერე ძირს დაილექებაო" თვითონ სისტემას კი „შანტალიზაცია" დაარქვეს.

„დოქტორმა ლუდვიგ გალმა — განაგრძობს ილია — თავის მხრივ სხვა რამ მოიგონა. ამისის აზრით, ღვინის სიკეთე იმაზეა დამოკიდებული თუ რამოდენა სიტკბო აქვს ყურძნის წვენსა, ესე იგი, რამოდენა შაქარი და თუ ყურძნის წვენს ეს აკლია, უნდა განვე ბა ჩაემატოსო. ამას — „გალიზაციას" ეძახიან. გარდა ამისა ღვინოს ფერის მისაცემად სანდალს უშვრებიან, ჭიაფერსა, ლილას, ალუბლის წვენს, ანწლს და სხვა ათასგვარ წამალსა, მაგალითებრ შაბსა, რკინის არჯანსა, სპირტსა და ერთგვარს შენარევს ტყვიისას... ერთგვარ ნივთიერებასა ხმარობენ ღვინის საფერაკად და ამ ნივთიერებას ფუქსინი ჰქვიან და ზოგჯერ ზედ დარიშხანსაც უმატებენ. ამას „ფუქსინიზაციას" ეძახიან"[14].

ილია წერდა, რომ ევროპაში წყალსა და შაქარს ხმარობენ ღვინის გასაბევრებლად. მათ შორის იყო ფრანგი პეტი, რომელიც დაფუძნებული იყო იმაზედ, რომ „ჭაჭაში იმოდენა ღვინის ნაწევრები რჩება კიდევ, რომ შეესაძლოა ღვინისათვის წვენი კიდევ გამოიწუროს წურვით კი არა, წყლის დასხმითა, და თუ წყალს შაქრითაც შევეზავებთ და ცარიელის წყლის მაგიერ შაქარ-წყალს დასხამთ, უფრო კარგი იქნებაო"[15] ამ სისტემას კი პეტიოტიზაციას უწოდებენო.

რასაკვირველია საქართველოში ადგილი ჰქონდა აქა იქ ღვინის ფალსიფიკაციას, მაგრამ იგი ჩვენი ხალხის მიერ თვალისწინებული და დაგმობილი იყო. „ჩვენებური ხალხი — ამბობდა ილია — ძალიან ჭთაკილობს ღვინოში ყურძაის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს და ვისაც ეგ კანტი კუნტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიება უხმარია, არავინ შემიტყოსო, ესოდენ სირცხვილად და ცოდად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა წვენი ბუნებისაგან მოცემული ყურძნისა წაეწყმიდა და შეებღალა რითიმე თავისგნით ჩამატებული და ჩარევით. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილე და შიშიც მოსდევდა, იმიტომ რომ არც ერთი ვაჭარი, არც ერთი სირაჯი იმისთანა კაცის მარანს არც-კი მიეკარებოდა, ახლოც არ გაუვლიდა, და როცა ამჭრობას თავისი ძალა ჰქონდა, შეკარავდა კიდეც მარანს, რომ არავის გაეჭაჭანა. ასეთი პატივი ჰქონდა ჩვენში ბუნებურს ღვინოს"[16].

„ივერიის" 1888 წ. № 111-ში გამოქვეყნებულ წერილში იგი აღნიშნავდა, რომ „ლოთობას დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს კანონმდებლებმა და მკურნალებმა. მკურნალი ლოთობას ასე უცქერის, როგორც ავადმყოფობას, რომელიც ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანზე. ლოთობა ისეთი მდგომარეობაა როცა ადამიანის ნება და სურვილი სუსტდება და აღარა მოქმედებს. მხნეობის მოძღვრებისათვის **ლოთობა სენია, რომელიც ჭრეყნის ადამიანის ზნეობას და ღედაა ყოველის ბოროტებისა.** (აქ და ყველგან ხაზი ჩვენია ა. ს.) სოციოლოგებისა და ეკონომისტებისათვის ლოთობა მავნებელი — ჩვეულებაა, რომელსაც მოსდევს ფლანგვა სიმდიდრის და რომელიც ძირს უთხრის... წარმოებასა და ნაყოფიერ შრომას.. ლოთობა ისეთივე ძველი ამბავია, როგორც თვით კაცობრიობის გაჩენის ძველი ამბავი... კაცობრიობა და სარწმუნოება, რაც შეეძ-

---

14 იქვე, გვ. 81-82.
15 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, გვ. 133.
16 იქვე, გვ. 86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო ებრძოდა ამ სენს, მაგრამ — კი ვერ მოსპობდა ხოლმე". იქვე დასძენდა, რომ კერძოთ საფრანგეთში ლოთობამ თავი იჩინა მას შემდეგ, რაც „ვენახები ფილოქსერამ გააფუჭა და ღვინის გაძვირების გამო შემოვიდა ხმარებაში... ინგლისში ჯერ კიდევ ძლიერ არის ლოთობა გავრცელებული. მაგრამ რუსეთში უფრო კიდევ მეტად ძლიერ იჩინა თავი ამ სენმა. რუსეთში ლოთობის მიზეზი ის კი არ არის, რომ ბევრსა სმენ არამედ ისაა, თუ როგორ სმენ... ლოთობა ხშირად სიღარიბის ბრალია, მაგრამ თვით სიღარიბე მომეტებულ წილად ლოთობისაგან წარმოსდგება... ვგონებ არ იქნებოდა ურიგო ჩვენშიაც ეფიქრთ, რომ რაიმე ღონისძიება აღმოჩინათ ლოთობის შესამცირებლად.

„ივერიის" 1891 წ. (№ 189, 191, 193) ფურცლებზე სპეციალური წერილები იყო მოთავსებული სათაურით. „ლოთობა", სადაც ნათქვამია: „გამოკვლეულია, რომ სიმთვრალე არამც თუ მარტო სხეულს უუძლურებს ადამიანს, არამედ ეს დაუძლურება მემკვიდრეობითაც გადადის მოდგმაზედ და მეხუთე თაობამდე მთელს გვარეულობას ამახინჯებს და ადუხჭირებს ხორცეულადაც და სულიერადაც. ლოთი კაცის შთამომავალი ან ლოთიეკა (60%), ან ჭკუაზე შეშლილი და ან უზნეო, გარყვნილი".

„ივერიის" 1888 წ. № 135-ში ნათქვამი იყო: „ალკოჰოლი მავნებელი ნივთიერებაა, მომშხამველი ადამიანის სხეულისა, განსაკუთრებით ნერვებისა. ალკოჰოლი ადუნებს, აჩლუნგებს ადამიანს... ამიტომ მოითხოვდა რომ „რაც შეიძლება შევზღუდოთ და შევამციროთ ხმარება არაყისა ხალხში... შეუძლებელია, რომ ღვინო, ლუდი და სხვა ამგვარი სასმელები, რომელშიაც კი სპირტი ურევია, მარგებელ, უვნებელ სასმელად იქნეს აღიარებული. არაყზე ნაკლებ ზიანს არ მისცემს ჭარბად ხმარება ლუდისა, რომლის ჭარბად ხმარება განსაკუთრებით მავნებელია ადამიანის აგებულობისათვის". მეცნიერება ცდილობს — ნათქვამია იქვე — გამოიყენოს ისეთი ნივთიერებანი, რომლითაც შეიძლება ადამიანის გაცხოველება და მათ არ ჰქონდეს ალკოჰოლის მაგვარი მომდუნებელი თვისებაო. ასეთი კი არის „ჩაი, ყავა" და სხვათა. ბოლო ხანებში კი მაგარი სასმელებისადმი მიდრეკილება არამც თუ არ კლებულობს ჩვენში, არამედ ჰმატულობსო სადაც „ძლიერ საშიშია ჩვენთვის და ამისთვის უფრო გვმართებს სიფხიზლეო".

მკითხველი ადვილად მიხვდება თუ რა დღევანდელობით ჟღერს ილიას მიერ ყოველი ნათქვამი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი თავის ერს ამით მოუწოდებდა მხოლოდ ზნეობრივი გაკეთილშობილებისა და სულიერი სიჯანსაღისაკენ.

А. Д. СТЕПАНИШВИЛИ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ О РАЗВИТИИ ВИНОГРАДАРСТВА И ВИНОДЕЛИЯ В ГРУЗИИ

Резюме

В труде освещены взгляды Ильи Чавчавадзе на значение виноградарства и виноделия в экономике Грузии с древнейшего периода вплоть до конца XIX века. Отмечается, что в газете «Иверия» систе-

ეროვნული ბიბლიოთეკა

матически (с 1886 года вплоть до 1900 г.) Илья Чавчавадзе публиковал статьи и письма о состоянии виноградарства и виноделия в крае, о грузинском способе производства вина, о заболеваниях виноградной лозы, о распространении болезни «оидиума», «миннидиума», «филоксеры» и т. д. Подробно освещены замечания И. Чавчавадзе о недочетах в этой отрасли и ликвидации таковых.

Особое внимание уделяется тем мероприятиям, которые предлагал И. Чавчавадзе по борьбе с алкоголизмом и пьянством. Суждения Ильи Чавчавадзе о виноградарстве и виноделии в Грузии всегда имели значение для дальнейшего развития этой отрасли в крае и не теряют своей актуальности на сегодняшний день.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ფურცელაძე

გლახა ჭრიაშვილი და სხვანი...

„გლეხთა საკითხის გადაწყვეტა... უნდა დაეფუძნოს... გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს: მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს ი ძ უ ლ ე ბ ი თ ერთმანეთთან აკავშირებს“ (ი. ჭავჭავაძის „კრიტიკული შენიშვნებიდან“ საგლეხო რეფორმის პროექტების გამო. საქართ. ისტ. ნარკვ., V. 285).

„ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენის მოვალეობის აღსრულებისათვის“.

ზემორე ეპიგრაფთაგან პირველი თუ იმას გულისხმობს, რომ წესიერად მოწყობილ, წარმატებულ საზოგადოებაში სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი, მიუხედავად თავიანთი მანამდელი წოდებრივი კუთვნილებისა, დამოუკიდებელ, სრულფასოვან კონტრაჰენტებად უნდა მოქმედებდნენ. მეორე, შესაბამისად ამისა, არის შექება მოსამართლისაგან ნაყმევი გლეხი-მოპასუხისა, რომელსაც შეგნებული ჰქონია აუცილებლობა და ფასი ვალდებულების სიმტკიცისა, მზადაც ყოფილა პასუხი ეგო თავისი სამართლებრივი ურთიერთობების მიხედვით.

მეორე ეპიგრაფი მოტანილია ილია ჭავჭავაძის ერთგვარი დრამატურგიული ნაწარმოებიდან, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“-დან (I). ეს მწარე სატირა (II), ვგონებთ კი არათუ მხოლოდ სატირა, დაწერილა 1865 წელს, მართლაც. პირველ ხანებშივე ჩვენში საგლეხო რეფორმის (13. X. 1864) განხორციელებისა, მაშინ, როდესაც ილია თვითონ იყო ამ საქმიანობის ხელშემწყობი მოხელის „მომრიგებელი შუამავლის“ თანამდებობაზე დუშეთში. და ამრიგად მოქმედ პირთაგანადაც თავისი „...სცენებისა“, რომელთაც ენობრივად, აგრეთვე ზოგი სხვა რეალიის მიხედვით, ამ მხარის ელფერი სდევს. და ერთობაც მხატვრული გაზოგადებისა და გამახვილების მიღმა „...სცენები“ ყველა სურათში, ყოველ სახეში ისეთი ხალასი სინამდვილე გამოსჭვივის, რომ ეჭვი არ არის ისინი ცხოველ, ნიადაგდღიურ შთაბეჭდილებათა შთაგონებით წარმოსახულან.

დიდი ილიას დაბადების ასორმოცდამეათე წლისთავზე ამ მცირე წერილის საგნად სწორედ „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ ვირჩიეთ. ლიტერატურულ კრიტიკაში ისინი ცაკლე და საგულისგულოდ თითქოს არ განხილულა. ასეთ განხილვას ჩვენ არცა ვთობთ — „... სცენები“ კერძოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლშეგნებითი და ქართული სამართლის მოვლენების მხრივ გვაინტერესებს.

ჯერ ერთი-ორი ცნობა წინასწარ ყურადსაღებად.

ბატონყმობის საგმობელ თავის ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი!?“, „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი, ი. ჭავჭავაძე საგლეხო რეფორმის წინახანაში, მისი და მისთვის სამზადისში (1859—60 წწ.) ქმნიდა და აქვეყნებდა; „ოთარაანთ ქვრივი“ უკვე 80-იან წლებს ეკუთვნის. „გ ლ ე ხ თ ა გ ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ის პ ი რ ვ ელ-დ რ ო ე ბ ის ს ც ე ნ ე ბ ი“ კი, როგორც ითქვა, 1865-ში, თ ვ ი თ ონ ამ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ის მიმდინარეობაშივე დაიწერა, ხოლო გამოცემით თითქოს მხოლოდ 1892-ში დაბეჭდილა.

XVIII საუკუნის საქართველოს საერთო სამართლებრივ კანონად ვახტანგ VI-ის კორპუსი (III) მოქმედებდა, პირველად და უმთავრესად — თვითონ ამ სჯულმდებლის კოდექსი, „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“ (III:7), ხოლო დამხმარედ, მეტ-ნაკლები მნიშვნელობით, — კორპუსის ეროვნული სამართლისაგე სხვა. ვახტანგამდელი წყაროები (III:4, 5, 6), დაბოლოს, — კორპუსშივე შესული უცხოური (ბიბლიური, ბიზანტიური და სომხური — (—III:1, 2,3) სამართლის წყაროებიც.

რუსეთთან შეერთების დროს იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12. IX-ის ბრძანებულებით „ძირეული ქართული კანონის“, ვახტანგის სამართლის მოქმედება სამოქალაქო ურთიერთობების წრით შემოიფარგლა, ხოლო 1859 წელს (ე. ი. თითქმის საგლეხო რეფორმის წინ) სულაც აღიკვეთა (გარდა ზოგიერთი ნორმისა, რაც რუსეთის კანონთა კრებულში იქნა შეტანილი).

ამიერიდან ვახტანგის სამართალს სახელმწიფო მართლმსაჯულებასა და მართვა-გამგეობაში ძალა აღარა ჰქონდა, მაგრამ ხალხს შეგნებასა და ცხოვრებაში იგი ასე ერთბაშად და ერთიანად ვერ ამოიკვეთებოდა — თუკი მავანი ურთიერთობა სასამართლოდ თუ საადმინისტრაციოდ არ გახდებოდა, იგი, რაღა თქმა უნდა, კარგა ხანს კვლავინდებურადვე წესრიგდებოდა (III, IV, V, 4,8).

იმპერატორის იმავე ბრძანებულებით სამოქალაქო საქმეები აგრეთვე „არსებული ქართული ჩვეულებების მიხედვით“ უნდა განსჯილიყო, რომლებიც „გამორკვეული უნდა იქნეს“-ო. ამ „გამორკვევით“ 1813 წლისათვის შედგა კრებული „საქართველოს ძველთაგან და ჩ ვ ე უ ლ ებ ი თ ად ქ ა ერ თ ქ ე ლ მ ე ფ ე თ ა დ როთა შ ე მ ო ე ბ უ ლ ნ ი სჯულნი“, მისი 1815 წლის რუსული თარგმანით — «Обычаи, введенные при грузинских царях законом». ლიტერატურაში ამ კრებულს სახელად „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ დაუმკვიდრდა, და გამოქვეყნებითაც ამ სათაურითვე გამოიცა (VI). იგი ჩვეულებითი სამართლის კრებულად განიხილება (6,5). ეს ისეც არის, თუმცა მხოლოდ ასე არ უნდა იყოს — ამგვარი დანიშნულების ძეგლის შედგენა სასამართლო პრაქტიკის ნაკადს ვერ გადარჩებოდა, და მასში პრეცედენტული სამართლის კვალი საკმაოდ ცხადადაც ვლინდება. კრებულზე მუშაობის მოწყობის, ხელხებისა და მიმდინარეობის დაწერილებითი გამოძიება, იმ მასალა-წყაროებს შესწავლა და შეფასება, რაც მას საფუძვლად დაედო, ცალკე ამოცანაა. სააბისო კვლევას აქ ვერ გავყვებით და ამჯერად მხოლოდ ორ გარემოებას აღვნიშნავთ. ერთი ის არის, რომ კრებულის „ჩვეულებითის სამართლობას“ უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი რუსული სათაური — «Обычаи, введенные... законом» აცხადებს, რომელიც, კაცმა, თქვას, ჩვეულებითი სამართლის ნამდვილ, ახლანდელ ფორმულასავითაც კი იკითხება, თუ არ გავითვალისწინებთ, რომ закон — კანონი და введенные — შემოღება, ე. ი. დამტკიცება, აქ ზედმიწევნით ახლანდელი აზრით არ ითქმოდა. თანაც ქართული, დედანი სათაურის მართებული თარგმანი ასეთი იქნებოდა: «Право[1] Грузии, исстари обычаем при грузинских царях введенное». ამრიგად აქ ნათქვამია უფრო სამართლის ნორმების შემოღება-დამკვიდრებაზე ჩვეულების, პრაქტიკის ძალით, ვიდრე შვებულების დადასტურება-შემოღებაზე კანონის ძალით?, და მეორეც — კრებული არა ერთსა თუ ორ (12) მუხლთან დასძენს, ვახტანგის კორპუსის ამა და ამ ნაწილის, მათ შორის თვითონ ვახტანგის კოდექსისაც, ესა და ეს მუხლი, თუ მუხლები, „ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს", ანდა „არ მოხმარებულ არს"-ო. ასეთი შენიშვნები უეჭველსა ხდის, რომ „... სჯულნი"-ს შემდგენლები მხოლოდ ჩვეულებათა შემკრებლობას არ სჯერდებოდნენ, არამედ სასამართლო პრაქტიკასაც იძიებდნენ და ასახავდნენ. ამას თვითონ სამე მოითხოვდა, და სწორედ ამიტომაც იყო, რომ ადმინისტრაცია „... სჯულნი"-ს შედგენაში ყოფილ თავ მოსამართლეებს (მდივანბეგებს, თბილისის მელიქ-მამასახლისს) რთავდა.

დაბოლოს, რუსულ მმართველობას დახვდა საქართველოში კიდევ ერთი საგანგებო დარგის, ადმინისტრაციულ და მოსაკრეფელ-საგადასახადო სამართლის მოქმედი დებულება — „დასტურლმაღი" (VII, V). ახალი წყობილების ვითარებაში მისმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა ინსტიტუტებმა, რა თქმა უნდა, მოშეტებულად ძალა დაკარგა. ხოლო მოსაკრეფელ-საგადასახადო წესების დარგში იგი, ნაწილობრივად მაინც, ერთხანს მერმეც მოქმედებდა, მეტადრე ბატონყმურს ურთიერთობებში, და დრომდე ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც.

მოქმედი პირნი. „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები" ხდება „მიროვოის პოსრედნიკთან", მის, ასე ვთქვათ, ოფისში. თვითონ ეს ადმინისტრაციულ-სასამართლო თანამდებობა, «мировой посредник»-ობა (ილიასთან, სხვაგან, აგრეთვე — „მომრიგებელი შუაკაცი", ჟარგონულად „... სცენები"-ს მონაწილის პირში — „მირუა", ახლანდელი ლექსიკონებით — „მომრიგებელი შუამავალი") დაწესდა ხელის შემწყობად საგლეხო რეფორმის განხორციელებაში. მას მთავარ განსაგებლად ჰქონდა ნაყმევთა და ნაბატონართა ურთიერთობაში წამოჭრილი, მეტადრე საადგილმამულო, დავები, მიწათმფლობელობითი გამიჯვნა მათ შორის და შედგენა შესაბამისი — „საწესდებო სიგელებისა", ილიასთან — „დებულების ოქმებისა".

ილიას „მიროვოის პოსრედნიკი" თავის თანამდებობას დიდი თავდაჭერილობით უძღვება — არამცოუ მიჰკერძავს ვისმე, ყველა მომრიგან-მოპასუხეს ერთნაირად, სრულიად თანაბარი ზრდილობით, გულისხმიერებით და კეთილ-

---

1 „სჯულნი"-ო. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი"-თ, სჯულის მნიშვნელობე ყოფილა „კანონი, სარწმუნოება, ადეგნა", „მოძღვრება", „საწყვლი", სამართალ...", სულხანსაბა ორბელიანის განსაზღვრებით „სჯული არს სიტყვა მბრძანებლობით ვიღრეშე, რომელ-რომელთა ჯერ-არს ქმნაა...". ე. ი. ეხლანდებურად — ეოთობ ნორმაო.

2 ნიშანდობლივია, რომ საბჭომეთხეეფო მაშინდელ ოფიციალურ მიმოწერაში შენაცვლებით ასეთი გამონათქვამები იხმარება: „...обычаи народные, которые почитались за закон..." და თითქოს უფრო ხშირად — „...коренные и обычаем введенные законы..."-ო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსურნეობით ეკიდება. მართალია მის „ოთახში“ „გლეხები“ ზეზედა დგანან, — ეტყობა დრო ამას მაინც მოითხოვდა, — „მებატონეები“ კი სკამებზე სხედან, მაგრამ საქმის განხილვაში პირმოთნეობით, პირველობა-მერმერობით თუ სხვაფრივ უპირატესობა არავის ეძლევა. მას მოთმინება და სიდინჯე ჰყოფნის გლეხი გლახა ჭრიაშვილის გამაჯერებელი, „ფეიქრის ქსელივით გაპმული“, უთავბოლო ნაუბრისათვისაც და „აზნაურის ქვრივის“ ყოველად შეუწყნარებელი ახირებულობისათვისაც. პირველი იგი, სხვანი რომ არ დააყოვნოს, მოსმენის ჯერს გადაუნაცვლებს, მეორე კი, მერმერელად არის „მოთმინებიდან გამოსული“ და მრავალჯერი ამაო შეგონების შემდეგ „გულზე მოსული“, რაღა გაეწყობა, აჯარიმებს და „სამართალში მიცემით“ ემუქრება.

მიუხედავად უნაკლო მიუკერძოებლობისა, „... პასრედნიკს“, ისე ჩანს, მომჩივან-მოპასუხე „მებატონეთა“ მარაქა მაინცდამაინც თვალში არ უზის, შეგნებით იგი თითქოს უფრო ნაყმეევების, მეტადრე გამრჯე, წარმატებისათვის შემართებული გლეხების მხარეზეა, მისი ეს შინაგანი მიდრეკილება, მართალია საქმით არანაირად არ გამჟღავნებულა, მაგრამ იმათთვის, ვისაც მასთან საქმე აქვს, ეტყობა, თუნდაც ქვეცნობიერად, მაინც შესაგრძნობი ყოფილა, მეტადრე, თუ კაცი საამისოდ განწყობილიც იქნებოდა, და აკი გაისმის კიდეც დაუმსახურებელი, უხეში საყვედურები.

„(აზნაურის) ქვრივი. (გულამომჯდარად) აბა, ეხლა აგვიშენდა, ჩვენ, კეთილშობილებს, ოჯახები. აი! თქვენც, ჩვენი მიწაწყლის შვილს, კეთილშობილისსახლსა და ხორცს, ამათი მხარე გეჭერიათ. აბა, თქვენგან რაღას უნდა მოველოდეთ?... აზნაურსა და კეთილშობილს თქვენთან სამართალი არა ჰქონია...

ქვრივის მაზლი: ეჰ, თქვე დალოცვილო, კანონი თქვენს ხელშია, და როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ“.

ახალი კანონები, ხდება, ბორკავს სამართლიანობას, ეღობება თავისებური ურთიერთობის მოწესრიგებას შესატყვისი ეროვნული ნორმების მიხედვით. და „პოსრედნიკი“, თუმცა თანამდებობითაც ავალია, მაგრამ თან აშკარა სიბრალულითა და მონდომებით ეუბნება გლეხს, რომლის მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს:

„პოსრედნიკი. თუ კანონზე მივარდა საქმე, ვერაფერი (გეშველება), მაგრამ მე შენ მებატონესთან მოვილაპარაკებ, იქნება შეგაბრალო და თითონ თავის ნებით დაგიბრუნოს (ვენახი)“.

ასევე, სწორედ და მხოლოდ თანამდებობრივი თავგამოდებით არ უნდა იყოს ჩვენს „... პოსრედნიკ“-ს წოდებათა შორის მშვიდობა და სათნოება საწუკვარად რომ ეგულება:

„პოსრედნიკი (გლეხს, რომელმაც შეუდავებლად აღიარა თავისი ვალდებულება): ბარაქალა, რომ აგრე მუყაითი ყოფილხარ შენის მოვალეობის აღსრულებისათვის; წადი უშენგე და ჩაადბარე.

ერთი მოხუცი მებატონე (თავის-თავად ხმამაღლა) ვინა სთქვა. — გლეხმა ჩვენწინდ გული აიყარაო... კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება.

პოსრდერნიკი. დიაღ, პატიოსანი გლეხი ყოფილა...

...(ეუბნება მოპასუხე მებატონეს და მამულზე მოდავე გლეხს)... მაღლობას მოგახსენებთ მშვიდობიანად მორიგებისათვის. გასაგონადაც სასიამოვნოა მაგისთანა სიტკბოებით მეზობლობა, როგორიც თქვენა გქონიათ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიას „მიროვოის პოსრედნიკს“ აშფოთებს, რომ ხალხის შეგნებაში, უმეცრებით არის თუ განგებ შთაგონებით, თავს იჩენს გაყალბებულ-გაზვიადებული ახრი საგლეხო რეფორმის თაობაზე, რაც ვნების, მტრობის მეტს არაფერს მოასწავებს.

„გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი... ჩვენ გლეხკაცნი ვართ, ყველაფერს ძალე დ ა ვ ი ჯ ე რ ე ბ თ ხვალმე... ბძანებაა — ოც-და-ხუთი მანეთი წეართოს და ო რ მ ო ც დ ა-ა თ ი რ ო ზ გ ი დ ა ე კ რ ა ს იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო.

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. ეგ ვინ გითხრა შენ?

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი. განა გლეხკაცნი რომა ვართ, ზ ა კ ო ნ ი ს კ ა ნ ო ნ ი ჩვენ კი არ ვიცით, შენი ჭირიმე?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დღეის ამას იქით, იცოდეთ, ვინც მაგასთანა ს უ ლ ე ლ უ რ ს ხ მ ე ბ ს ჰ ყ ო ს ი ს ხ ა ლ ხ ბ ი ა, თუ ჩავიდე, ძალიან დავასჯევინებ... ეგ სულ ტყეელია და ამასთანაც ს ა მ ა რ ტ ხ ვ ი ნ ო ა, რომ თქვენისთანა ჭკვიანი კაცები მაგისთანა სულელურს სიტყვებს იჯერებენ...“

„მიროვოის პოსრედნიკის“ წინაშე მთხოვნელ-მოპასუხეთა სახით ორი მოპირისპირე კლასი მოქმედებს — მემამულე-ნაბატონართა და უშუალო მწარმოებელ-ნაყმევთა. „... სცენებ“-ში ორსავე ამ მხარეს ჰყავს თავისი უკიდურესი, თუმცა პაროდიულ-გროტესკული, მაგრამ მხატვრულად ჰეშმარიტი წარმომადგენელი, ესენი არიან გლეხ ა ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი და ა ზ ნ ა უ რ ი ს ქ ვ რ ი ვ ი.

გ ლ ა ხ ა ჭ რ ი ა შ ვ ი ლ ი ზოგად სახედ არის ქცეული, ტიპად კაცისა, რომელსაც ზნედ სჭირს გაჭიანურებული, დ ა უ ლ ა გ ე ბ ე ლ ი, უაზრო-უთავბოლო ლაპარაკი, თვითონ მას ჰგონია, ვითომ „სიტყვა-პასუხიანი კაცის“ სახელი ჰქონდეს მასხარად ასაგდებად თუ! აბა სხვასაცა ვკითხოთ: „... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს... კაი დ ა ლ ა გ ე ბ ა გ ცოდნია“, „მე რომ მაგისი ამბავი ვიცი, ეგ ისევ თავიდამ მოგვიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება“, „რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქრის ქსელივით გაადი და აღარ ათავებ“-ო; და პოსრედნიკიც — „კითხვით კი გკითხავთ და რომ არ იქნა, ვერ შეგვატყობინე (შენი „ნაღველი“)!... მე შენ, როგორც გატყობ, დღეს შენის საქმის გათავებას არ აპირებ. მოდი... პატარა ხანს იქით მიდეგ: მე ჯერ ამათ გამოვკითხავ თავიანთ საქმეს და მერე მომიყევ შენი ამბავი...“-ო.

თავისი „ბეჩაობისა“ და „რეგვნობის“ მიზეზი განა თვითონ გამოთაყვანებულმა გლახამ არ იცის, და მისივე ნათქვამი რომ გავაზოგადოთ, ეს მიზეზი ბატონყმობაა — „...ჯაფამ გამტეხა. შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება... ჯაფამ და ბ ა ტ ო ნ ი ს ს ა მ ს ახ უ რ მ ა აგრე იცის...“

გლახა ჭრიაშვილს აუზემდია და თავის მონოლოგებს უფრო ამით იწყებს ხოლმე: „... როგორც მოგეხსენებათ, პაპა. ჩემი ა ზ ნ ა უ რ ი გ ხ ლ ე ბ ი ა თ ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“. ვის სმენია, ვისგან, საიდან? და კაცი ვერ მიუხვდება, ამ საუკუნე-ნახევრის ამბავს მისტირის მხოლოდ, თუ ეს ერთნაირი მაძიებლობაა აზნაურობისა და „მიროვოის პოსრედნიკთან“, რაკი ახალი დროება დგებოდა და „მოსამართლე ხელმწიფის ყურია“-ო, ოდინდელ ამბად გაგონილი, ვითომ ქონებული პატივისათვის უგუნურმა სარჩელმა მოიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ქ ვ რ ი ვ ი“, თავისი თქმით — „დარბაისელი კეთილშობილი დედაკაცი“, „საცოდავი... ქვრივ-ოხერი. ობლების პატრონი“, ნამდვილი კრებულია დრომოჭმული, მთლად გაუკეღმართებული მებატონეობის მთელი სისაძაგლისა. შეიძლება გავიკვირვოთ კიდეც, რაღა მაინცდამაინც მანდილოსნად გვაჩვენა ილიამ ეს ტიპი-სიმბოლო. — იქნებ იმისთვის, რომ ფლიდსა და ორპირს, ვირეშმაკს, ბუნებით მტარვალს, გამწარებულ-გასპასტებულს, ამ ქალბატონს თავისი სქემის კლდემამოსილება ნატამალად არ შერჩენია და მისი სახით თვითონ მოვლენის სიავე უფრო შემზარავად წარმოჩენილიყო.

ჩვენს „ქვრივ-ოხერს“ თავისი „კეთილშობილება“ სულ პირზე აკერია. „კეთილშობილის სისხლით“ თავი მოაქვს — „... ჩვენ კი ჩვენს სისხლს არ დავკარგავთ“-ო, — „თავისი პატივი ყველგან იცის“, იცის, რომ აზნაურს „გლეხთან ყოველთვის პირველი ადგილი აქვს, თავადს კიდევ აზნაურთან“. „ბატონყმობის გადავარდნას“, „სისხლით ნაშოვნი“, „შესავლითა და გასავლით (ბატონის)ყურმოჭრილი ყმების ჩამორთმევას „ცის თავზე ჩამოქცევად“. „ქვეყანაზედ მეხად“ იღებს. წყენლა-კრულვა და ლანძღვა-გინება არ არის, რომ გლეხებისათვის დაიშუროს. ისეთიც კადრება, რომ ჭკუა არ მოიგონებს და ენა არ იტყვის“, არაფრად უღირს. აგერ ნიმუშიც მისი სულიერი და გონებრივი ნაღრძობობისა.

საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით, თანახმად წესებისა „ყმების პირადი განთავისუფლების გამო მემამულეებისათვის ფულადი გასამჯელოს (— საზოაურის! — დ. ფ.) გაცემის შესახებ“ ყოველი განთავისუფლებული კაცყმისათვის მებატონეს 25 მანეთი უნდა მისცემოდა (VII, 292) და აი:

„პოსრედნიკი. მესამედა გთხოვთ, ღონისძიება მომცეთ ამ გლეხს საჩივარი მოვუსმინო. დაბრძანდით, თქვენი რიგიც მოვა.

ქ ვ რ ი ვ ი რაო? განა მაგათი ამხანაგი ვარ, რომ მაგათ რიგში ჩავდგე, მაგ კ ა ხ უ რ ღ ო რ ე ბ შ ი ა. უწინამც დღე გამქრობია!...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. (მოთმინებიდან გამოსული) მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ თქვნის ურიგო ლაპარაკით იძულებული გახდით გთხოვთ აქედამ გაბრძანდეთ.

ქ ვ რ ი ვ ი. (პატარა ფიქრმოცემული) რადა, თქვენი ჭირიმე. რისთვის? კ ა ხ უ რ ი ღ ო რ ე ბ ი რომ ვსთქვი, სხვა ხომ არაფერი! მაშ განა ტყუილია? ბატონო, ეგენი არ არიან, რომ ოცდა ხუთ-ხუთ მანეთად დაიფასესე! კახური ღორი, თქვენშა მზემ, ზოგჯერ მეტადაც იყიდება. მაგ სულელებს ფიქრადაც არ მოუვიდათ, რომ ერთი ოც-და-ხუთ ხუთიოდ მანეთი თითონ ზედ დაეყარათ, რომ კ ა ც ი კ ა ც ი ს ფ ა ს ა დ გ ა ს ულ ი ყ ო. აი, გლეხები მაგისთანა უსინდისონი არიან აი, რომ თავის-თავის ფასიც არ იციან...“

და ჩვენი ეს „ქვრივი“ თავისივე წოდების სხვა პერსონაჟებივით მთლად უმეცარი როდია, როცა სჭირდება, იგი „... პოსრედნიკს“ მადალფარდოვნადაც და ვ ე ფ ი ს ტ ყ ა ვ ო ს“-ნურადაც მიმართავს — „ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ბრძენო და ბრძენთა-ბრძენო, ქვრივ-ოხრის გამკითხველო, ობოლთა მწყალობელო. მ ა ღ ა ლ ო დ ა ს ვ ი ა ნ ო, უ ხ ვ ო დ ა მ დ ა ბ ა ლ ო“-ო.

იგი წარამარა ვასტანგის სამართალს — „კანონს“ ახსენებს და თავის პრივილეგია-პრეტენზიებს, კერძოდ სარჩელსაც, მასზე ამყარებს.

ქ ვ რ ი ვ ი... მეფე ვახტანგის კანონი ჩვენც წ ა გ ვ ი კ ი თ ხ ა ვ ს. თუ ეს კანონები შეუცვლიათ, გამოგვიცხადეთ მაინცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მეფე ვახტანგისაგან დაწესებულს, დაბეჭდილს და დამტკიცებულს კუთვნილს მიბოძებდით...".

მაგრამ ეს ერთობ, და არა ჩანს კი, რომ ვახტანგის „კანონების", ცოდნას აღარ ვიტყვით, ნამდვილი წარმოდგენა ჰქონდეს, ანდა მათ კერძო გარემოების გამო შესაფერისად იშველიებდეს...

თავიანთ მემამულურ-მემატონურ უფლებებს „ქვრივი" და მისი „მაზლი" ერეკლე II-ისეულ საბუთებზედაც ამყარებენ, და ამაშიც მათი დრომოჭმულობა და უბადრუკობა ცხადდება:

„ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი (პასუხად „პოსრედნიკს", რომელიც რეფორმის შემდგომი „დებულების ოქმის" — „საწესდებო სიგელის" დაწყებამდე მიწათმფლობელობის status quo-ზე ეუბნება, — მართლა ეშლება თუ ყასიდად, — დ. ფ.) ოქმი დიდი ხანია, თქვენმა მზემ დაწერილი მაქვს და ყუთშიაც მიდეს. მეფე ერეკლეს ოქმია, რომ გაშალოთ, ამ ოთახს თავიდან ბოლომდე გასწვდება, თორმეტი მეფეთ-მეფის (?! — დ. ფ.) ბეჭედი აზის, ხონთქარსაც (?! — დ. ფ.) ხელი უწერია...

ქ ვ რ ი ვ ი... მაშ მეფე ერეკლეს ხსენება ქვეყანაზედ აღარა ყოფილა; მაშ იმისაგან ბოძებულს... ოქმსა ძალა აღარა ჰქონია... შენც არ მომიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო. აბა რა? მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდეთ და ახალი დაწერეთ...".

მაგრამ „...ქვრივი" მხოლოდ ყბედი და ავყია როდია, იგი მავნე, მქირდავი, დაუზოგავი და უწყალოც არის. ვისაც არ გინდა, რაღა ნაყმევს, თავის მაზლსაც კი, სულ ადვილად „ბუნტ კაცად" აცხადებს და „რუსული წკეპლისათვის", საცხედ და საცმბირედაც არა ზოგავს.

„ქ ვ რ ი ვ ი... დიდი რამ მომხდარა, თუ მებატონეს... ვენახი წაურთმეფია. კ ა რ გ ი ა რ ო რ მ ე ვ ბ ი თ ი ო ნ ძ ა ღ ლ ზ ე დ ა რ გ ა უ ც ვ ლ ი ა...

... რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი, გეცოდნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძ ა ღ ლ ის ლ ე კ ა ზ ე დ გ ა ვ ა ც ვ ლ ი დ ი თ... სჩივიან, ვეღ უყურებთ, ბატონზედ სჩივიან. აი, სად არის ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისათვის არ გაგაწვენინებს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ ავაძრობს...

(პოსრედნიკს თავის მაზლზე)... მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავასმევინებდი, ...ერთი ბუნტი კაცია... ქურდიც არის, საცმბირია.

გ ლ ე ხ ი. აღარა ვართ, ქალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა.

ქ ვ რ ი ვ ი, უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემს სანეხვეში ჩაგარჩობ მურა-ძაღლისავითა!...

(პოსრედნიკს)... ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ! ეხლა მე ვიცი, თქვენ იმ უბედურის-შვილს (თავის ნაყმევზე. — დ. ფ.) დაეჭერინებთ, ციხეშიაც ჩასომთ, მაგრამ... ბევრს ნუ აცემინებთ: ა ზ ი ზ ა დ ა მ ყ ა ვ ს გ ა ზ რ დ ი ლ ი (! — დ. ფ.) ... ერთი... სამოციოდე რ უ ს ი ს წ კ ე პ ლ ა ეყოფა ... თუ გეცოტავთ, ერთი ოციოდე კიდევ მოუმატეთ... ეს კია, რომ რ უ ს ს უ ნ დ ა დ ა ა ი კ ვ რ ე ვ ი ნ ო თ როზგები, თორემ ქ ა რ თ ვ ე ლ ი, ხომ მოგეხსენებათ, მ ა გ ი ს თ ა ნ ე ბ შ ი ქალაჩუნა არის, ისე ვერ დაკრავს, როგორც ზაკონი და კანონია..."

ზაქროსაგან კაკო-ყაჩაღისათვის ნათქვამისა არ იყოს — „...თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს".

ვნახოთ ახლა ის „სიკარგეც", თუ ასეთად ითქმის, რომელსაც ეგრეთ წოდებული „ბატონყმობის რიგი", ასე იყო თუ ისე, იფერებდა და რომელიც მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგვარი პატრიარქალურობის ნიშნეულობითაც, დროთა ვითარებაში შემორჩენოდა.

საამისო ავ-კარგს უფრო „... სცენები“-ს თვითონ სხვა მებატონეებივე გვამცნობენ.

ისინი, რა თქმა უნდა, ძირეულად იმავე ბუნებისა და აზრთა წყობისანი არიან,მაგრამ აშარ „ქვრივ“-თან შედარებით უნიათებად და, ლამის არის, თვინიერებადაც კი მოჩანან.

„მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე (ნაყმევი, იაკობ შაიაშვილი პაპეული „ნასყიდობის ქაღალდით“ მისგან მიწას „საკუთრებად იძიებს“. — დ. ფ.) (ღიმილით) მე, შენი ჭირიმე, უწინდელი კაცი ვარ, კ ი თ ხ ვ ა ა რ ვ ი ც ი... ბიჭო და, თუ ნასყიდი იყო, ღ ა ლ ა ს რ ა ლ ი ა ნ ე ბ ა მ ა ძ ლ ე ვ ე დ ი? („ი ა კ ო... „ბ ა ტ ო ნ ი ი ყ ა ვ ე დ ა გ ა ძ ლ ე ვ ე დ ი, მე რა წინაღმდეგობა შემეძლო...“)... მაშ თუ აგრეა, ჩემი იაკო, ეგ ქაღალდი ჯერ ჩემთვის უნდა გეჩვენებინა, მე და შენში სხვა კაცი რა საჭიროა იყო? ე ს ე ც ა მ ო ვ ბ ვ ე ლ ბ ე ბ ო ნ ი თ. ეგეც რომ არ იყოს, ერთი-ორიოდ დღის შ ა ვ ა მ ი წ ა ს, როგორ დავიშურებდი შენთვის: შ ე ნ ი დ ღ ე ნ ი ჩ ე მ ს ე რ თ გ უ ლ ე ბ ა შ ი დ ა გ ი ღ ა მ ე ბ ი ა... („პოსრედნიკი“ ნასყიდობის ქაღალდს“ წაუკითხავს. — დ. ფ.) მაშ რაკი აგრეა, თუნდ შენი ერთგულება და პურ-მარილიც არ მახსოვდეს... რაც უნდა იყოს, პაპა-ჩემის სახელს მე მჩვრად არ გავდნი. მომიცია შენთვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გამოგიყენოს!... („ქვრივის“ რეპლიკაზე). — დ. ფ.) (თითქო ეწყინაო). მე მუხრან-ბატონი არა ვარ, მე ერთი ღარიბი აზნაურთაგანი ვარ, რომელსაც ერთი ლუკმა ღარიბული პური აქვს და ჰკდილობს, რომ ეს ლუკმა შეეგროს, დამიმადლებს (იაკო. — დ. ფ.), თუ არა, — ეგ თითონ იცის, მე კი, როგორც მივლია, სადლავის კარებამდინ ისევ-ისე ვივლი. (გლეხს) იაკო! მე და შენ, მგონი, ერთმანეთზედ ბევს არ ავიყრით! ... დალოცა, ღმერთო, შენი სამართალი: გაუყრელს ვერავინ ვერ ვაყრის!... (... მხიარულად) წამი იაკო, ერთი ჩვენ კაკალ ქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლ ა ღ ი ყ ო ა, მ ტ ე რ ო, ა რ შ ე ე ბ ე ბ ო ვ ე ბ ი“ — თქო და სხვამ რაც უნდა სთქვას...“.

„ქვრივის მაზლის“ სახით კი აზნაურული შეზღუდულობა და ბუნებითი თუ განზრახ დაჩემებული გაუგებრობა და გასწორ-გასწორობა წარმოგვიდგება.

„ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი“ (მას ნაყმევი მიწის ჩამორთმევეს ედავება. „პოსრედნიკი“ განუმარტავს, რომ, „... ვიდრე „დებულების ოქმი“ დაიწერება... გლეხს ის უნდა ეკიროს, რაც სჭერია...“, და რომ ამ ოქმში „გამოცხადებული უნდა იყოს, თქვენგან რა ერგება გლეხისაგან რა გადასახადი გერგებათ თქვენ“-აო). თ ქ ვ ე ნ ც ა რ მ ო მ ი კ ვ დ ე თ, ჩ ე მ გ ა ნ გ ლ ე ხ ს ა რ ა ე რ გ ო ს - რ ა დ ა თ უ ი მ ი ს ა გ ა ნ მ ა რ გ უ ნ ე ბ თ რ ა ს მ ე, ეგ თქვენ იცით... ე რ გ ო ს რ ა მ ე!..-. რ ა უ ნ დ ა ე რ გ ო ს ჩ ე მ ს ყ მ ა ს ა ჩ ე მ გ ა ნ ა? ჩ ე მ ი ძ მ ა ა რ ი ს? ...ყოველად მოწყალე ხელმწიფემ ინება, ყმა ვანთაგანსუფლა, მიწაო, ბრძანა, ბატონისა არისო. მე ჩემი ჩამაბარეთ, მ ა გ ა ს თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ი ე ც ი თ...

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი... ის სამის დღის მიწა თქვენს ნაყმეკს ისევ უნდა დაუბრუნოთ.

ქ ვ რ ი ვ ი ს მ ა ზ ლ ი. რატომ? მიწა ხომ ჩემია, ასე არ ინება... ხელმწიფემ?

პ ო ს რ ე დ ნ ი კ ი. დიახ, თქვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივის მაზლი. თუ ჩემია, მევე მომეცით; მინდა, რომ ჩემი იყოს. მე მინდა ჩემი მიწა მევე მოვიხმარო. ხათაბალაა, შენია და შენი კი ნუ იქნებაო, გაგონილა!

პოსრედნიკი. თქვენია, მაგრამ მთავრობამ გლეხის ნაბერი მიწები ისევ გლეხებს მისცა სახმარებლად, რომ... ცოლ-შვილი გამოკვებოს, ხელმწიფისა და მებატონის ხარჯს გაუძღვეს და თქვენ კი, იმის ნიშნად, რომ მიწები თქვენია, დაწესებული გადასახადი უნდა მოგართოს.

ქვრივის მაზლი. არ მესმის, ერთი ეს მიბძანე. მიწაა ისია?

პოსრედნიკი. მოგახსენებთ, მებატონისა-მეთქი.

ქვრივის მაზლი. თუ მებატონისაა, გლეხს რაღად აძლევთ? მაშ სახელი ჩემი ყოფილა და სახრავიკი იმისი. ჰო, ეხლა კი მიეხვდი, რაღას მაწვალებ, შე დალოცვილო, აგრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო...

...მე მგონია, კანონი დიდისა და პატარისათვის ერთი უნდა იყოს. წეღან იმ გლეხს უბძანე: რაკი ბატონს ვენახი ჩამოურთმევია, არა გეშველება-რაო, — და ეხლა მე მიბძანებ: რაკი ჩამოგირთმევია, უნდა დაუბრუნოვო, ეს სადაური სამართალია?

პოსრედნიკი. იქ სხვა გარემოება იყო და აქ სხვა არის. (იხ. ქვემოთ, სადაც დავები განიხილება! — დ. ფ.).

...

პოსრედნიკი... მოგახსენებთ, რომ გიორგობის რვას 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეხს ჩამოართვას რამე.

ქვრივის მაზლი. ეჰ, თქვე დალოცვილო, კანონი თქვენს ხელშია, და როგორც გინდათ, ისე ატრიალებთ.

...

პოსრედნიკი. მე განაჩენს დავწერ და, თუ უკანონობას რასმე ხედავთ, ზედ დაწერეთ, რომ კმაყოფილი არა ხართ და მერე იჩივლეთ.

ქვრივის მაზლი. ეჰ, შე დალოცვილო, სად ვიჩივლო? ასე გგონია შვიდი შკოლა გამეთავებინოს, ჩემს გვარს ძლივ დავწერ ხოლმე. აძღევთ, მიეცით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ...“

რძლის წასისინებით (— „აკი გითხარ, დაბალი ღობე ვნახა-მეთქი. რატომ იმ გლეხკაცს არ დაუბრუნა ვენახი!, თუ აგრეა?“-ო) „ქვრივის მაზლი“ რომ სასამართლოს წინაშე თანასწორობის დებულებას მიმართავს, — ვენახის ჩამომრთმევი მებატონე წოდებრივად უფრო წარჩინებული თუ იქნებოდა: ვახტანგ VI-ის კოდექსით თავადობა და ახნაურობა სამ-სამი ხარისხისა იყო (III: 7. მ. 21-31).

„... სცენების“ გლეხკაცობა თანაბარი არ არის არც შეძლებულობით და არც ზნეობრივად. მათში წარმოჩენილია, თუ როგორსა და რაოდენ გავლენას ახდენდა კერძოდ მავან წაყმევე-ნაბატონარის კაცობა და მათი მინაშდელი როგორც უფლება-მოვალეობითი, ისე პიროვნული ურთიერთობის ავ-კარგი რეაქციაზე რეფორმის გამო, და ახალ ვითარებასთან, ემანსიპაციასთან შეგუებაზე.

ჩვენ ვნახეთ გლახა ჭრიაშვილი. „... პოსრედნიკთან“ მოდის აგრეთვე გლეხი, რომელსაც ახალმა ვითარებამ იმედი აღუბრა, მებატონისაგან კარგა ხნის ჩამორთმეული ვენახი იქნებ დამიბრუნდესო.

---

3 თვითონ ამ ვენახის საკმეზე იხ. შემდეგ, სადაც დაევებზეა საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან იმრიგად გამწარებულნი და შეურაცხყოფილნი თავიანთი ბატონების ახირებულობითა და თავებებით, მსხვილმანსა თუ წვრილმანში, რომ უწინდელ დროს თავისით აიყრებოდნენ, შორს სადმე გადიხიზნებოდნენ, ან სხვას ეყმობოდნენ, ან გაბოგანოვდებოდნენ. ახლა კი „პოსრედნიკთან“ მოდიან, გვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენაღვლებოდა-რა, შენთან არა გამიჭირდებოდა-რა. ვინ ცის, რომ აღარ ვიქნებით, რა მოხდეს? ქალალდს დამტკიცება უნდა. იქნებ ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე. საშვილიშვილო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკობ ეს ქალალდი შენის ჭირის სანაცვლოდ გახადოს. ორი დღის მიწისათვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევენებ!"

* * *

იმ დღეს „...პოსრედნიკ"-თან ირჩეოდა საქმეები: მებატონეთაგან ერთ შემთხვევაში ვენახისა, მეორეში სახნავი მიწის ჩამორთმევის გამო, ყალანის გადაუხდელობაზე, ძველი ნასყიდობის „დამტკიცებისათვის" და საჩექმეზე. საქმეები წყდებოდა საგლეხო რეფორმის შემდეგ დებულებათა გათვალისწინებითა და დაცვით: მემამულე-მესაკუთრეთა და „მუდმივ მოსარგებლე" ნაყმევთა მიწათმფლობელობის საბოლოო დადგენა-გამიჯვნამდე და საამისო „საწესდებო სიგელების" შედგენამდე არსებული ვითარება არ უნდა შეცვლილიყო: მოსაკრეფელ-გადასახადებს „დროებით ვალდებული" ნაყმევები დრომდე თითქმის უცვლელადვე იხდიდნენ.

ყალანასა — ყმის საბატონო ფულად-ნატურალური გადასახადის და ძველი ნასყიდების საქმეები თანხმობით გადაწყდა.

„საჩექმის" (— მოსაკრეფელისა ყმის ქალის გათხოვების გამო) საქმე რითი გათავდა არ ვიცით — „...სცენები" მოსარჩელე „ქვრივისა" და მოპასუხე მისი ნაყმევის ერთობ შეხლა-შემოხლით სრულდება.

„ქვრივი" თავის მოთხოვნას ვახტანგ VI-ის სამართალზე ამყარებს. ეს მხოლოდ ერთობ არის მართალი. „საჩექმეს" ვხედავთ ვახტანგისავე „დასტურლამალში", როგორც სამეფოში, ისე სადედოფლოში (VII, მრავალგან). აქ განასაზღვრება სამოხელეო წილი ამ საბატონო, ამჯერად სამეფო, ვითარცა მემამულის, მოსაკრეფელისა. საკუთრად ვახტანგის კოდექსში (III:7) იგი არ არის, მაგრამ მასში არის მეორე, აგრეთვე საქორწინო მოსაკრეფელი — „საქვრივო". „203. გლეხის კაცის ქურივი რომ დაქორეოდეს, მისი მებატონე... ძალად ნუ გაათხოვებს. ვინც ქურივს უნდოდეს, ის შეირთოს; და თუ არ უნდოდეს, თავისობლებთან იყოს. და თუ... შეირთოს ვინმე... იმ ქურივის წამყვანმა... ჯარი და მარჩილი მისცეს. მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნუფარასა სთხოვენ. თუ ვაჟი ობოლი გაჰყვეს, გაზარდოს და მის ბატონს მოგვაროს. თუ ქალი ობოლი დარჩეს, თუ უნდა, ქურივმან გაზარდოს და დასახლოს და, თუ უნდა, მისმა ბიძებმა და მოყურებმან გაზარდონ და გაათხოვონ. მებატონე მუახელი ნუ მოინდომებს. თუ სულ დამზრდელი არავინ გაჩნდეს, ის ობოლი ქალებიც მისმა ბატონმა დაზარდოს. და თუ დაათხოვებს, ხომ კარგი იქნება, თუ არადა, მუახლედ ჰყავდეს".

ეს მუხლი თითქმის სრულად მოვიტანეთ, რადგან მასში „ბატონყმობის რიგის" ზოგი ნორმა გამოსჭვივის.

„საქვრივო", რასაკვირველია, „დასტურლამალშიც" არის, მომეტებულად „საჩექმის" გვერდით. და მასში ორსავე ამ მოსაკრეფელის განსაზღვრას ზოგჯერ ამგვარი დათქმაც ახლავს ხოლმე, მაგალითად:

„... სოფლის კაცმან რომ ქვრივი წაიყვანოს, იქაურს ხარი (გადასახადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარად ან მის ფასად. — დ. ფ.) არა სძეს, და თუ გ ა რ ე თ წაიყვანს ხარი სძეს“ (VII, 587).

„საჰქმე, თ ი მ ა ვ ა ლ ა გ ი ს კაცმან ქალი წაიყვანოს, ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი მოურავს და ორი შაური ნაცვალს, და თუ ს ხ ვ ა ს ა ლ ა გ ი ს კაცმან წაიყვანოს, ს ა მ ს ა ბ ა ზს მოურავს მისცემდეს და ორ შაურს ნაცვალს“ (VII, 611).

ამრიგად, მოსაკრეფელი გადასახადელია და მეტია, როცა ჯერ გაუთხოვარი ან ქვრივი მავანი საყმოს გარეთ თხოვდება, აკლდება მას. ეს თითქოსდა საყოველთაო პირობა მხოლოდ „ადგილის წესი“ გამოდის, — ზოგან მოქმედებდა და ზოგან არა? რაზედ იყო ეს დამოკიდებული, იქნებ მაინც იგულისხმებოდა ხოლმე?

საკითხავია აგრეთვე, რატომ არ არის ს ა ჩ ე ქ მ ე ვახტანგის კოდექსში, ლაკუნაა ეს თუ შეგნებული უარყოფა ამ მოსაკრეფელისა? მიზეზი ის ხომ არ არის, რომ „დასტურლამალში“ აღნუსხულ-მოწესრიგებულია არსებული, მოქმედი წესები, კოდექსში კი აისახა კანონმდებლის სამართლებრივი შეხედულებანიც, მისი ცდაც ქვეყნის სამართლის გათანადროულებისა და სრულყოფისათვის.

ს ა ჩ ე ქ მ ი ს გამო გამოთქმულია აზრი, ვითომ იგი ფეოდალის „პირველი ღამის უფლების“ გამოსასყიდი ყოფილიყოს (IX, 213-219, მაგრამ შდრ. X, 119-130).

დაგვრჩა ორიოდე სიტყვა ვთქვათ სამამულო დავებზე.

უკვე რამდენჯერმე ვახსენებთ „ბ ა ტ ო ნ ყ მ ობ ს ს რ ი გ ი“ — „ძველადვე შემუშავებული საბატონყმო უფლება-მოვალეობათა“ სისტემა; როგორც მას ნ. ბერძენიშვილი განსაზღვრავს (XI, 212). ქართული ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის გამომსახველი ეს „რიგი“ იყო ნაყოფი და მუდმივი სავანი მწვავე კლასობრივი ბრძოლისა. მისი სამეურნეო და სამართლებრივი ძარღვი და საფუძველი, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებითვე, ის იყო, რომ ყმაგლეხის მ კ ვ ი დ რ ო ბ ა მხოლოდ იმით კი არ განისაზღვრებოდა, რომ ბატონის მიწაზე იჯდა და მისგან არ წაესვლებოდა, არამედ იმითაც, რომ კანონით დაცული (ასე თუ ისე, რაოდენ მტკიცედ და ნამდვილად, სხვა ამბავია) მემკვიდრეობითი სამამულო უფლება ჰქონდა თავის „უფუძ“-„საკომლოზე“ — განსაზღვრულ სამოწამფლობელო კომპლექს-ერთეულზე.

ვნახოთ ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი (XIII ს. დამლევისა): „მ. 53. კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვას ემართლების, არცა სასყიდლად, არცა საკარგავად (ე. ი. პირობით სამფლობელოდ — დ. ფ.) პატრონისაგან. თუ იყიდოს, ო დ ე ს ც ა ღ ა მ ე. მ ა მ უ ლ ე მ მ ო ი კ ი თ ხ ო ს, მ ი წ ა დ ა უ დ ვ ა ს უ მ ი ზ ე ზ ო დ ღ ა ფასი ამღებელს სოხოოს“. აგრეთვე— მ. 56. „თუ კაცმან კაცს ს ა გ ლ ე ხ ო ფ უ ძ ე მიჰყიდოს, გინა კაკრიელი, გინა უ კ ა ც უ რ ი... თუ მის ფ უ ძ ი ს მ კ ვ ი დ რ ი კაცი, გ ა რ ე თ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მოვა... როგორცა ზემოთ სწერია (იხ. მუხლ. 55), რ ა გ ი ნ დ ა ხ ა ნ ი დ ა ე ყ ო ს, იგი (მყიდველი. — დ. ფ.) არას ემართლება მის წესისა გაჩენილისა მეტსა“ (იხ. აგრეთვე მ. 54. III. 6).

ასეთი მკვიდრობის განმსაზღვრელ პირობათაგანს ის წარმოადგენდა, რომ საქართველო ინტენსიური სოფლის მეურნეობის, კერძოდ მრავალწლიანი, მოტეტებულად შრომატევადი კულტურების ქვეყანა იყო. სწორედ ამიტომ ვახტანგის კოდექსით გლეხის მკვიდრობის პირობა ვენახის ქონებაა — „მ. 100 ...ბ ო გ ა ნ ო ა მ ა ს ქუიან, რომ ვ ე ნ ა ჯ ი არა ქონდეს, თვითო სახლი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩომის (პირუტყვის. — დ. ფ.) ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა. ამგვარი ბ ო გ ა ხ ო იმ ზეიოს (მკვიდრ. — დ. ფ.) გლეხებში არ ჩაითვლების...“ (III:7).

სახელმწიფო ცხოვრების მძიმე საგარეო — და შინაპოლიტიკური ვითარება არყევდა და ხრწნიდა „ბატონყმობის რიგს“. ქვეყნის აღორძინების, განმტკიცებისა და წინსვლისათვის მზრუნველი მეფეები (ვახტან VI, ერეკლე II) ბევრსაირად მეცადინეობდნენ, რათა დიდად მოშლილი „ბატონყმობის ო

“ დროის კვალობაზე ძოგწესრიგებინათ და განემტკიცებინათ. მაგრამ თვითონ ბატონყმობის დღენი ილეოდა. რუსული მმართველობის ღონისძიებებმა ხომ კიდევ უფრო გაძწვავა ბატონყმური ურთიერთობანი (VI,II. ტ. IV, თ. 11; V_2 ბატონყმობა... საქართველოში).

„... სცენების“ სამამულო საქმეთაგან ორი მაინც „ბატონყმობის რიგის“ უხეშ დარღვევას, „საკომლოს“ ხელყოფას უნდა ეხებოდეს. მეტადრე მძიმეა „მამა-პაპის აშენებული“ ვენახის ჩამორთმევა, რაც მებატონეებსაც კი ცოტა არ იყო ეწოთირებათ — „(ქვრივის მაზლი)... უფრო ძნელიც არის, რომ კაცს გ ა შ ე ნ ებ უ ლ ი ვ ე ნ ა ხ ი ჩ ა მ ო ა რ თ ო ს კაცმა და ჩემს კაცს კი, ჩემს საკუთარ ცარიელს სახნავ მიწაზედ, რა ო ფ ლ ი დ ა ხ ა რ ჯ ვ ი ა...“ სულ ადვილი სავარაუდებელია, რომ ჩამორთმეული ვენახი გაშენებული იყო ე. წ. „ჩეულებითი სჯულის“ წესით: „58. უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ც ა რ ი ე ლ ს მ ი წ ა ს, ვ ე ნ ა ხ ა დ, რომ ა ე შ ე ნ ე ბ ი ნ ა ...პირობა, როგორც იქნებოდა, წ ე რ ი ლ ი თ, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ, და როდესაც ვ ა დ ა შ ე ს ო ულ დ ე ბ ო დ ა, შ უ ა გ ა ი ყ ო ფ დ ნ ე ნ მიწის პატრონი და აშენებელი, ანუ გაკეთებდნენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდნენ. და თუ ვენახის გამკეთებელი კაცი მ ო ს უ ლ ი იქნებოდა და იმას თ ა ვ ი ნ ი ბ ა ტ ო ნ ი ა ჰ ყ ო რ ი დ ა, მისი ნ ა შ ე ნ ო ბ ა დ ა ფ ა ს ე ბ ო დ ა და ნ ა ხ ე ვ ა ვ ი ფ ა ს ს მამულის პატრონი ა მ შ ე ნ ე ბ ე ლ ს მ ი ს ც ე მ დ ...“ და უკეთუ მამულის პატრონი იმ მამულის გასყიდვას მოინდომებდა, იმის ს ყ ი დ ვ ა გ ა ძ კ ე თ ე ბ ე ლ ს შ ე ხ ვ დ ე ბ ო დ ა და, თუ არ იყიდდა... მამულის პატრონს ეძლო, ვისთვისაც სდომიყო, მიეყიდნა (VI)“.

ამ დანაწესების კვალს, რომელიც საქართველოში ძველთაგანვე მოქმედებდა და აქ ასეთი დახვწილი სახით წარმოგვიდგება. შორეულ ხარსულში მივაკვართ და იქაც საგნად მას ძირეული მრავალწლიანი კულტურა ჰქონდა. იგი ცნობილია ჯერ კიდევ ბაბილონურ, ხამურაბის კანონებში (XVIII ს. ძვ. წ.): „(§60), თუ კაცმა მისცა მებაღეს მინდორი (ფიქიის. — დ. ფ.) ბაღის გასაშენებლად, ხოლო მებაღემ გააშენა ბაღი... მეხუთე წელიწადს (უთუოდ, როცა მსხმოიარობაში შევა. — დ. ფ.) ბ ა ღ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი და მებაღე შ უ ა ზ ე გ ა ი ყ ო ფ ე ს...“ (XII, 235)[2].

საგლეხო რეფორმით დადებული პირობა და უწინანური დარდიმანდი მებატონის ყაბელი, თორემ პაპათ ხანის დროინდელი ნასყიდობის საკითხი ქართული სამართლით უთუოდ ეგრე იოლად არ გადაწყდებოდა. მოსარჩელე გლეხს, იაკობს ლაპარაკში, მეტისმეტი თავაზით მოუვიდა თუ წაბოლცდა, ერთი საჭოჭმანო გარემოება გამოერია: „... ქაღალდს დამტკიცება უნდა. ი ქ ნ ებ ტ ყ უ ი ლ ი ც ა რ ი ს, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე, ს ა შ ვ ი ლ ი შ ვ ი-

[4] გამოცემულთა განმარტებით აქ იყარა არის (XII, 280), მაგრამ, შესაძლოა, სანარდო ურთიერთობაც იყოს და ნახევარი ბაღი მონარდის, მისი შრომისა და იაოდ-მასალის, საზღაურს წარმოადგენდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ო საქმეა...“-ო, და ამას კი „ქვრივის რეპლიკაც მოჰყვა: „(თავისთავად ბუტ-ბუტებს)ო, ჭრელო გველო, ფარისველო!...“-ო. საქმე ის არის, რომ ჯერ საბუთის სიძველის გამო და მეტადრე მოსარჩელისაგან ასეთი მობოდიშების შემდეგ ვახტანგის კოდექსის ნორმას უნდა ემოქმედა. თუმცა იგი სავალო ხელწერილს — „თამასუქს“ ეხება, მაგრამ ზოგადი მნიშვნელობისაა და მით უფრო ნასყიდობის სიგელისათვის იქნებოდა გამოსაყენებელი: „143... თამასუქი უნდა გაუსინჯონ, ბეჭედი, ქორონიკონი (თარიღი. — დ. ფ.), დამწერი და მოწამე. — ამიტომ რომე ბ ე ვ რ ს ტ ყ უ ი ლ ა დ ა ც მ ო ი გ ო ნ ებ ე ნ“-ო. და ეს მით უფრო, რომ იქვე არის — „161, ს ყ ი დ ვ ა ა ს რ ე უ ნ დ ა. კარგა გ ა მ ო-ძ ი ე ბ ი ნ... ან სხვის მამული არ შემოატყოს, ან მზღვარი ტყუილად არ დაუწეროს, კ ა ი ს მ ო წ მ ი თ, წ ი გ ნ ი თ დ ა ბ ე ჭ დ ი თ უნდა იყიდოს“-ო (III: 7).

ასე და ამრიგად, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებმა“ წარმოგვიდგინა სრულიად ცოცხალი სახეები, რომელნიც ასევე სრულიად ნამდვილ გარემოებებში მოქმედებენ, გვიჩვენა უფრო წვრილზნაურობა და მეტ-ნაკლები შეძლებულობის გლეხკაცობა მათს ყოველდღიურ ზაზოგადოებრივს თუ სამართლებრივს პრაქტიკაში, ის, თუ როგორ უხვდებოდა და გაინცდიდა ეს საზოგადოება, მისი მოპირისპირე მხარეები, ახალ ცხოვრებას, უჩვეულოსა და არცთუ უმტკივნეულოსაც. მომრიგებელი შუამავლობისა (1864-1868) და შემდგომ მომრიგებელი მოსამართლეობის (1868-1874) უშუალო დაკვირვება-გამოცდილების მადანს თავი უნდა ეჩინა, და იჩინა კიდეც, ილია ჭავჭავაძის შეხედულებებსა და შემდგომ მოღვაწეობაში, მხატვრულ შემოქმედებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა: I — ქართული პროზა, VIII. ილია ჭავჭავაძე, 1984, გვ. 307—330. II — მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი. თხზულებანი, II. ახალი ქართული ლიტერატურა, 1976. III — ქართული სამართლის ძეგლები, I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., 1963 (სამართალი: 1. მოსესი. 2. ბერძნული, 3. სომხური, 4. კათალიკოზთა, 5. გიორგისა, 6. ბექასი და აღბუღასი. 7. ვახტანგისა). IV. Законы Вахтанга VI. Изд. Д. Пурцеладзе. 1980. V — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია; 2. ბატონყმობა... დასტურლამალი; 4. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული; 8, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა; 9, საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი. VI—ი. დ ო ლ ი ძ ე. საქართველოს ჩვეულებითი სჯული, 1960. VII — ქართული სამართლის ძეგლები... 2. დასტურლამალი. ი. ს ურ გ უ ლ ა ძ ი ს გამოც., 1970. VIII — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 1973, V. 1970. IX — ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963. X — გ. ნ ა-დ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XII საქართველოში, 1959. XI — ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1965. XII — Вестник древней истории, 3(40), 1952: ...Законы Вавилонии и Хетского царства. Перев. и комм. под ред. И. М. Дьяконова.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. Л. ПУРЦЕЛАДЗЕ

ГЛАХА ЧРИАШВИЛИ И ДРУГИЕ

Резюме

В «Сценах первого времени освобождения крестьян» И. Г. Чавчавадзе сатирически представлены мелкопоместное дворянство и крестьяне большего или меньшего имущественного состояния во всей своей подлинности, показаны в их повседневной общественно-правовой практике. Их споры, особенно поземельные, рассматриваемые у мирового посредника, свидетельствуют о грубых нарушениях существа грузинского т. н. «крепостного порядка» или «...положения», о его упадке. Споры эти могли как-будто находить себе сколько-нибудь справедливое решение на основе положений грузинского права, если бы применение его не было уже в основном прекращено и не действовало бы требование крестьянской реформы о сохранении status quo вплоть до окончательного размежевания помещичьего и крестьянского землевладения.

Непосредственный опыт, приобретенный на посту мирового посредника (1864—1868), а затем мирового судьи (1868—1874), не мог не отразиться в воззрениях И. Чавчавадзе, в его художественном творчестве и общественной деятельности.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიდო ნინიძე

ცოცხალი ხატი ლირსებისა

ოთარაანთ ქვრივზე საუბარს ილია გახმაურებული ამბის გახსენებით იწყებს: ქვრივისთვის გზირს ქათამი წაურთმევია, დიამბეგი მოდის, სოფლად ქათმებს ვაჯროვებთო. ქვრივმა ვაი-ვაგლახი დაწია, გუბერნატორამდე იარა და ერთი ქათამი გზირს შვიდეულად დაუსვა, თუმცა ათიოდ მანეთი შემოეხარჯა მისვლა-მოსვლაში.

ეს ამბავი ღრმა და საინტერესო პრობლემის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. იგი ერთი პატარა დეტალია მოთხრობის კომპოზიციურ ქსოვილში, მაგრამ მთავარი პერსონაჟის ისეთ თვისებას ავლენს, რომელიც მკითხველის აზროვნებაში განუყოფელია ოთარაანთ ქვრივის „საქმით მეტყველ სულთან", ოთარაანთ ქვრივობასთან როგორც ფენომენთან.

საგულისხმოა ერთი რამ: ხსენებულ ეპიზოდს ყოფაში ჯანსაღი სოციალური გრძნობების ადამიანებიც იშველიებენ და დავაჭრობის მანიით შეპყრობილი გულნამცეცებიც: ერთნიც და მეორენიც, თითქოს, საერთოს პოულობენ ოთარაანთ ქვრივთან, გზირთან მიმართებაში გამომჟღავნებული თვისების გამო.

რა თვისებაა ეს?

რატომ გამოიყენა მწერალმა ეს ეპიზოდი მთავარი გმირის ხასიათის საჩვენებლად?

არაერთხელ შენიშნულა, რომ „ოთარაანთ ქვრივის" პროტაგონისტი ავტორის კონცეფციების გამომხატველია. თუ „ქალბატონ ბოვარში" ფლობერი საკუთარ შეცდომებს ამთარხებს (ა. მორუა), ოთარაანთ ქვრივი წარმოაჩენს ავტორის მოქალაქეობრივ ღირსებებს. ეს გარემოება აძლიერებს ინტერესს დასმული კითხვებისადმი.

ჩვენი აზრით, გზირთან მიმართებაში გამჟღავნებული თვისება ოთარაანთ ქვრივის ზნეობრივი მრწამსის ანარეკლია; გზირისა და ქვრივის ამბავი ლიტერატურული ხატია შელახული უფლების დაცვის ილიასეული კონცეფციისა.

ვიდრე დარღვეული უფლების დაცვის კონცეფციას განვიხილავდეთ, უპირიანია გიორკვეს, როგორ ესმოდა ილია ჭავჭავაძეს თავად უფლების არსი.

უფლება და ნება. „ოთარაანთ ქვრივი" მაშინ იწერებოდა, როცა იურისპრუდენციაში გაბატონებულ უფლების ინდივიდუალისტურ გაგებას უპირისპირდება უფლების სოციალური გაგება, ნების თეორიას — ინტერესის თეორია. „უფლების შნაარსში მთელმარე ნების ნაცვლად ცოცხალი ინტერესის დანახვის იდეა ეკუთვნის რუდოლფ იერინგს" — წერს ფრანგი ჟან კარბონიე.

იურისპრუდენციის პრობლემებზე შტუდირება ილია ჭავჭავაძეს სოციალური თეორიის ფუძემდებლის ნაშრომებით არ გაუვლია, თუმცა მის ბიბლიოთეკაში შემონახული წიგნი „მიზანი სამართალში" გერმანელი იურისტის ნაზრევით დაინტერესების დასტურია. ილიას მართლშეგნება ზემოთ აღნიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თეორიის ფონზე იშლება და უფლების ილიასეული გაგებაც მათ შუქზე ცნაურდება.

განმანათლებლობამ ბუნებითი სამართლის მოძღვრება მატერიალისტურ საწყისებზე ააგო. სახელმწიფოს ინდივიდი დაუპირისპირა, აღიარა პიროვნების სუვერენიტეტი და შეუზღუდავი თავისუფლება. ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიმდეკარი იურისტები ყოველი უფლების ამოსავალ წერტილად და საბოლოო მიზნად მიიჩნევდნენ პიროვნულ საწყისს. სამართალში ყველაზე არსებითად ნებას აღიარება და პიროვნების ნებაში უფლების არსის დანახვა ამ მოძღვრების ლოგიკური შედეგი იყო.

სოციალურმა თეორიამ ინდივიდის უფლებას საზოგადოების პრიზმიდან შეხედა: უფლება იმისათვის როდი არსებობს, რომ აბსტრაქტული ნება განახორციელოს, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოების მოთხოვნებს და მიზნებს ემსახუროს. თუკი სამართალი საზოგადოებაში წარმოიშვება, უფლების ცნებაში სოციალური მომენტი უნდა შევიდეს როგორც აუცილებელი და უფლების მატარებელი უნდა გახდეს ადამიანი — არა როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არამედ როგორც საზოგადოების წევრი. საზოგადოების არსებობის გათვალისწინება, ინდივიდის მოთხოვნების შეზღუდვა საზოგადოების სხვა წევრების მოთხოვნებით აუცილებელი მომენტია უფლების ცნებაში. ინტერესი — საზოგადოებრივი და პირადი — უფლების მატერიალური ნიშანია. იგი როდი გულისხმობს მარტოოდენ მატერიალურ სიკეთეს. ინტერესი ისეთ ღირებულებებსაც მოიცავს, რომელთა ეკონომიკური კრიტერიუმებით შეფასება შეუძლებელია: პიროვნება, ღირსება, პატივი და სხვა. უფლებას მეორე აუცილებელი ნიშანიც გააჩნია — ინტერესის დაცვა. პირველისაგან განსხვავებით, მეორე — წმინდა იერიდიული, ფორმალური ნიშანია. (ამ ორი ნიშნის გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა ექნება ქვრივისა და გზირის ამბის გასაანალიზებლად).

იერიდიული ცნებების შექმნა ილია ჭავჭავაძის უშუალო მიზანი, ცხადია, არ ყოფილა. მაგრამ მის მდიდარ პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ასეთი ცნებებიცაა. ისინი ავტორის წინამორბედი და თანამედროვე მეცნიერული თეორიების ღრმად გააზრების ნაყოფია და საფუძველს გვაძლევს სხვა, მომიჯნავე კატეგორიებზე მწერლის შეხედულებათა დასადგენად. კერძოდ, უფლების ილიასეული გაგება იკვეთება პიროვნების, საკუთრების, მორალისა და სამართლის თანაფარდობის კონცეფციების შუქზე.

ილიას შეხედულება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაზე უფლების შინაარსის გაგების მეთოდოლოგიურ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ. პიროვნებაში მწერალი, ერთი მხრივ, ცალკე ინდივიდს და, მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა მონაწილეს ხედავს. პიროვნების შეგნებაში არსებობს — „მე“ და „ჩვენ“. როგორც ცალკე ინდივიდს — პიროვნებას „პირადი, საკუთარი საგანი აქვს ცხოვრებისა და სხვაზედ დამოუკიდებლად მიეზიდება ამ საგნისკენ“, ამასთანავე, როგორც სოციალური არსება, პიროვნება „მრავალგვარად გადაბმულია, დამოკიდებულია სხვა თავის მსგავს სულიერებზედ იმ აუცილებელი საჭიროების გამო, რომ მარტოდ ცხოვრება ბუნებითად არ უწერია და უსათუოდ უნდა სცხოვრობდეს თვისთა მსგავსთა შორის“ (ხიზნების საქმე, თხზ. ტ. 6, გვ. 141). ამდენად, პიროვნება როგორც ინდივიდი და როგორც სოციალურ ურთიერთობათა მონაწილე ერთი მთლიანო-

ბაა. მიჯნა — „მე-ნ“ და „ჩვენ-ს“ შორის ცვალებადია; პიროვნება საზოგადოების წევრია არა ნებელობითი აქტის, არამედ ობიექტური აუცილებლობის გამო. საზოგადოება არ არის ადამიანთა მექანისტური ჯამი, როგორც ეს ადამიანის ინდივიდუალისტური გაგების საფუძველს წარმოადგენდა ხელშეკრულებითი თეორიის მიმდევართათვის.

მწვრალი პიროვნების სოციალურ რაობას საფუძვლად უდებს საკუთრების უფლების კონცეფციას. თვით საკუთრებაში ორი მხარეა, როგორც ილია ამბობს, ორი ელემენტი. ერთი მხრივ, საკუთრება არსებობს უშუალოდ მესაკუთრისათვის, მეორე მხრივ, საზოგადოებისათვის. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების შესაბამისად ცვალებადია ხსენებული ორი ელემენტის ურთიერთმიმართება. მწვრლის აზრით, საკუთრების სოციალური ელემენტის თავდაპირველმა პრიმატმა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო გზა დაუთმო პირად ელემენტებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გაძლიერდა ფეოდალიზმის დროს. პირადი ელემენტის გაძლიერებისას საკუთრებას მარტოოდენ „ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობის“ მიზანი ჰქონდა. საკუთრების უფლება, რომლის შინაარსშიც პირადი ელემენტი სჭარბობს, „უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო და პირობადაუდებელი“.

როგორი შინაარსი უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლებას, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებას? იგი უნდა მოიცავდეს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ელემენტს, რათა საკუთრება არსებობდეს „არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნაამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვის, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა“ (ხიზნების საქმე, თხზ. ტ. 6, გვ. 141).

საკუთრების უფლების სოციალური გაგება ნათლად აისახა სათავადაზნაურო ბანკის წესდების კონცეფციაში, რომელსაც ილია იცავდა დიმიტრი ყიფიანთან და აკაკი წერეთელთან პოლემიკაში.

დაგირავებული მიწის იურიდიული სტატუსი წესდების ერთ-ერთ „წყევლა-კრულვაან“ საკითხად იქცა. ბანკიდან გატანილი სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად მსესხებელს საკუთარი მამული უნდა დაეგირავებინა, ბანკის კრედიტი საკუთარი მეურნეობის გასაძლიერებლად გამოეყენებინა და შემოსავლიდან სესხი დაეფარა. თუ ვალს ვერ გადაიხდიდა, დაგირავებულ მამულს იძულებით გაუსხვისებდნენ. ილიას ოპონენტები თვლიდნენ, რომ წესდების ეს ნორმა უმიწაწყლოდ დატოვებდა ქართველებს. „ჩვენმა ხალხმა, ქართველმა, — ამბობდა აკაკი — დღესაც არ იცის, თუ როგორ უნდა მოხმარება ფულსაო; ან უნდა შესჭამოს ან კიდობანში ჩადვას უმოძრაოდაო“. ამ მიზეზით ბანკის ვალის გადახდა არ ხერხდებოდა, მამაპაპეული რომ არ დაეკარგან სესხს იღებდნენ და კიდევ უარეს საფრთხეში ვარდებოდნენ. როცა ილია ბანკის წესდების ხსენებულ ნორმას იცავდა, ფაქტიურად ასაბუთებდა უფლების სოციალური დანიშნულების მიხედვით გამოყენების აუცილებლობას: „მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მცონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწვევს და მიეზიდება დაუყონებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ მეცადინეობა უქმია და ამაოა. გაისარჯეთ და ეს აღარ იქნება“ .(„ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი“, თხზ. ტ. 7. გვ. 377.). ამდენად, უფლების სოციალურ შინაარსს საზოგადოების გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარების ეკონომიკური კანონები განაპირობებს, მაგრამ ეს უფლების შინაარსის განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი როდია. საგულისხმოა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორების გავლენა უფლების შინაარსზე.

„... მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ წინ, სინდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე... სინდისის მოთხოვნა უფრო მეტია, ვიდრე სამოქალაქო კანონებისა“ — წერდა ილია გიგო აფხაზს. ეს ბარათი ავტორის მართლშეგნების საჩინარი საბუთია. ინდივიდუალისტურმა თეორიამ ზნეობა და სამართალი ურთიერთგანცალკევებულ მოვლენებად გამოაცხადა; უფრო მეტიც, მიიჩნია, რომ სამართალი უნდა ინდიფერენტული იყოს ზნეობის მიმართ. თავის დროზე ეს თეზისი თეორიული დასაყრდენი იყო სოციალური ძალების სულისშემხუთველი გავლენისაგან პიროვნების დაღწევისა და სინდისის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ დადებითთან ერთად მან უარყოფითი შედეგებიც მოიტანა. მისი ლეგალიზაცია ფართო ასპარეზს უქმნიდა უზნეო მოთხოვნათა დაკანონებასაც.

სოციალურმა თეორიამ სამართალი ზნეობას კი არ ჩამოაცილა, არამედ დაქვემდებარა. საზოგადოებრივი, მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობების ფორმირება ილია ჭავჭავაძეს დაუშვებლად მიაჩნია ზნეობრივ მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად. „ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება“ — ნათქვამია ხსენებულ ბარათში.

სამართლისა და ზნეობის ამგვარი თანაფარდობა აპირობებს უფლების და მოვალეობის მიმართების ფორმულას, რომელიც ილიას მართლშეგნებაში გამოკვეთილია როგორც მაქსიმა: „მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.

ზემონთქვამიდან ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისით უფლება ასახავს როგორც პირადს ისე საზოგადოებრივ ინტერესს; საკუთარი უფლების განხორციელებით ინდივიდი არა მხოლოდ თავის „ეგოისტურ“ ინტერესს იკმაყოფილებს, არამედ საზოგადოებრივ ინტერესსაც ემსახურება. პირადის და საზოგადოებრივის თანაფარდობა უფლების შინაარსში ცვალებადია საზოგადოების განვითარების კვალად. ზნეობრივი მოვალეობა უფლების თანმხლები ფენომენია. უფლებამოსილ პირს აკისრია ზნეობრივ მოვალეობათა კომპლექსი: პირველი, საკუთარი უფლება გამოიყენოს ისე, რომ არ შელახოს სხვათა უფლებები; მეორე, პატივი სცეს სხვების უფლებებს; მესამე, დაიცვას სხვათა უფლებები: მეოთხე, პატივი სცეს საკუთარ უფლებებს; მეხუთე, დაიცვას საკუთარი უფლებები.

უფლების რაობის ამგვარი გაგება იმის მაჩვენებელია, რომ მწერლის თვალთახედვით ისტორიას ჩაბარდა ადამიანის იდეალი, რომელიც მარტოდენ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, საკუთარი შეხედულებებით მოქმედებდა და თავი საზოგადოებისაგან უკიდურესად დამოუკიდებლად მიაჩნდა. „მოაზროვნე არსება იგებს — წერს გერონტი ქიქოძე, როცა XIX საუკუნის მსოფლშეგრძნებას ახასიათებს — რომ იგი წარმოადგენს არა განშარტებულ კუნძულს ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში, არამედ სოციალური ერთეულის ცოცხალ ნაწილს, რომლის ზრდა, განვითარება და აღორძინება იმდენადვე სასარგებლოა მისთვის, რამდენადაც განუვითარებლობა, უკანსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაგვარება საზარალოა და სახიფათო („ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“).

უფლების დაცვა. უფლების დაცვის, როგორც პიროვნების მოვალეობის იდეა იურისპრუდენციაში მთელი რელიეფურობით წარმოაჩინა რუდოლფ იერინგმა. წიგნში „ბრძოლა უფლებისათვის“ — ავტორი გამოყოფს აღნიშნული მოვალეობის ორ ასპექტს. გავყვეთ იერინგის მსჯელობას.

პიროვნება ადამიანის ზნეობრივი არსებობაა. უფლება წარმოადგენს ზნეობრივი არსებობის პირობას. უუფლებო ადამიანი პიროვნება არ არის. უფლების დაცვით ადამიანი იცავს საკუთარი ზნეობრივი არსებობის პირობებს. უფლების დაცვაზე ხელის აღება ზნეობრივი თვითმკვლელობაა. ამიტომ საკუთარი უფლების დაცვა პიროვნების მოვალეობაა საკუთარი თავის წინაშე.

უფლების საფუძველი სამართალია. უფლებასა და სამართალს შორის ორმხრივი მიმართებაა. უფლება დამოკიდებულია სამართალზე და პირიქით, სამართალი — უფლებაზე. სამართლისა და უფლების მიმართება სისხლის მოძრაობას წაგავს, გულიდან რომ მოდის და გულს უბრუნდება. უფლების შელახვით ილახება სამართალი. ამიტომ საკუთარი უფლების დაცვა, ბრძოლა უფლებისათვის, პიროვნების მოვალეობაა საზოგადოების წინაშე.

ახლა დავუბრუნდეთ ქვრივისა და გზირის ამბავს. გზირის ძალმომრეობამ ქვრივი დააზარალა. კიდევ უფრო დაზარალდა იგი საზღაურის ძიებაში. მაგრამ მწერალს ქალი არ დაუყენებია ფილმის წინაშე — წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს თუ ბრძოლას გაერიდოს, ზარალს შეურიგდეს, ზედმეტი ხარჯი აიცილოს. პირიქით, დედაკაცი მზადაა რკინის ქალამნები ჩაიცვას, რკინის ჯოხი დაიჭიროს და ხელმწიფემდის იაროს.

სასაცილო იქნებოდა, ამგვარი თავგამოდების მიზეზი რომ ერთი ქათმის დაკარგვა ყოფილიყო, მარტო მისცვლა-მოსცვლაში აკი ათი მანეთი შემოეზარჯა. და ზარალი არაფრად ჩაუთვლია. მსგავს ძალისხმევას ადამიანები მარტოოდენ მაშინ ავლენენ, როცა საფრთხე განსაკუთრებულ სასიცოცხლო პირობებს ემუქრება. „ფული რა არის? ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია, ჯავრი ხომ არ შევარჩინე, ტყუილ-უბრალოდ ხომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?!...“ ცხადია, ქვრივისათვის ძირითადი ზნეობრივი ინტერესია, ღირსების დაცვაა.

ღირსება პიროვნების იმანენტური თვისებაა — პიროვნების პატივის სუბიექტური შეგნება. შემთხვევითი როდია, სწორედ ამ ეპიზოდის გამო ათქმევინებს მწერალი გმრის: „დეე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“. უფლების დაცვა პიროვნების დაცვაა. რაკი უფლების დაცვა შეძლო, ქვრივმა ჩათვალა, რომ სოფლის თვალში საკუთარი პიროვნება წარმოაჩინა.

„არა ფულის სიყვარული და ანგარება უბიძგებს უფლებაშელახულ ადამიანს სარჩელისაკენ, არამედ მორალური ტკივილი, მას უფლების შელახვით რომ მიაყენეს... საქმე უმნიშვნელო საგნის დაბრუნებაში როდია, არამედ მისი პიროვნების, პიროვნული ღირსების, უფლებრივი გრძნობის და თავმოყვარეობის დაცვაში. პროცესი მისთვის ქონებრივი საკითხიდან ზნეობრივ საკითხებად იქცევა: განმტკიცება ან დაღუპვა პიროვნებისა“ — წერდა იერინგი.

არის თუ არა ასეთი ადამიანის ან ჩვენი ოთარაანთ ქვრივის ქცევა მარტოოდენ მისი ეგოისტური ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება? ერთი შეხედვით, მოთხრობის საერთო კონცეფციაში ჩაუხედავად, თითქოს ასეა. მაგრამ სხვა ეპიზოდების ანალიზი ოთარაანთ ქვრივის უფლებრივი შეგნების სხვა ინტერპრეტაციას გვკარნახობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაბლიანელებს აკვირვებთ გიორგის უცნაური თვისებები. უცნაური კი ისაა, რომ გიორგის „აქვს დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას. გიორგის უცნაურობაზე ერთადერთი, სოსია მეწისქვილე იტყვის ხოლმე, ისიც თავისთვის: „ეგ სხვა დედის შვილია! მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო!“ გიორგის დიდი ნამუსი დედისეულია.

გიორგიმ ომარაანთ მოჯამაგირე სცემა. პატრონს ატყუებდა, პირუტყვს არ უვლიდა, აწვალებდაო. საინტერესოა დიალოგი სოფლის სასამართლოში:

„ — მართლა სცემე? — ჰკითხეს.

— მართლა ვცემე.

— რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

— ბიჭო-და შენ რა დავა გქონდა?

— ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილი კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარა ჰნდობია...“

სასამართლოსათვის ეს არგუმენტი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა. როცა სასამართლოს ამბავი გიორგიმ დედას უამბო, ოთარაანთ ქვრივმა გაიკვირვა და თქვა: „დახე, მაგ ვირთაგვებსაც სწორე სამართალი სცოდნიათო“. ამ ეპიზოდიდან შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება: დედა-შვილის უფლებრივი რეაქცია ერთნაირია, უფლების დაცვა უფლებამოსილი პირის მარტოოდენ ეგოისტური ინტერესის დაკმაყოფილების საშუალება არ არის, მას საზოგადო მნიშვნელობა აქვს.

ბრძოლა უფლებისათვის. ზრუნვა უფლების დასაცავად იერინგის მიერ შოიაზრება როგორც ბრძოლა. სამართალი ბრძოლის ნაყოფია და უფლებებიც ბრძოლით მოიპოვება. სამართლის არსებობა ბრძოლაშია და უფლებამოსილი ადამიანის გულარხეინობა დამღუპველია უფლებისათვის საკუთრივ და სამართლისათვის საზოგადოდ. უფლების დაცვის სოციალური ღირებულების შეფასებისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს უფლების ობიექტის სიმცირეს და უფლების დაცვის მოტივს.

ოპონენტები იერინგს საყვედურობენ უკიდურესობას: მიიჩნევენ, რომ უფლებისათვის ბრძოლა ხსენებულ წიგნში დანახულია ვიწრო, პროცესუალურ განსაზღვრში, უფლების დაცვისათვის ზრუნვა გამიჯნული არაა დავაქრობისგან, გერმანელი იურისტი უკიდურესობაში ვარდება, როცა მიიჩნევს, რომ შექსპირი აშკარად უსამართლოდ მოექცა შაილოკს, რომლის უფლება აღმოცენებული ბარბაროსული გარიგებიდან, ვენეციის სასამართლომ არ დაკმაყოფილა, რაკიდა ამ გარიგების ნამდვილობა იწამა.

რა მნიშვნელობას ანიჭებს ილია ჭავჭავაძე უფლების დაცვისას უფლების ობიექტის სიმცირეს? ქვრივისა და გზირის ეპიზოდის მიხედვით — არავითარს. ერთი ქათმის გამო გუბერნატორამდე სიარული ლიტერატურული ჰიპერბოლა როდია. ნარკვევში „ცხოვრება და კანონი“ ილია წერს: „შეუძლებელია, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილმანს, თითქმის უფასურს საქმეებს, ყური არ ათხოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შედგებენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითს სიმდიდრეს. ერთსა და მეორესაც, როგორც არსებითსა კეთილობას ხალხისას. მუდამი, მახლობელი მფარველი უნდა ჰყვანდეს. უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც განსაცდელშია. (თხზ. ტ. VI. გვ. 85). საგულისხმოა გრიგოლ ყიფშიძის მოგონება: „ძველ უყვარდა ასეთი სურათიანი თქმა: პაჭიკს თუ წვერი მოერღვა, ვეღარას უშველიო. ეს ღრმად შესისხლხორცებული რწმენა იყო მისი და ესევე რწმენა იყო მიზეზი, რომ მუდამ გულმტკიცედ და თავგამოდებით უშიშრად იცავდა თავის უფლებას, როგორც ზნეობრივს, ისე ქონებრივს". (არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო, რომ გრიგოლ ყიფშიძის მოგონება ილია ჭავჭავაძის მართლშეგნების მრავალი ასპექტის ახსნას იძლევა, დაგვაფიქრებს ილიას დამოკიდებულებაზე საზოგადოების ამა თუ იმ წრეებში ფეხმოკიდებულ სამართლებრივ ნიჰილიზმთან ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე).

მაშ რაღა აქვს საერთო უფლების დაცვისათვის ბრძოლას დავაკრობასა და ჭირვეულობასთან, თუკი უფლების დაცვისათვის ზრუნვა ყოველთვის საზოგადოდ სასიკეთო საქმეა? გავიხსენოთ უფლების ორი ნიშანი სოციალური თეორიიდან — მატერიალური ნიშანი ანუ სოციალური ინტერესი და ფორმალური ნიშანი ანუ იურიდიული ინტერესი. სამართლის მიზანია სოციალურ ინტერესს შეუსაბამოს იურიდიული, ფორმალური ინტერესი და გზა გაუხსნას პოზიტიურ მოქმედებებს. ეს იქნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება. იურიდიული ინტერესებიც სოციალურია, მაგრამ მათ დამხმარე, „ინსტრუმენტალური" ხასიათი აქვთ და წარმოადგენენ მარტოოდენ საშუალებებს სოციალური მიზნის მისაღწევად. თუკი იურიდიული ინტერესი იქცევა თვითმიზნად, მაშინ ბრძოლა ასეთი ინტერესის მისაღწევად არის დაეაკრობა და შარიანობა.

განხეთქილებას იურიდიულ საშუალებებსა და სოციალურ შინაარსს შორის უცილობლად მივყევართ სოციალური ინსტიტუტის დეფორმაციამდე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა შერყევამდე, სამართლის პრესტიჟის დაცემამდე. სამართლებრივი რეგულირების მთავარ პირობას და შესაბამისად, იურიდიული რეგლამენტაციის სისწორის მაჩვენებელს წარმოადგენს იურიდიული და სოციალური ინტერესის ადექვატურობა, უფრო ზუსტად, იურიდიული ფორმის შეესება სათანადო სოციალური შინაარსით — წერს აკადემიკოსი ვლადიმერ კუდრიავცევი. («Взаимосвязь правового регулирования и социальных интересов, Вопросы философии, 1987 № 1 გვ. 44).

გზირისა და ქვრივის ეპიზოდში ქვრივის ძალისხმევას ერთი დიდი სოციალური ინტერესი ასაზრდოებს — ადამიანის ღირსების დაცვა, რაც უმაღლესია სოციალურ ღირებულებათა ილიასეულ იერარქიაში. „სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცევა ითხოვოს? სხვა რის მეოხედ უნდა იყოს მწიგნობრობა საერთოდ, თუ არა ადამიანის უფლების შემნატრედ, მწედ და მოსარჩლედ? სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამომდგარი, თუ არ ზნეობრივი კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო“ — წერს ილია „ივერიის“ წინასიტყვაობაში. (თხზ. ტ. 3. გვ. 260).

კესოს და არჩილის ცოდვა ისაა, რომ ცოცხალი ღირსება ვერ იცნეს; გიორგის მოკამაგრეობა დიდი გრძნობით ნაკარნახევი კომპრომისია საკუთარ ღირსებასთან, იგი მსხვერპლი გახდა ამ კომპრომისის. „ოთარაანთ ქვრივი“ ღირსების დრამაა.

საინტერესოა ერთი შედარებაც. ილია ჭავჭავაძემ ღირსების დაცვისათვის უკომპრომისოდ მებრძოლ ადამიანად გლეხის ქალი გამოიყვანა. იერინგი, როცა ღირსებისათვის ბრძოლის წოდებრივ განპირობებულობას ასაბუთებს, ასეთ მაგალითს იგონებს: ოფიცერი და გლეხი ნფიც მსაჯულებად დავსვათ და ჯერ ოფიცერს საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი დამნაშავე გავასამართლებინოთ, მერე გლეხს — პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფელი. მერე, პირიქით; დავინახავთ, წერს იერინგი რომ სრულიად სხვადასხვა განაჩენს გამოიტანენ. გლეხი უფრო სასტიკ განაჩენს საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე გამოიტანს, ოფიცერი კი ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე.

ოთარაანთ ქვრივი სახეა ზნესრული ქართველი ადამიანისა. უფლებისათვის ბრძოლა ოთაარანთ ქვრივის ლიტერატურული ხატით ილია ჭავჭავაძეს აუცილებელ ეროვნულ თვისებამდე აჰყავს. საგულისხმოა, რომ უფლების ორიდიიულ დაცვას ღირსების დაცვის ინტერესი ასაზრდოებს.

* * *

საუკუნეშ განვლო მას შემდეგ, რაც „ოთარაანთ ქვრივი“ დაიწერა. ისტორიის მანძილზე პიროვნების უფლებები არაერთხელ ყოფილა უზურპაციის საგანი „ძლიერთაგან ამა სოფლისა“. არც ერთ ხალხს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სოციალური უფლებები არ მიუღია, როგორც წყალობა. მათ მოპოვებას წინ გაადორებული კლასობრივი ბრძოლები უძღოდა.

ახალმა ფორმაციამ მუშა კაცის უფლების დაცვა სახელმწიფო ორგანოების მთელი სისტემის ზრუნვის საგნად აქცია. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს საკუთარი უფლებების დაცვისას პიროვნების ინიციატივამ მნიშვნელობა დაკარგა. ბარათში პროფესორ ვ. ადორატსკისადმი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი წერს: Вся помощь, которую Вы можете оказать просителям, должна состоять в „юридической“ им помощи, т. е „научить их (и помочь им) воевать за свое право по всем правилам законной в РСФСР войны за права“ (Полн. собр. соч. т. 53, с. 149).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თანამედროვე მოქალაქე საკუთრი უფლებებისათვის იბრძვის, ამით ის იბრძვის ყველა მოქალაქის უფლებების დასაცავად, იურიდიულ მოვალეობათა შესრულებისათვს, საერთო სიკეთისათვის.

როცა საკუთარ უფლებებს იცავს საბჭოთა მოქალაქე, იცავს არა მარტოოდენ საკუთარ ინტერესს, არამედ კანონსაც, რომელიც ხალხის ნების გამომხატველია. განსაკუთრებულ სიმძაფრესა და მნიშვნელობას იძენს ეს ბრძოლა მაშინ, როცა უფლების დარღვევა ადამიანის პიროვნების, მისი ღირსების უგულებელყოფის გამოვლინებაა.

ოთარაანთ ქვრივი ცოცხალი ხატია ღირსებისა.

Т. Г. НИНИДЗЕ

ЖИВОЙ ОБРАЗ ДОСТОИНСТВА

Резюме

Освещены концепции Ильи Чавчавадзе о субъективных правах и социальном значении их защиты. С позиции социальной теории субъективного права проанализирована повесть «Отарова вдова». Концепции Ильи Чавчавадзе освещены в сопоставлении с воззрениями Р. Иеринга.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნადარეიშვილი

ილია ჭავჭავაძის ერთი პოლემიკური წერილის გამო

ილია ჭავჭავაძის იდეალი იყო მარადიული, თანდათანობითი და გონივრული განახლება ცხოვრებისა. 1886 წელს დაწერილ ერთ მცირე მოცულობის სტატიაში „ახალი დარის მოლოდინში“ იგი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ცხოვრებამ მის თანამედროვე საქართველოში ფერი იცვალა და რომ „ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში“. ამასთან ერთად ის სინანულით აღნიშნავდა, რომ საქართველოში არა ჩანდა ახალი, განათლებული თაობა, რომელსაც „ახალი ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან“[1].

იგი წერდა: „მწარე ფიქრები წარმოგვიდგება ხოლმე თავში, როდესაც ჩვენს განათლებულს კაცებს ვუფიქრდებით. შეჰხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათ წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამგვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დარის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი — ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჯანთ და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინც რჩება, რომ ცხოვრება იქ დახავსებულ გუბედ არ გადაიქცევა. საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის“.

ილია ჭავჭავაძე მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თითო-ოროლა „ჭეშმარიტად განათლებული და მცოდნე კაცები“, რომელთაც მეცნიერებაში სახელი მოიპოვეს, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ, ხოლო ისინი კი, რომელთაც „ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე გააჩნიათ წინ-გაუძღვნენ „თავის საკუთარის ქვეყნის ცხოვრებას“, განზედ დგანან.

ილია ჭავჭავაძეს არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხალხთა ცხოვრებაში საერთოდ და, კერძოდ, კი საქართველოში ცხოვრება იცვლებოდა, მიდიოდა წინ და მოჰქონდა „განახლება ყოვლისფერისა“, მაგრამ ის ისე სწრაფად „თითქმის ყოველ ათ წელში“ არ იცვლიდა ფერს, როგორც ეს „დაწინაურებულ“ ქვეყნებში ხდებოდა.

ასე, რომ ილია დიდი იმედებით შეჰხაროდა ახალი თაობის გამოჩენას, მაგრამ ის ახალ თაობას, „ახალ დასს“ მაღალ მოთხოვნებს უყურებდა და დიდ მოვალეობებს აკისრებდა. ნამდვილი და ცრუ ახალ თაობის ხალხს კარგად არჩევდა. ზოგიერთი „ახალი რაზმის“ მოღვაწეზე ის ამბობდა: „ამისთანა ახალნი იქნება ახალგაზრდანი არიან, მაგრამ ახალ-თაობის კაცნი კი არა“-ო,

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი II, ჰ. ინგოროყვას რედ. თბილისი. 1941; გ. 172-173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკუნის დასაწყისში სოციალ-ეკონომიკური კულტურულ და სამეცნიერო პროგრესის ფონზე საქართველოშიც თავი იჩინა უკვე დამკვიდრებული სოციალური ინსტიტუტებისა და ზნეობრივი ნორმების ხელაღებით უარყოფის ტენდენციამ, როგორც ილია იტყოდა, უარმყოფელობამ". ამ მიმართულების მიმდევართაგან ზოგიერთნი ნიჰილერნი და შემოქმედების უნარით დაჯილდოებულნიც იყვნენ, მაგრამ ვერ ასცდნენ დილეტანტურ ყოველისუარმყოფლობას. ამ მოვლენის წინააღმდეგ იყო მიმართული ილიას წერილები „უარმყოფლობა ჩვენში", „თერგდალეულნი და ახალი თაობა", „ახალი რაზმის კაცი". ნიჰილისტურად განწყობილმა ახალგაზრდობამ იერიში მიიტანა ოჯახის, ქორწინების, სიყვარულის წინააღმდეგ.

„კაპიტალის" პირველ ტომში კ. მარქსს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სიბრიყვე იქნება — ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მივიჩნიოთ მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ან ძველი რომაული, ანდა აღმოსავლური, რომელნიც — აღვნიშნავთ გაკვრით — „ერთმანეთთან დაკავშირებით ისტორიული განვითარების ერთიან მწკრივს შეადგენენ"[2].

მართალია, ოჯახის აბსოლუტური, ყველა დროისა და ცხოვრებისათვის მუდმივი და გამოსადეგი ფორმა არ არსებობს, მაგრამ ოჯახი თავისთავად რჩება. ოჯახი რთული სოციალური ინსტიტუტია, მაგრამ ის უშუალოდ აუტომატურად არ განისაზღვრება წარმოებითი ურთიერთობით. ის არ არის ზედაშენი. ოჯახი მორალურ-იურიდიული მოვლენაცაა. ის ქორწინებისა და ნათესაობის საფუძველზე შექმნილი ისტორიულად აუცილებელი ის მცირე სოციალური ჯგუფია, სადაც ხორციელდება პიროვნების, საზოგადოების წევრის აღზრდა, მოდგმის განგრძობა.

ოჯახი არის მოსახლეობის აღწარმოების საზოგადოებრივად აუცილებელი ფორმა. კაცობრობის მოდგმის განგრძობის ლეგალური საშუალება.

ოჯახი ისტორიულად განსაზღვრული მცირე სოციალური ჯგუფია, რომლის წევრებად ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საქორწინო ან ნათესაური კავშირით, ყოფა-ცხოვრებითია და მორალური პასუხისმგებლობით.

ოჯახი წარმოადგენს კონკრეტულ განზორციელებას იმ მიკროსოციალური ჯგუფისას, სადაც ხდება ისეთ უმაღლეს ფასეულობათა წარმოშობა-განვითარება, როგორებიცაა ზნეობა, სინდისი, პატრიოტიზმი, მშობლიური სიყვარული.

მონოგამიური ოჯახის წარმოშობა განაპირობა, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, გვაროვნული წყობის დაშლამ, ქონებრივი უთანასწორობისა და კერძო საკუთრების წარმოშობამ, ამ საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემის მოთხოვნილებამ.

ოვით მონოგამიური ოჯახი, ცხადია, გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა და განიცდის, მაგრამ მრავალი ათასი წლის წინათ წარმოშობილი ოჯახი კვლავ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი მონოგამიური ოჯახის განვითარების ისტორიულად თანმიმდევრულად საფეხურებად მიიჩნევს პატრიარქალურ, ეგალიტარულ და სოციალისტურ ფორმებს.

მაგრამ ოჯახი, როგორც ასეთი, არსებობას განაგრძობს და ალბათ მუდამ იარსებებს.

---

2 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 619.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XX საუკუნის დასაწყისში ქართული პრესის ფურცლებზე ერთ-ერთი ოჯახის უარმყოფელის წერილიც გამოჩნდა. ილია ჭავჭავაძემაც არ დაყოვნა და 1902 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 21) გამოქვეყნა პოლემიკური ხასიათის ფელეტონი — „ი. გომართელის ფილოსოფია და ა. ჯორჯაძის ფსიქოლოგია“. რა ედო საფუძვლად ამ პოლემიკური სტატიის გამოქვეყნებას?

1902 წელს „საყოველკვირაო“ გაზეთი „კვალის“ მეორე ნომერში ივანე გომართელმა გამოქვეყნა წერილი „სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს“.

ავტორს აქ სხვა მწერლობის ნაწარმოებთა გვერდით განხილულ-არჩეული აქვს ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელიც“.

ი. გომართელის აზრით მინდიას ტრაგედია გამოიწვია ცოლ-შვილზე და ოჯახზე ზუნვამ. ი. გომართელი შემდეგ განაგრძობს: „მხოლოდ ამ ერთადერთ მიზეზს ასახელებს ავტორი. მაგრამ მიზეზი ამგვარი მოვლენისა უფრო რთულია, უფრო ღრმა, ვიდრე მარტო ერთი ოჯახი. რაც უნდა იყოს, ავტორის გადაჭრილი პასუხი ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ მას თანამედროვე ოჯახი მიაჩნია ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ბორკილად. ეს აზრი ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე. მონოგამიური ოჯახი გამოიარეკა და თანდათან განვითარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო საკუთრების იდეა და სიყვარული თვით ცხოვრებამ აღორძინა და გააძლიერა ადამიანში. რაამდენიც უნდა ამტკიცონ რომ ოჯახი ბუნჯია სახელმწიფოსი და სხვ., ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელ ოჯახს სახეში ჰყავს ადამიანი და არა საზოგადოება, ის უფრო ავითარებს ადამიანში ეგოისტურ გრძნობებსა და პირად მატერიალურ მისწრაფებათ, ვიდრე სოციალურსა და იდეალურს; დღევანდელი ოჯახი იმ კლდეს წარმოადგენს, რომელზედაც მიჯაჭვულია ადამიანის მთელი ძალ-ღონე და საშუალო ადამიანი მხოლოდ ოცნებაში თუ გაინთავისუფლებს თავს და გასცილდება ოჯახის საზღვრებს, ნამდვილად კი ის სრული მონაა ოჯახის, ოჯახზე და მაშასადამე საკუთარ თავზე ზრუნვას ხმარდება მისი ძალ-ღონე“.

პირველყოვლისა მკითხველს თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ი. გომართელი გაბორტყვებული სიძულვილით აღსავსეა მისი დროის ოჯახის მიმართ და საკუთარ აზრებსავე ახვევს ვაჟა ფშაველას. ის იმდენად ვაჟას „გველის მჭამელის“ განხილვით კი არ არის დაინტერესებული, რამდენადაც იმით, რომ როგორმე თავისი მოსაზრება გამოთქვას თანამედროვე ოჯახზე. რა თქმა უნდა მის კრიტიკაზეში არის რაღაც ჭეშმარიტების მარცვლები, მაგრამ არ არის სწორი მისი ძირითადი თეზისი საერთოდ ოჯახის, როგორც ასეთის, ადამიანის აზრ-სა და ნებისყოფის მწუხარე სასაფლაოდ დასახვისა.

ი. გომართელზე, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა მოახდინეს ჟ. გედისა და ო. მარქსის იდეებმაც.

სოციალისტ ჟ. გედის თქმით, რომელიც ოჯახის წინააღმდეგ იბრძოდა — „მონოგამია არის ბუჟუჟაზიული ქორწინების ბასტილია“. გერმანელი იურისტი ოტო მარქსი კი წერდა, რომ თანამედროვე ქორწინება პირთა თავისუფალი კავშირი კი არაა, არამედ შუა საუკუნეების კოშკია, რომლის სარკმელებზედაც აკრულია კანონების პარაგრაფებიო.

გასული საუკუნის რიგ მოაზროვნეებს ეჩვენებოდათ რომ, თუ სიყვარული თავისუფლებაა, ქორწინება მწარე აუცილებლობაა, „ტკბილი ღვინისაგან დგება მწარე ძმარი — სიყვარულისაგან ქორწინება“ (ჯ. ბაირონი).

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში მაინც ოჯახი არ იყო ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა ისე მძიმე ბორკილი, როგორც ეს ი. გომართელს ჰქონდა წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონოგამიური ოჯახის იდეა თავის ნამდვილობას კაპიტალისტური კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს უარყოფის პირობებში პოვებს.

ასე რომ ოჯახის საერთოდ უარყოფა შეცდომაა და თანაც ასეთი ნიჰილიზმი სხვა უკიდურესობისაკენ უბიძგებს კაცს.

ასე დაემართა ი. გომართელსაც, როდესაც დაწერა:

„თქვენი არ ვიცი მკითხველო და მე კი მწარეთ მეცინება ხოლმე, როდესაც ვკითხულობ აღფრთოვანებულ პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე, სიყვარულზე და სხვა ამგვარ უშინაარსო მცნებებზე, რომელთა გაშინაარსებას ასე ესწრაფვის ადამიანის ოცნება“-ო.

რაც არ უნდა კრიტიკულად ყოფილიყო განწყობილი მის თანამედროვე საზოგადოებისადმი ი. გომართელი, მას მაინც უნდა დაენახა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც არსებობს ვთქვათ ძმობა მუშათა შორის, სიყვარული მეუღლეთა შორის ან სიყვარული მშობლებსა და შვილებს შორის, დაძმური სიყვარული და ა. შ.

ბურჟუაზიული ევროპის საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ შეიძლებოდა დაგვეყვანა მხოლოდ მესაკუთრეთა, ვაჭართა და მრეწველთა ურთიერთობაზე.

მარქსისა და ენგელსის მეგობრობა, კ. მარქსისა და ჟენი ფონ-ვერტფალენის სიყვარული, მათი სანიმუშო ოჯახი არ შეიძლება მხედველობაში არ მიგვეღო.

ილია ჭავჭავაძემ, რა თქმა უნდა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ი. გომართელის ხსენებული უპასუხისმგებლო განცხადება.

ილიას თავისი ფელეტონი ქმრის მიერ ცოლისადმი მიწერილ წერილის ფორმით აქვს დაწერილი.

ქმარი ცოლისადმი მიწერილ წერილში წერს:

„შენი წიგნი მივიღე. მწერ და მემდურები, რომ ამოდენა ხანია მე ჩემი ამბავი არ მომიწვდენია შენთვის, და მემუნათები, რომ თუ მე, შენი ჯვარდაწერილი ცოლი არ გაგონდები, ეს შენი ოჯახი მაინც რატომ არ მოიკითხეო“.

ქმარი ცოლს აცნობებს, რომ ის უკვე ახალი მიმართულების კაცია „კეალისა“ და „ცნობის ფურცლის“ მკითხველია, ოჯახი ძველ „ობმოკიდებულ მცნებად“ მიაჩნია.

„რაკი გომართელს წერაქვი აუღია ხელში და ოჯახს მისდგომია დასანგრევად, მეც როგორც ახალი მიმართულების კაცს, იმის ცდაში ვარ, რომ ოჯახის ხსენებაც არ იყოსო“-წერს ქმარი ცოლს.

ილიამ გამოიყენა ი. გომართელის შეცდომა სიყვარულის უშინაარსო „მცნებად“ გამოცხადებასთან დაკავშირებით და მისთვის რჩეული სარკაზმით აღნიშნა:

„ძველი ქართველი იტყოდა: აღფრთოვანებული პოეზია ძმობისა, ერთობისა სიყვარულისა. მაგრამ ეს გამოკვეთილი ლუღლუღი ძველისა ან სად ის მშვენიერი ახალი ჭიკჭიკი გომართელისა! წაწყმდეს ძველი და გაუმარჯოს ახალსა!“-ო.

ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად იცნობდა ჯაკობრიობის ისტორიას და კარგად უწყოდა, რომ უსაფუძვლო უარმყოფელობას არაფერი აქვს საერთო აუცილებლობასთან, რომ „ძმობა, ერთობა“ და „სიყვარული“ ისეთი ცნებები არ არის, რომელიც ნაგავს შეიძლება გააყოლო. ქორწინება და ოჯახიც ჯაკობრიობის კულტურის ერთ-ერთი უმაღლეს მიღწევათაგანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძემ მკაცრი შეფასება მისცა იმათ, ვინც ძველ ფასეულობათა გადაფასების მოტივით ოჯახის მოსპობა მოინდომა.

„ოჯახი იმისთანა რამ ყოფილა, რომ დღეის ამას იქით ყოველი კაცი, ვისაც — კი გომართელის სიბრძნის სუნი მოსდენია, ვინც-კი მისი ფილოსოფიით „აღფრთოვანებული“, ყოველი იგი უნდა ჰკდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის ზურგიდან“, — სარკასტულად შენიშნავდა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ილია ებრძოდა ისეთ მწერალთ, რომელთაც წერაქვი აუღიათ და ოჯახს მისდგომიან დასანგრევად.

ილიას ფელეტონის გმირი ცოლსა წერს:

„მაშ გახსოვდეს, რომ ოჯახი ადამიანის პროგრესის ბორკილია. ეს ბორკილი ხომ ბორკილია, გარდა ამისა ოჯახს სხვა ჭირიც სჭირევია: ადამიანის ძალღონეს თურმე წინ გადაღობებია და არ უშვებს საზოგადოებრივ იდეალებისაკენ, ერთის სიტყვით, კაცობრიობის საზოგადოებრივი წინსვლა შეუყენებია, და, მაშასადამე, ისევ კაცობრიობის პროგრესი შეუკრავს და შეუბოჭავს, ჰხედავ ამ წყეული ოჯახის ცოდვები სადა სცემს!“.

რადგანაც ოჯახის საფუძველი ქორწინებაა „უარმყოფლობის“ მქადაგებელნი, რა თქმა უნდა, მასაც პროგრესისა და საზოგადოების განვითარების დამაბრკოლებელ მოვლენად სთვლიდნენ. ილიამ ცხადია ამ მოსაზრების წინააღმდეგაც გაილაშქრა: „ბევრი ცოლი და ქმარია, რომ ერთმანეთი ჭირივით ეკავრებათ, უნდათ და ვერ გაჰყრიან ერთმანეთს, რადგანაც, რაც გინდ იყოს, ცოლ-ქმრობის დარღვევა მძიმე და სათაკილო საქმეა და თუ არ დიდად პატივსადები მიზეზი, ძნელი გასაბედია; სირცხვილის შიშისა გამო, კაცი როგორღაც უფრთხის და ცოლ-ქმრობას შეჩვეულ ჭირსავით ითმენს. ეხლა-კი ბ-ნ გომართელის წყალობით ცოლ-ქმრობის დარღვევა არამც-თუ სათაკილო საქმეა, არამედ ქვეყნისათვის დიდებული ღვაწლია, სასახელო და საქებ-სადიდებელი, და ჰნახე იმას იქით, რამდენი ცოლ-ქმრობა შემოსრულა, რამდენი ოჯახი დაიქცევა სამუდამოდ“[3].

გამართლდა ილია ჭავჭავაძის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ე. წ. „უარმყოფელთა“ შეხედულებას ოჯახის, სიყვარულის და ქორწინების მოსპობის შესახებ გამარჯვება არ ეწერა. ოჯახი იყო და რჩება ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უმაღლეს მორალურ ფასეულობად.

ქორწინებამ და ოჯახმა თავისი ისტორიული განვითარების გზაზე რიგი ცვლილებები განიცადა. ოჯახის და ქორწინების ერთი სახეობის, ფორმის მეორეთი შეცვლა განპირობებულია წარმოების წესში, მთელი საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ძირეული გარდატეხით.

მონოგამიური ოჯახი მისი წინამორბედი ოჯახის ფორმებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ის ეყრდნობოდა თავისი ეპოქისათვის პროგრესული საკუთრების სახეობას — კერძო საკუთრებას. მაგრამ თვით კერძო საკუთრების შიგნით უნდა განვასხვავოთ ინდივიდუალური, საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრება და სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე დაფუძნებული კერძო საკუთრება.

ამასთან ერთად მონოგამიური ოჯახი ერთი და იგივე თვისებებით არ ხასიათდება მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოე-

---

[3] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. II, 1941, გვ. 302.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა სინამდვილეში. თანაც ერთი და იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით მონოგამიური ოჯახი მშრომელთა წრეში ერთი თვისებებით ხასიათდება, ხოლო ბანატონებულ კლასთა შორის კიდევ სხვით.

თვით კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში უშუალოდ მწარმოებელთა და საერთოდ მშრომელთა ფენებში წარმოიშობა ახალი — სოციალისტური ტიპის ოჯახის წინამორბედი. ამიტომ, ცხადია, ასეთ ოჯახებში ადგილი არა აქვს ბურჟუაზიულ ურთიერთობებს.

სოციალისტურ საკუთრებაზე დამყარებულ მონოგამიური ოჯახისათვის ბრძოლა და საერთოდ ოჯახის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი და იგივე არ არის.

სიყვარულს განვითარებულ ხალხთა ენებში არაერთი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული, სპეციალური ადგილი უკავია იმ სიყვარულს, რომელიც ქორწინებისა და ოჯახის საფუძველია. „არ არის ცეცხლი-სიყვარულის ცეცხლზე უფრო მშვენიერი“-ო ამბობდა მ. გორკი.

სიყვარული, ქორწინება და ოჯახი ემსახურებოდა კაცობრიობის არსებობას ამამარტო ქვენა. ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან მომდინარე გრძნობებს, არამედ უმაღლეს მიზნებსაც. ამ აზრით ქორწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ როდესაც ის სხვადასხვა სქესის სრულწლოვან პირთა თავისუფალი კავშირია, თუ ქორწინება დაქორწინებულთა მექანიკური, თავსმოხვეული კავშირია, მაშინ როგორც ი. პოკროვსკი იტყოდა „იგი ხდება ზნეობრივი დაავადების კერად“. თუ ქორწინებას გარეგანი იძულების ხასიათს ჩამოვაშორებთ, ის საზოგადოების სოციალური პროგრესის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა. ამიტომაც ილია ჭავჭავაძე მართალი იყო, როდესაც ებრძოდა ნიჰილისტურ თეორიებს, რომლებიც საერთოდ ილაშქრებდნენ სიყვარულის, ქორწინებისა და ოჯახის, როგორც ასეთთა წინააღმდეგ. ქორწინების და ოჯახის უარყოფას გარყვნილებამდე მიეყავართ.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად ილაშქრებდა იმ წვრილბურჟუაზიულ და ანარქისტულ თეორიათა წინააღმდეგ, რომლებიც ოჯახის დაშლას ქადაგებენენ.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მარქსიზმის კლასიკოსებს არსად, არაასდროს არ ჰამოუთქვამთ უარყოფითი მოსაზრებანი სოციალისტური საზოგადოების მონოგამიური ოჯახის შესახებ.

ვ. ი. ლენინი ილაშქრებდა ე. წ. „სიყვარულის თავისუფლების“ თეორიის წინააღმდეგ. „სიყვარულის თავისუფლებაში“ იგულისხმებოდა განთავისუფლება იმისაგან, რაც სერიოზულია სიყვარულში, თავისუფლებას სიყვარულ ყოლაში(მრუშობაში) და ა. შ.

საჭიროა არა ქორწინების უარყოფა, არამედ ქორწინება სიყვარულით.

ისტორიულად მავნე და გამხრწნელი გავლენის იყო ე. წ. „ჭიქა წყლის თეორია“, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ი. გომართელის შეხედულებებთან. ხსენებული თეორიის მიხედვით, სოციალიზმის დროს ისე უბრალო საქმედ უნდა იქცეს სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როგორც ჭიქიდან წყლის შესმა, რომ სრულიად ზედმეტია ოჯახის შექმნა და ა. შ.

კომუნისტურ მოძრაობას მოუხდა გათავისუფლება გასული საუკუნის შუა წლებში ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში წარმოშობილ ნიჰილისტურ-ანარქისტული შეხედულებებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი რევოლუციონერის და საზოგადო მოღვაწის ა. შ. კოლონტაის ერთ-ერთი მოთხრობის გმირი, ახალგაზრდა ქალი თავსაც კი იწონებდა იმით, რომ სქესობრივი ცხოვრება მისთვის უბრალო ფიზიკური სიამოვნებაა და რომ ის შეყვარებულებს იცვლის განწყობილების მიხედვით. „ახლა მე ორსულად ვარ. — აცხადებს ა. მ. კოლონტაის (1872-1952) მოთხრობის გმირი, მაგრამ მე არ ვიცი, ვინ არის ჩემი ბავშვის მამა, თუმცა ეს ჩემთვის სულერთია".

რევოლუციური ფრაზებით შენიღბული ამგვარი ნიჰილისტების წინააღმდეგ, რომლებიც არსებითად მორალურ გახრწნილებას ქადაგებდნენ, ყოველთვის იბრძოდნენ საზოგადოების ჯანსაღი წარმომადგენლები. ამ ბრძოლის სათავეებთან საქართველოში ილია ჭავჭავაძე იდგა.

Г. Н. НАДАРЕЙШВИЛИ

ОБ ОДНОЙ ПОЛЕМИЧЕСКОЙ СТАТЬЕ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

И. Чавчавадзе в 1902 году опубликовал статью «Философия И. Гомартели и психология А. Джорджадзе».

В ней автор выступает против распространенной в те годы левацко-нигилистической мысли о том, будто такие общественные институты и понятия как брак, семья, «братство» и «любовь» устарели и препятствуют развитию общества и государства.

И. Чавчавадзе считал, что в такие общественные институты как брак и семья нужно вложить более высокое моральное содержание.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა, რეცენზია, ინფორმაცია

„მრგვალი მაგიდა“

კამათი პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ თემაზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით 1987 წლის 5 თებერვალს გაიმართა „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „საზოგადოებრივი შრომის ძყარმოებლურობის და ოეგიონის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის თეორიული საფუძვლები განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“.

„მრგვალი მაგიდა“ გახსნა **აკად. ა. გუნიამ,** რომელმაც თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კამათის თემა უნდა გახდეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარების ისტორიული პროცესებისა და შრომის მწარმოებლურობის დონის მიმართების საკითხები და ჩამოაყალიბა პრობლემათა ის წრე, რომლის ირგვლივაც უნდა გამართულიყო კამათი. კერძოდ, აკად. ა. გუნიამ თქვა, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იმარჯვებს წინამდებარეზე უპირველეს ყოვლისა უფრო მაღალი საზოგადოებრივი მრომის მწარმოებლურობის საფუძველზე. სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი შრომის უფრო მაღალი მწარმოებლურობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ეკოხომიკურ შეჯიბრებაში გამარჯვების აუცილებელი პირობაა. სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია ითვალისწინებს მოცემულ მაჩვენებლით მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იიჯნებზე გასვლას. სსრ კავშირში და საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური, დარგობრივი, საზოგადოებრივი მრომის მწარმოებლურობის ზრდის ტენდენცია არ უნდა იყოს შეზღუდული საერთო ან წმინდა პროდუქციის მაჩვენებლებით, არაპედ წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების) თვისობრივი მაჩვენებლებით უნდა იყოს განპირობებული. ეს საზოგადოების მიერ უარყოფილი, არარეალიზებული (ჩაწოლილი) საქონლის (პროდუქციის) წარმოების ლიკვიდაციისათვის აუცილებელი პირობაა. თანამედროვე პირობებში, როცა სსრ კავშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღწეულ შრომის მწარმოებლურობის დონეს, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების შემცირება მატერიალური წარმოების სფეროში და ტერიტორიულ ჭრილში გაუმართლებელია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია ეკონომიკური ზრდის, შრომის მწარმოებლურობის ტემპებისა და წარმოების ტექნიკური დონის ზრდის ერთიანობა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების თვისობრივი ფაქტორი. თუმცა ამას ხელს არ უწყობს წარმოების საშუალებათა სტრუქტურაში შრომის საშუალებათა (შრომის იარაღების) წარმოების ზრდის ტემპების შენელება, რაც შესამჩნევლად მოქმედებს წარმოების ტექნიკურ (სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო-ტექნიკურ) დონეზე. ეს მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია მანქანათმშენებლობის ზრდის ტემპების შენელებით. ამიტომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომის საშუალებების (შრომის იარაღების) შრომის საგნებთან შედარებით მნიშვნელოვნად წინგამსწრები წარმოება, წარმოების საშუალებებში პროპორციების ცვლილება შრომის იარაღების სასარგებლოდ, განსაზოგადოებული წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების აუცილებელი პირობაა. მოსახლეობის ერთ სულზე სსრ კავშირში ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით მრეწველობის წინგამსწრები ზრდის ტემპების მიუხედავად (აშშ-ს ორიენტაციისათვის ვიღებთ, თორემ ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლით უკეთესი მონაცემები აქვთ საფრანგეთს, გფრ-ს, იაპონიას, იტალიას) 70-80-იან წლებში მათ შემცირება დაიწყეს. მსოფლიოში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მოწინავე პოზიციებზე გასვლა განპირობებულია არა მარტო ეკონომიკური ზრდის ტემპებით, არამედ უპირველეს ყოვლისა ზრდის პროცესების წონადობით (მნიშვნელობით). ეს უკანასკნელი ორგანულადაა დაკავშირებული წარმოების ტექნიკურ დონესთან, წარმოებული პროდუქციის ხარისხთან. განმაზოგადებელი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით (ეროვნული შემოსავალი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კაპიტალური დაბანდება, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში) საბჭოთა კავშირის ზრდის ტემპების წინგამსწრები კოეფიციენტი აშშ-სთან შედარებით უკანასკნელ პერიოდში (1981-1985 წწ.) რამდენადმე შემცირდა. აღნიშნული ტენდენცია დაძლეულ უნდა იქნეს უახლოეს ისტორიულ პერიოდში. ასეთი პერიოდი ალბათ უნდა იყოს XXI საუკუნის დამდეგამდის პერიოდი. ეს შესაძლებლობას მისცემს სსრ კავშირს გაიზიეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მიჯნებზე. სსრ კავშირის ეკონომიკის მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოზიციებზე გასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო და სხვა პროდუქციის წარმოების განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მაჩვენებლებზე გადასწრება. განვითარების თანამედროვე სტადიაზე რომელიმე ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, მაგალითად, მთლიანად საზოგადებრივი წარმოების ეკონომიკური ზრდის ტემპი, ასევე დარგობრივ ჭრილში თვისობრივ მაჩვენებლებთან, წარმოების ინტენსიურ ფაქტორებთან ორგანული კავშირის გარეშე არ შეიძლება მოცემული პრობლემის გადაწყვეტა. ამიტომ საჭიროა ეკონომიკური ზრდის ტემპები, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური დონის ამაღლება, წარმოებული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობა, პროდუქციის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე ერთიანობაში იქნას განხილული. ამასთან წარმოების მეცნიერტევადობის ზრდას, როგორც წესი, მივყავართ მის სანედლეულო, მატერიალური ენერგეტიკული, ინვენტიციური და შრომითი ტევადობის შემცირებასთან. ე. ი. ეკონომიკის უმაღლეს დონის ეფექტიანობასთან.

უნდა დაისვას საკითხი სოციალიზმის საწარმოო ძალების კაპიტალისტურ საწარმოთა ძალებთან შედარებით მიზანშეწონილობის შესახებ. კაპიტალიზმმა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ, ხომ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს. სოციალიზმი კი წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მხოლოდ დაბალ საფეხურს. მისი საწარმოო ძალები, ისე როგორც წარმოებითი ურთიერთობები ჯერ კი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევ ისე არაა მომწიფებული, რომ მთლიანად ასახოს მოცემული ფორმაციის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ყველა ნიშანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, რომლის საწყის სტადიაზეც იმყოფება საბჭოთა კავშირი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ზოგიერთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლით და უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობით უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

აღნიშნული დებულებები უშუალოდ ეხება რეგიონალურ (საქართველოს სსრ) ეკონომიკას, მის ეფექტიანობას. სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებულ სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციას, ქვეყანას ეკონომიკური განვითარების საერთო კანონზომიერებების გარდა ხომ აქვს რეგიონალური თავისებურებები დაკავშირებული რეგიონში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარებასთან. ეს უპირველეს ყოვლისა საქართველოს სრ რესპუბლიკის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო სოციალურ-ეკონომიკური მოწინავე პოზიციებზე გასვლის აუცილებლობაში, ე. ი. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დაჩქარებაში პოულობს ასახვას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის № 1 კათედრის გამგემ, **ეკონ. მეცნ. დოკტორმა, პროფ. გ. ადეიშვილმა** აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულება — შრომის ნაყოფიერება ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის — ახალ მნიშვნელობას იძენს სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის და ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების პირობებში. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტორების როლის განსაზღვრას, რომლებიც გავლენას ახდენდნენ შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, ამ შემთხვევაში მე გამოვყოფდი განათლების, უშუალო მწარმოებლის საკვალიფიკაციო დონის მნიშვნელობას. მართალია, შრომის ნაყოფიერების ზრდაში ამა თუ იმ ფაქტორის როლის განსაზღვრა რთულია, მაგრამ მიახლოებითი გაანგარიშებანი, რომლებიც გააკეთეს საბჭოთა ეკონომისტებმა, აკად. ს. სტრუმილინის მიერ შემუშავებული მეთოდიკის საფუძველზე, გვიჩვენებენ, რომ განათლების სფეროში დახარჯული ყოველი მანეთი იძლევა ეფექტს, რომელიც რამდენჯერმე ჭარბობს თავდაპირველ კაპიტალდაბანდებას. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერებისა და განათლების დონის კავშირის შესახებ, საქართველოს სსრ უკანასკნელ წლებამდე პირველ ადგილზე იყო კავშირში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მაჩვენებლის მიხედვით, როგორც მოსახლეობის ყოველ ათას სულზე, ისე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა მიმართაც, მაშინ როდესაც შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით ერთობ მოკრძალებული ადგილი გვიკავია დღემდე. მართალია შრომის ნაყოფიერების დონე მხოლოდ ამ მაჩვენებლით არ განისაზღვრება, მაგრამ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი მას უთოდ ენიჭება. ჩვენი აზრით, განათლების სფეროში როადენობრივ მაჩვენებლებს, მის ექსტენსიურ ზრდას განვითარების ადრეულ ეტაპზე ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ამჟამად კი წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში სიმძიმის ცენტრი ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გადავიდა. ამას მოითხოვს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუცია და წარმოების იარაღების განვითარების დონისადმი სამუშაო ძალის შესაბამისობის კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე საკითხი, რომელსაც მე მინდა შევეხო აკად. ა. გუნიას მოხსენებასთან დაკავშირებით, ეხება შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის პრობლემას. სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში დღესაც მოიხსენიება (თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც), შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, როგორც ეკონომიკური კანონი. ჩვენი აზრით, შრომის ნაყოფიერების ზრდა საერთო ეკონომიკური კანონია, რომელიც სპეციფიკური კანონის სახეს, როგორც განუხრელი ზრდის კანონი, სოციალიზმის დროს არ ღებულობს.

სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომის ნაყოფიერებისა და შრომითი რესურსების განყოფილების გამგემ, **ეკონ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. ნ. ხურციძემ** აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა არის ყველა ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური კანონი, ობიექტური პროცესი, რომელიც დამოანთა ნებისა და სურვილებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, ეს იმიტომ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ასახავს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების პროცესს. საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი კი ობიექტური კანონზომიერებაა, რომელიც თუმცა სხვადასხვა ტემპებით, მაგრამ მაინც ყოველ ისტორიულ ეპოქაში მიმდინარეობს. რაკი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების ასახვაა, ხოლო ამ უკანასკნელის განვითარება კანონზომიერი პროცესია. ამიტომ მისი ამსახველი შრომის ნაყოფიერების ზრდაც კანონზომიერი პროცესია, ობიექტური ეკონომიკური კანონია.

საზოგადებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის საყოველთაო ეკონომიკური კანონის მოქმედება სოციალიზმის (კომუნიზმის) დროს გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მისი ერთ-ერთი თავისებურება კი სწორედ ისაა, რომ იგი აქ სისტემატურად, განუხრელად იზრდება. ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების მთელ მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონე დაცემულიყო. მისი დონე ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ტემპით იზრდება, მაგრამ სრულებით რომ არ ამაღლებულიყო ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონდა. მაშასადამე, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის კანონს განუხრელი ალმავლობის ხასიათი აქვს.

ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას სოციალიზმის დროს განუხრელი ზრდის ხასიათი აქვს სრულიადაც არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებს, როცა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, ქვედარგში, საწარმოსა და გაერთიანებაში შრომის ნაყოფიერების დონის ზრდა შეჩერდება ან კიდევ დაეცემა. რაღა თქმა უნდა საზოგადოება ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ შრომის ნაყოფიერება ყოველთვის, ყველა დარგში, ქვედარგში, საწარმოსა და გაერთიანებაში იზრდებოდეს. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა სწორედ ამ სფეროებში მისი ზრდის საფუძველზე ხდება. მიუხედავად ამისა მაინც არის ცალკეული გამონაკლისი შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ობიექტური ან სუბიექტური მიზეზის გამო ცალკეულ დარგში, ქვედარგში. საწარმოებსა და გაერთიანებებში შრომის ნაყოფიერების დონე არა თუ არ მაღლდება, არამედ ეცემა კიდეც. მაგრამ ასეთი ცალკეული შემთხვევები ვერ გამორიცხავს მთელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის შესაძლებლობასა და აუცილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას სოციალიზმის დროს. იგი აქ ყოველთვის, სისტემატურად მაინც განუტ-რელად იზრდება.

შრომის ნაყოფიერების დინამიკის თავისებურებათა გამოვლინების მიზ-ნით ჩვენი ქვეყნის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანა ოთხ პირობით პერიოდად შეიძლება დავყოთ: 1955 წლამდე, 1956-1965; 1966-1975 და 1976-1985 წლები. ამ პერიოდში მთელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება საერთოდ და შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში — კერძოდ, სულ სხვა-დასხვა ტემპით იზრდებოდა. პირველ პერიოდში იგი სწრაფად, მეორეში — ნელა, მესამეში — შედარებით უფრო სწრაფად, ხოლო მეოთხეში — ყველა პერიოდზე უფრო ნელი ტემპით. აი კონკრეტული ციფრები. შრომის ნაყო-ფიერება სსრ კავშირის მთელს მრეწველობაში (სახალხო მეურნეობის ამ მთა-ვარ დარგში) 1951-1955 წლებში, საშუალოდ ყოველწლიურად 8,2%-ით მა-ტულობდა, 1956-1965 წლებში — 5,65%-ით, 1966-1975 წლებში — 5,9%-ით, ხოლო 1675-1985 წლებში კი მხოლოდ 3,2%-ით. დაახლოებით ასეთივე ტენ-დენციით ხასიათდებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდა საქართველოს მრეწ-ველობაშიც. აქ იგი პირველ პერიოდში, საშუალოდ ყოველ წელს, 6,35%-ით მატულობდა, მეორეში — 4,05%-ით, მესამეში — 5,6%-ით, ხოლო მეოთხეში — 4,3%-ით. აღსანიშნავია ისიც, რომ, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ეს თავისებურებანი — ერთ პერიოდში სწრაფი, ხოლო მეორეში — ნელი, და-მახასიათებელია ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის. ეს კი იმაზე ლაპარაკობს, რომ ამ მაჩვენებლის ასეთი ცვლილება, უმთავრესად, ერთი და იმავე მიზეზითაა გამოწვეული.

რამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების დინამიკის ასეთი თავისებურება — ხან მისი ზრდის აჩქარება, ხან კიდევ მკვეთრი შენელება? რამ გამოიწვია კერ-ძოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელება 1956-1965 წლებსა და მისი მკვეთრი დაცემა 1976-1985 წლებში. ამის მიზეზი მრავალია. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის მართვა-ში დაშვებული შეცდომები. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ შრომის ნა-ყოფიერების ზრდის ტემპების შენელება 1956-1965 წლებში უმთავრესად გა-მოიწვია მაშინ გაბატონებულმა თვითნებობამ სახალხო მეურნეობის მართ-ვაში. ამის დამადასტურებელ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ მრეწველო-ბის მართვის არასწორი შეცვლა, ქვეყნის მრეწველობის დარგობრივი მართ-ვის სისტემიდან მისი სახალხო მეურნეობის საბჭოების მეშვეობით მართვა-ზე გადასვლა. მრეწველობის მართვამ სახალხო მეურნეობის საბჭოების მეშ-ვეობით იმდენი სიძნელეები გამოიწვია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომი-ტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გაუქმება, მრეწ-ველობის მართვა კვლავ მისი დარგობრივი სამინისტროების მეშვეობით და-იწყო.

რამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მკვეთრი შენელე-ბა 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან? აქაც ბევრი მიზეზია, მაგრამ მათ შო-რის ყველაზე მთავარია ის შეცდომები, რომელნიც დაშვებული იყო სახალ-ხო მეურნეობის მართვის სისტემაში. თუ რა შეცდომები იყო დაშვებული, რა ახალ მოვლენებს ვერ აუღეს ალღო შესაბამისმა ორგანოებმა ამაზე საკმაოდ ვრცლადაა ნათქვამი სკკპ XXVII ყრილობის, პარიტის (1985 წ.) და იანვრის (1987 წ.) პლენუმის მასალებში. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები ბა-რომეტრივით ასახავს სახალხო მეურნეობაში არსებულ ვითარებას და თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მართვა ხელს უწყობს ან ხელს უშლის მისი განვითარების პროცესს, მაშინ ეს შრომის ნაყოფიერების ზრდის სათანადო ტემპებშიც აისახება.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ეკონ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. ლ. ჩიქავამ** თქვა, რომ მტკიცება თითქოს მომწიფდა ნიადაგი, რათა გადაისინჯოს შრომის მწარმოებლურობის ზრდის საყოველთაო ეკონომიკური კანონის სოციალიზმის პირობებში განუხრელი ამაღლების ფორმით გამოვლინების თაობაზე საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულება. არგუმენტებად მოჰყავთ ის, რომ ჩვენი ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე არ შეიმჩნევა წარმოების განუხრელად მაღალი და სტაბილური ტემპებით ზრდა. ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის საყოველთაო ეკონომიკური კანონის სოციალიზმის პირობებში განუხრელი ამაღლების სპეციფიკური ფორმით მოქმედება ნიშნავს იმას, რომ აქ საიმისო ობიექტური წანამძღვრები არსებობს, ე. ი. წარმოქმნილია რეალური შესაძლებლობანი მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის. ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ბევრ (მეტწილად სუბიექტური ხასიათის) ფაქტორზეცაა დამოკიდებული. ასე რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ეკონომიკური კანონი სოციალისტურ-საზოგადოებაში განუხრელი ამაღლების სპეციფიკური ფორმით მოქმედებს მაშინაც, როცა სხვადასხვა გარემოების გამო შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპების ერთგვარ შენელებას (შეიძლება დაცემასაც კი) აქვს ადგილი. სწორედ ასეთი სიტუაცია შექმნა ჩვენს ქვეყანაში 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანი წლების დასაწყისში. ამ პერიოდში აშკარად იჩინა თავი დისპროპორციამ, საკმაო ღრმა წინააღმდეგობამ სახალხო მეურნეობის მასშტაბით წარმოქმნილ მძლავრ შრომის მწარმოებლურ ძალასა და შრომის მწარმოებლურობის ფაქტიურ მაჩვენებელს შორის, ამის ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი იყო მეურნეობრივი მექანიზმის ჩამორჩენა დღევანდელი მოთხოვნებისაგან. როგორც მიმდინარე წლის იანვრის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, არსებითად წარმოიშვა ხელისუფლების ეკონომიკური ინსტრუმენტების შესუსტების მთელი სისტემა, შეიქმნა ერთგვარი სამუხრუჭო მექანიზმი, რომელიც აბრკოლებდა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, აფერხებდა პროგრესულ გარდაქმნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალიზმის უპირატესობათა გამოვლინებასა და გამოყენებას, აი, ზოგიერთი ფრიად დამაფიქრებელი ფაქტობრივი მონაცემები:

— ქვეყნის მასშტაბით ეროვნული შემოსავლის მატების საშუალო წლიური ზრდა თუ ომამდელ ხუთწლედებსა და ომის შემდგომ პირველ ხუთწლედში 14 პროცენტს შეადგენდა, 50-იანი წლებში 14, მეათე ხუთწლედში 4,3, ხოლო მეთრთმეტე ხუთწლედში 3,1 პროცენტამდე დაეცა. 1975-1985 წწ. გეგმის შემცირებული დავალებებიც კი ვერ შეესრულეთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით (ეროვნული შემოსავლის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა და სხვ.).

— წარმოების ზრდის ინტენსიურ და ექსტენსიურ ფაქტორებს შორის თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა უკანასკნელის სასარგებლოდ. ასე, მაგალითად, ეროვნული შემოსავლის წარმოებაში ინტენსიური ფაქტორების ხვედრითი წონა შეადგენდა (%-ობით): VII ხუთწლედში 34, VIII—40, IX—27, X—23 და XI—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განვითარება წარიმართებოდა უმთავრესად ევოლუციურად, მდორედ· განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არა თვისებრივ, არამედ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ცვლილებები ხდებოდა მანქანების ცალკეულ ელემენტებში (ზოგჯერ კარდინალური ხასიათისაც), მაგრამ მანქანათა სისტემა მთლიანად უცვლელი რჩებოდა. ტექნიკური სიახლენი უზრუნველყოფდა შრომის მწარმოებლურობის რამდენადმე მოკრძალებულ ზრდას და ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს.

—ჯერეანი ყურადღება არ ექცეოდა მანქანათმშენებლობის (მისი საბაზო დარგების — ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, გამოთვლითი ტექნიკის და სხვ.) განვითარებას. მისი პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ზრდის ტემპები მეშვიდე, მერვე და მეცხრე ხუთწლედების 12,1—12,9%-დან 6,2 პროცენტამდე დაეცა XI ხუთწლედში.

— ახალი ტექნიკით დროულად შეუცვლელობის გამო ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოძველებული მოწყობილობის როდენობა მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, მრეწველობაში 20 და მეტი წლის ასაკის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ექსპლუატაციით დასაქმებულია 1,4 მილიონი კაცი. ეს ფონდები რომ შეგვეცვალა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შრომის საშუალებებით, იმავე სამუშაოთა შესასრულებლად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ 200 ათ. კაცი, ე. ი. დაიზოგებოდა 1,2 მილიონი კაცის შრომა.

აღნიშნულ და რიგ სხვა გარემოებათა გამო შეიცვალა შრომის მწარმოებლურობის დონით მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ჩვენი ქვეყნის თანაფარდობა. თუ 70-იანი წლების დასაწყისისათვის ამ მაჩვენებლით მსოფლიოში (აშშ და საფრანგეთის შემდეგ) მესამე ადგილზე ვიყავით, 80-იანი წლებისათვის (იმის გამო, რომ გაგვისწრეს აგრეთვე გფრ და იაპონიამ) მეხუთე ადგილზე გადავინაცვლეთ.

იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა მიმდინარე ხუთწლედის დასასრულისათვის მსოფლიო მასშტაბით მოწინავე მიჯნებზე გავიდეს, აუცილებელია ყველა გამოუყენებელი რეზერვის მაქსიმალურად ამოქმედება. ამ მიმართულებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება არამატერიალური წარმოების ზოგიერთ დარგზე:

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ კვლევებზე გაწეულ დანახარჯებსა და კვლევის შედეგების დანერგვით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს შორის თანაფარდობა ისეთია, როგორც 1:10, ამ დარგის განვითარების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არაა სრულად გამოყენებული. დღეისათვის მეცნიერებატევადობა შეადგენს (%-ობით): სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობაში 6, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 5,1, მსუბუქ მრეწველობაში — 0,6, კვების მრეწველობაში — 0,5; წარმოების მეცნიერებატევადობის ინტენსიფიკაცია შრომის მწარმოებლურობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში მოწინავე პოზიციები უჭირავს მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებათა მიხედვით, მაგრამ მათი პრაქტიკული გამოყენების, დანერგვის მხრივ როგორც პარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, ერთგვარი ჩამორჩენა იგრძნობა. ამ ჩამორჩენის დაძლევისაკენაა მიმართული პარტიისა და მთავრობის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უზრუნველსაყოფად შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემა, რომელშიც ცენტრალური ადგილი უჭირავს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პრობლემას. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987 წ.) პლენუმზე აღინიშნა, „გარდაქმნა — ეს არის საბოლოო შემობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნება მეცნიერებისაკენ, მასთან პრაქტიკის საქმიანი პარტნიორობა უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით, სოლიდურ მეცნიერულ საფუძველზე ყოველი წამოწყების დამყარების უნარი, მეცნიერთა მზადყოფნა და მხურვალე სურვილი აქტიურად დაუჭირონ მხარი საზოგადოების განახლებისათვის გამიზნული პარტიის კურსს".

მეცნიერების პოტენციურ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის აუცილებელია ამ სფეროში განაწილებით ურთიერთობათა სრულყოფა. ამის საჭიროებაზე მიგვანიშნებს შემდეგი მონაცემები: 1984 წ. უმაღლესი განათლება ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა 11,6 %-ს და მეცნიერებისა და მეცნიერულ მომსახურებაში დასაქმებულთა 40%-ს. მაშინ როდესაც საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა შესაბამისად 185 და 198,3 მანეთს. გადაუდებელი ამოცანაა არამატერიალური ამ შეუსაბამობის ლიკვიდაცია, არამედ შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასა და შრომის ინაზღაურების ზრდას შორის წინააღმდეგობის დაძლევაც, რომელიც არცთუ იშვიათად იჩენს თავს ჩვენს მეურნეობრივ პრაქტიკაში.

კადრების საერთო (იდეურ-თეორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, პოლიტექნიკური) და განსაკუთრებით პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. მას ჩვენს ქვეყანაში კიდევაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხორციელდება კანონი საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების შესახებ. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენი ახალგაზრდები არამარტო სწავლის ქირას არ იხდიან, არამედ უზრუნველყოფილი არიან საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით. მაგრამ სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება კადრების მომზადების დაგეგმვა და განაწილების ორგანიზაცია, მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს არასპეციალობით. ან კიდევ (რიგ შემთხვევაში) უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობს მუშად და მისი კვალიფიკაცია არავითარ უკუგებას არ იძლევა.

მატერიალური წარმოების სფეროში შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მნიშვნელოვან რეზერვებს შეიცავს არამატერიალური წარმოების სფეროს ისეთ დარგთა ფუნქციონირების სრულყოფა, როგორიცაა: ჯანმრთელობის დაცვა, საყურორტო მომსახურება, ფიზიკური კულტურა და სპორტი, ტურიზმი, სამგზავრო ტრანსპორტი, არამატერიალური კავშირგაბმულობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, მიმოქცევა, შრომის ესთეტიკური კულტურა და სხვ., ამ დარგებს შეუძლიათ თვალსაჩინო წვლილი შეიტანონ წარმოების პიროვნული ფაქტორის გააქტიურებაში.

შრომის მწარმოებლურობის არსისა და გაზომვის ახლებურად გადაწყვეტაზე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე ილაპარაკა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ **ეკ. მეცნ. კანდიდატმა თ. ჩიკვაიძემ.** მან თქვა, რომ ძირითად მოხსენებაში და სხვა გამოსვლებში გამოთქმული იყო მრავალი საყურადღებო დებულება, რომელთაც ჩვენ ვიზიარებთ. მაგალითად, ფრიად საინტერესოა პროფ. გ. ადეიშვილის მიერ დასმული საკითხი ეკონომიკური და სოციალური განვითარების შრომის მწარმოებლურობის ამაღლების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების ობიექტური მიზეზებით გაპირობებულობის შესახებ. მოკლედ შევეხებით სამ საკითხს. პირველი: შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მოტივაციური მექანიზმის უკმარისობის ობიექტური მიზეზები. მეორე: შრომის მწარმოებლურობის არსი და გაზომვა. მესამე: შრომის

მწარმოებლურობის ეფექტიანობის მაჩვენებლების დასახული მიჯნების შეფასება საქართველოში უახლოეს 15-20 წლისათვის.

ჩვენი აზრით, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების ძოცულობის მექანიზმის უკმარისობის ობიექტური მიზეზები რეალობაა, მაგრამ სამწუხაროდ ეკონომიკური მეცნიერება მათ ხშირად ძალზე მოგვიანებით აქცევს ხოლმე ყურადღებას. ასეთ ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება, მაგალითად, ჯანსაღი სოციალისტური კონკურენციის, შეჯიბრების მექანიზმის უქონლობა ჩვენს მეურნეობაში. საერთოდ „კონკურენციას" საერთოდ ტაბუ ჰქონდა დადებული სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიაში, მხოლოდ ამ ბოლო დროს სულ უფრო გაბედულად გამოითქმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თვისებრივად ახალი, სოციალისტური შინაარსით გამდიდრებული კონკურენციის მექანიზმი აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პროდუქციის ხარისხის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. სულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა ობიექტურად მოითხოვს კონკურენციის დაშვებას სხვადასხვა მიმწოდებლის პროდუქციაზე, რაც ისახება გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადებისას ან უშუალოდ რეალიზაციის სტადიაზე. მაგრამ სოციალისტური კონკურენციის მექანიზმს სხვა მრავალფეროვანი ფორმებიც შეიძლება ჰქონდეს — საკონკურსო შერჩევის ფართოდ დანერგვა პროდუქციის დამზადებისას, სხვადასხვა საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმართ და ა. შ. მისი სოციალურ-ეკონომიკური არსი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების, პროდუქციისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებით გამოიხატება, რაც შრომის მატების უფრო მაღალი ანაზღაურებით უნდა გამოვლინდეს. ყოველივე ეს კი საბოლოო ანგარიშით მკვეთრად გააძლიერებს შრომის მწარმოებლურობის საერთო მოტივაციურ მექანიზმს.

ამასთან აუცილებელია უკუვაგდოთ მოძველებული შეხედულებები შრომის მწარმოებლურობაზე, გავითვალისწინოთ ის თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიის განვითარებას თან სდევს თანამედროვე პირობებში. უწინარეს ყოვლისა, უნდა დავძლიოთ შრომის მწარმოებლურობისადმი ტექნიკურ-ეკონომიკური მიდგომის გაბატონებული მდგომარეობა მისი სოციალურ-ეკონომიკური არსის საზიანოდ. არსებითია ის, რომ ინტენსიური განვითარების პირობებში მთავარია არა პროდუქციის რაოდენობა, არამედ მისი ხარისხი, არა ღირებულება, არამედ სახმარი ღირებულება. მაღალი ხარისხის ახალმა პროდუქციამ შეიძლება მისი ათეულობით და ასეულობით წინამორბედი პროდუქცია შეცვალოს. დიდ მასშტაბებს იძენს სუბსტანციის, მინიატურიზაციის, რესურსტევადობის შემცირების პროცესები. თეორიულად და პრაქტიკულად, არ არის აუცილებელი, რომ შრომის მწარმოებლურობა, განგაარიშებული მოცულობითი მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქციის საფფძველზე ყოველთვის იზრდებოდეს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენს პლანეტაზე რესურსების შეზღუდულობის გამო, ან მის ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება აუცილებლად გამოიწვევს არაადგენადი ბუნებრივი რესურსების ამოწურვას, ეკოლოგიურ კოლაფსს და საბოლოოდ თვითონ დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობას. მაგრამ შრომის მწარმოებლურობის გაიგივება მის გამომუშავებასთან ყოველ მოცემულ მომენტში აბსურდია. ეს ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შეხედულებებსაც შრომის მწარმოებლურობაზე. კ. მარქსი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას უკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებდა არა აბსტრაქტული შრომის დანახარჯების გადიდებას, არამედ კონკრეტული შრომის ნაყოფიერების ამაღლებას[1]. სხვა ადგილას იგი სავსებით გარკვეულად მიუთითებდა, რომ არასწორია შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება ვუწოდოთ თვითონ შრომის გადიდებას, შრომის მწარმოებლური ძალის გადიდება, მისი აზრით, ეულისხმობს შრომის უფრო მეტ ეფექტიანობას, რითაც ხასიათდება მოცემული რაოდენობის შრომა და არა გამოყენებული შრომის როდენობის რაიმე ცვლილებას[2]. მაშასადამე კ. მარქსის მიხედვით, შრომის მწარმოებლურობა საკუთრივ შრომის მახასიათებელი ფენომენია, რომელიც გამოხატავს შრომის უნარს ამრავლოს თავისი შედეგიანობა. ეს უკანასკნელი კი აუცილებლად როდენობრივი შედეგის გამრავლებას კი არ გულისხმობს, არამედ შედეგის თვისებრივ გამრავლებას, სახმარი ღირებულების ხარისხის ამაღლებას.

მაშასადამე, პროდუქციის სახმარი ღირებულების ამაღლება პირობებში შესაძლებელია შრომის მწარმოებლურობის არსებული დონე შენარჩუნებულ ან ამაღლებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ მუშაზე გაანგარიშებული გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა არ შეიცვლება, ან შემცირდება. მთავარია არა თავისთავად ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპები, არამედ მისი სახმარი ღირებულების ამაღლება, რაც საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილებების უფრო უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ამ დებულების მართებულობა კარგად ჩანს იქიდან, რომ სადღეისოდ გამოშვებული პროდუქციის დიდი რაოდენობის რეალიზაცია არ ხდება მისი უხარისხობის გამო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რესურსების პირდაპირ გაფლანგვასთან საზოგადოებისათვის და შრომის მწარმოებლურობის რაიმე დონეზეც კი ლაპარაკი ზედმეტია — გამოშვებული პროდუქცია თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, პირიქით, მისი შენახვისთვისაც კი ზედმეტი დანახარჯებია საჭირო.

არსებითია ისიც, რომ არანივთობრივი პროდუქციის წარმოება მეცნიერული ცოდნის, ინფორმაციის, პროგრამულ-მათემატიკური უზრუნველყოფის სახით თანამედროვე საზოგადოებისათვის არანაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე ნივთობრივი პროდუქციის წარმოება, მატერიალურ წარმოებაში კომპლექსური ავტომატიზაციის გამო სულ უფრო მცირდება დასაქმებულთა რიცხოვნობა. თეორიულად დასაშვებია სახალხო მეურნეობის კიბერნეტიზებული მართვა ისე, რომ ადამიანი საერთოდ არ მონაწილეობდეს უშუალოდ საწარმოო პროცესებში. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მუშაკთა დასაქმებისათვის განსაზღვრულ მნიშვნელობას იძენს წინა საწარმოო სფერო, წარმოების პროცესი კი სულ უფრო მეტად მეცნიერულ საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ ამას ჯერ კიდევ კ. მარქსი მიგვანიშნებდა. ამიტომ მილიონად მეცნიერების, წარმოების მართვის აპარატის შრომა უთუოდ მწარმოებლური შრომაა. ამასთან განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მთავარ მნიშვნელობას იძენს ის, რომ თვითონ ნივთობრივი პროდუქტის წარმოება სულ უფრო მეტად მეცნიერულ, რთულ შრომასთან არის დაკავშირებული, რომელიც დროის ერთეულში უფრო მეტ ღირებულებას და მეტ სახმარ ღირებულებას აწარმოებს.

როგორც ჩანს, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრე-

---

[1] Маркс К., Энгельс Ф., Соч. т. 23, с. 55.

[2] Там же, т. 26, ч. III, с. 451.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი აღმავლობის კანონის შინაარსი გულისხმობს არა ერთ მუშაზე გაანგარიშებული პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპების განუწყვეტელ მატებას, არამედ ცოცხალი და განივთებული შრომის ეკონომიას, პროდუქციის სახმარი ღირებულების ხარისხის ამაღლებას, მაშასადამე, შრომის მწარმოებლურობის გაზომვაც ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება ვლინდება უწინარეს ყოვლისა მოხმარების ინტეგრალური ფონდის, ეროვნული შემოსავლის სახმარი ღირებულების ამაღლებით, პროდუქციის ხარისხის უმაღლესი დონის მიღწევით. უნდა ვესწრაფოდეთ, უწინარეს ყოვლისა, არა ეროვნული შემოსავლის მასის რაოდენობრივი გადიდებისაკენ, არამედ, რაც მთავარია, მისი სახმარი ღირებულების ამაღლებისაკენ, ამ ამოცანის მეთოდური გადაწყვეტა კი როგორც ცნობილია, ფრიად რთულია, რადგანაც დღემდე შეუძლებელია სახმარი ღირებულების უშუალოდ გაზომვა.

რაც შეეხება რესპუბლიკაში წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების დინამიკას, რომელიც გათვალისწინებული XII ხუთწლედში და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით 2000 წლამდე, ჩვენი აზრით, მთლიანად ვერ შეესაბამება თანამედროვე გარდაქმნის მოთხოვნებს, კერძოდ, ეფექტიანობის მსოფლიო დონის უზრუნველყოფის სტრუქტურული ამოცანის გადაწყვეტას. ეს განსაკუთრებით შეეხება სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში შრომის მწარმოებლურობის დაგვგმილ მაჩვენებლებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საშუალო საკავშირო მიჯნების მიღწევას უახლოესი 15 წლის განმავლობაში. ეფექტიანობის მაჩვენებლების ამაღლების შედარებით მოკრძალებულ ტემპებზე ორიენტაცია ჩვენი საგეგმო ორგანოების მხრივ, ჩვენი აზრით, შედეგია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, ადამიანის ფაქტორის შესაძლებლობების ერთგვარი შეუფასებლობისა. მცირე მიზანი არასოდეს არ მოგვცემს დიდ შედეგს. საჭიროა ამ ფაქტორების სრული ამოქმედება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციული სოციალური ფაქტორების სრული ამოქმედება, რომ რესპუბლიკაში რეალობად ვაქციოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის — შრომის მწარმოებლურობის რეალური და კარდინალური ამაღლების საფუძველზე.

რესპუბლიკის განვითარების ინტერესები, საჯაროობის დემოკრატიული პრინციპები მოითხოვს, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, როგორიც რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებია ყოველთვის საყოველთაო განხილვის საგნად იყოს გამოტანილი. ამყამად მისი შემუშავება მხოლოდ საგეგმო კომიტეტის მონოპოლიაა, რომელიც ხშირად არც კი იწვევს მეცნიერ ეკონომისტთა ფართო წრეს ამ დოკუმენტის ექსპერტიზაციისათვის. ეკონომიკურმა მეცნიერებამ თავის მხრივ დროულად უნდა იზრუნოს აქტუალური თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისათვის. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი საკითხია შრომის მწარმოებლურობის მსოფლიო დონის უზრუნველყოფის საკითხი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილების გამგის, **ეკონ. მეცნ. კანდიდატის მ. გველესიანის** გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შრომის ნაყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიერების პრობლემას ხშირად განიხილავენ ერთ-ერთ რომელიმე ასპექტში, სხვა ასპექტებთან მათი ერთიანობა კი ისე მკვეთრად არაა ხოლმე გამოკვეთილი, როგორც საჭიროა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის ნაყოფიერების ხარისხობრივ განზომილებათა საკითხი, რადგან განზომილება ამ შემთხვევაში ნივთის თვისებრივი მხარის რაოდენობრივ გამოხატვას უნდა უზრუნველყოფდეს.

ამ საკითხის კერძო შემთხვევაა შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელში პროდუქციის ხარისხის ასახვის საკითხი.

თითქოს გარკვეულია, რომ პროდუქციის ხარისხის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტოლფასია და რომ ახალი, გაუმჯობესებული სახეობის პროდუქტის წარმოება ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას ნიშნავს. მაგრამ როგორ გავზარდოთ ეს ზრდა, როგორ ავსახოთ იგი, პროდუქციის რაოდენობის უცვლელობისას, შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლის მრიცხველში? ალბათ, ისე, რომ გაუმჯობესებული პროდუქციის ფასი შედარებით მაღალი უნდა იყოს. მაგრამ, ჯერ ერთი, ამ პროდუქციის ფასის ზრდა მისი სასარგებლო თვისებების ზრდის პროპორციულად არ ხდება, — ხან ნაკლებად ხდება, ხან კი მეტადაც, და ამას თავადვე ვერ ავიცილებთ რადგან პროდუქციის საზოგადოებრივი აღიარება, რომელმაც საბოლოოდ ფასით უნდა პოვოს გამოხატვა, არ შეიძლება ნივთის თვისებათა პროპორციული სიდიდე იყოს. მერე, როგორღა შევაფასოთ ის პროდუქცია, რომლის თვისებები უცვლელი დარჩა, მაგრამ რომელმაც კონკურენციანრიანობა დაკარგა იმის გამო, რომ მასზე უკეთესი პროდუქციის დამზადება იწყეს? შრომის ნაყოფიერება წარმოების ამ უბანზე თითქოს არ დაცემულა (თუ ვიმსჯელებთ პროდუქციის სასარგებლო თვისებებისა და მასზე დახარჯული დროის მიხედვით), მაგრამ ეს ამ მაჩვენებლის წმინდა ტექნიკური ასპექტია. სინამდვილეში აქ დახარჯული შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერება. მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა დაეცა.

ამასთან დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელი და კიდევ უფრო საინტერესო ასპექტი ამავე პრობლემისა არ არის, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზოგიერთი ტენდენცია, რომლებიც სულ უფრო ძლიერდება, მოითხოვს შრომის ნაყოფიერების თვით ცნების ახლებურ გაგებას. ტექნიკის მინიატურიზაცია მიდის იქამდე, რომ ისახება უმანქანო წარმოების პერსპექტივა, — ადამიანი იმ ზომით შეიცნობს ბუნების ძალებს, რომ მას თავისი მოთხოვნილებების სულ უფრო მეტი ნაწილის დაკმაყოფილებისათვის სჭირდება სულ უფრო ნაკლები ტექნიკა; ტექნიკის ზომები მცირდება, მცირდება მოთხოვნილება ნედლეულზე, მასალებზე, სათბობზე და სხვ. ცხადია, ამ ტენდენციის გაგრძელება არ შეიძლება, მაგრამ მან სულ უფრო მეტად უნდა აჯობოს და გადატანდეს თავის საპირისპირო ტენდენციებზე. სხვაგვარად ეკონომიკური განვითარება ჩიხში აღმოჩნდება, არაფერი რომ აღარ ვთქვათ ეკოლოგიურ კოლაფსზე, რაზეც აქ ამბ. თ. ჩიკვაიძემ ილაპარაკა. ხოლო ასეთ პირობებში შრომის ნაყოფიერებას ვეღარ გამოვხატავთ დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობით, იგი იმით უნდა გამოვხატოთ, თუ რამდენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს (და რა ხარისხით აკმაყოფილებს) ცოცხალი შრომის დანახარჯი დროის ერთეულში.

როდესაც შრომის ნაყოფიერების ცნებისა და მისი რაოდენობრივი გამოხატულების ამგვარ გაგებას ვამტკიცებთ, ისიც არის მხედველობაში მიღებული, რომ ხდება მოთხოვნილებათა დიფერენციაცია, მათი ინდივიდუალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაცია და მომხმარებლის ჩარევა საწარმოო პროცესებში, რის გამოც მწარმოებლის საქმიანობა სამომხმარებლო შრომის სახეს იღებს. ესეც სწორედ იმას ნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების ცნების ეკონომიკური შინაარსი იცვლება. ოღონდ ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ სამომსახურებო შრომის ნაყოფიერება ვერ იქნება იმით გამოხატული, თუ რამდენი მოიხმარებლის რამდენი მოთხოვნილება დააკმაყოფილა ამ შრომამ. შეიძლება ეს რაოდენობრივი მაჩვენებლები კლებულობდეს კიდეც იმის გამო, რომ იზრდება მოთხოვნა მომსახურების ხარისხზე.

მწარმოებელ-მომხმარებლის ახლებურ ურთიერთობას, მათი ფუნქციების თავისუფალ გაცვლას, მომსახურების აქტიურ ჩარევას წარმოების პროცესში, ცვლილებები შეაქვს წარმოებითი ურთიერთობის მთელს სისტემაში, რაც შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებზეც ახდენს ზეგავლენას. საჭიროა ხელი შეეწყოთ შრომის გამოცვლის კანონის ამგვარი მექანიზმის განვითარებას, ვიზრუნოთ ერთიმეორიდან მჭიდროდ დაკავშირებულ დარგთა კომპლექსურ განვითარებაზე ტერიტორიულ ერთეულებში. სახელდობრ, ვფიქრობ ჩვენს რესუბლიკაში უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ აქ უნიკალური საწარმოო პირობებია ბევრი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის, რომელზეც საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, და რომ ეს უნიკალური პირობები ასევე განსხვავებულია სხვადასხვა რაიონებში, რაიონთა შიგნით და ცალკეულ მეურნეობათა შიგნითაც კი. ამგვარ ვითარებაში, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად, აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარება და სოფლის მეურნეობას შორის კადრების თავისუფალი გაცვლის მექანიზმის შექმნა. სამუშაო ძალის გაცვლას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ახლაც აქვს ადგილი, მაგრამ იგი ხდება ადმინისტრაციული წესითა და მითითებებით, ეკონომიკური მექანიზმი კი ამ გაცვლისა ჯერჯეროობით არ არსებობს. არადა, იგი ძალიანაა საჭირო. მას შეუძლია სოფლის მეურნეობაში გადმოისროლოს სამუშაო ძალა დაძაბულ — „პიკის“ პერიოდებში. მეორე მხრივ კი, სოფლის მეურნეობა განსაკუთრებით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, კვალიფიკაციის ამაღლებამ საშუალება უნდა მისცეს ამ მუშაკებს, სოფლად შედარებითი მოცალეობის ჟამს უშუალოდ ჩაერიონ მათთვის საჭირო მანქანათმწყობლობის უშუალო დაპროექტებასა და დამზადებაში, რამეთუ სწორედ მათ უწყიან ყველაზე უკეთ, თუ რა და როგორი ტექნიკა მოერგება მოლიანად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ადგილობრივ. ზოგჯერ — განუმეორებელ პირობებში.

საქმიანობის გაცვლის ასეთი ტიპისა და დონისათვის ჯერჯერობით, უთუოდ, ყველა პირობა როდია მზად. მაგრამ ჩვენ ხომ უნდა დავიპროექტოთ წარმოებისა და მისი ურთიერთობის განვითარება ხანგრძლივი პერიოდისათვის მომავლის კადრების სამეცნიერო-ტექნიკური დონის ზრდის გათვალისწინებით? ჩვენ ხომ თვითონ უნდა ვიზრუნოთ ამ პირობათა შექმნისათვის? მწარმოებელ-მომხმარებლის ფუნქციათა თავისუფალი გაცვლა (ე. წ. დიფუზია) წარმოუდგენელია ინტერესთა დარგთაშორისი კორდინაციის, საერთოდ, წარმოებით ურთიერთობათა მთელი მექანიზმის გარდაქმნის გარეშე. ხოლო ეს ახალი ფორმები ურთიერთობის, მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდები მოწოდებულია შექმნას შრომის ახალი მწარმოებლური ძალა, რომელიც მიუწვდომელია კაპიტალიზმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის ახალ მეთოდებში, წარმოებითი ურთიერთობის ახალ ფორმებში აქ არ იგულისხმება კონკურენცია, თუნდაც რაიმე ახალი შინაარსით, თუნდაც — სოციალისტური შინაარსით გამდიდრებული. თუ დღეს კონკურენცია დაეუშვით, თუ იგი დღეს გვჭირდება გარკვეულ სფეროებში, გარკვეულ ფარგლებში და გარკვეული ზომით, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შრომის ნაყოფიერების უმაღლესი კაპიტალიზმისათვის მიუწვდომელი ღონე კონკურენციაზე დაყრდნობით ან თუნდაც მისი გამოყენებით შეიძლება იქნას მიღწეული. ჩვენ გვჭირდება შეჯიბრება ამ სიტყვის ჰეშმარიტად სოციალისტური გაგებით, და ვინაიდან მისი მექანიზმში ჯერ კიდევ არაა გამართლებული და ეფექტიანი, აქიტომაა კონკურენციის ელემენტთა დაშვება საჭირო, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებას ქმედობითობა უნდა გავუზარდოთ და მას დავეყრდნოთ.

აქ ზედმეტი არაა გავიხსენოთ ისიც, რომ კაპიტალიზმიც, თავისი განვითარების პირველ საუკუნეებში, ფართოდ იყენებდა მეურნეობის გაძღოლის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ფეოდალიზმისათვისაა დამახასიათებელი. კაპიტალიზმი არსებობდა, თვისებრივად, მას უკვე დაძლეული ჰქონდა ფეოდალური წარმოების წესი, მაგრამ შრომა უმეტესწილად ფორმალურად იყო დაქვემდებარებული კაპიტალს.

ეს იყო ახალი წარმოების წესის ქმნადობის ტკივილები, რომლებსაც კაპიტალიზმმა ბოლო მოუღო მხოლოდ თავისი ადეკვატური, მანქანურ ინდუსტრიაზე დამყარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შემდეგ. ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ახალი, კომუნისტური წარმოების წესისთვისაა ადეკვატური, არ შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ მანქანურ ინდუსტრიას, იგი გულისხმობს წარმოების ნივთობრივ და პიროვნულ ფაქტორთა თვისებრივად ახალ მდგომარეობას, რაც უზრუნველყოფს წარმოებაში როგორც შემსრულებლის, ისე მომხმარებლის ადგილისა და როლის პრინციპულ შეცვლას. ეფიქრობ, მხოლოდ ამგვარ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გადასვლის ეტაპი რომელიც, სასურველია დაიწყოს ორი ათასწლეულის მიჯნაზე, გახდება შრომის ნაყოფიერების დონის მხრივ სოციალიზმის გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვების ეტაპი.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრო-სამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილების გამგის, **ეკონ. მეცნ. კანდიდ. დიასამიძის** გამოსვლაში ითქვა, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება შრომის ნაყოფიერების პრობლემები გაგეკონანზებინა არა მარტო საერთო სახალხომეურნეობრივ ასპექტში, არამედ დარგობრივ ჭრილშიც, გვეჩვენებია ამ თვალსაზრისით ცალკეული დარგების თავისებურებანი, მათი ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში და გამოგვევლინებია თითოეულ დარგში არსებული შინაგანი რეზერვები. ამ კუთხით საინტერესოა შეეხოთ ეკონომიკის აგრარულ სექტორში არსებულ პრობლემებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ. ეკონომიკური ზრდის ტემპებზე საერთოდ. თუ ხუთწლედების მიხედვით გავაანალიზებთ სსრ კავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებს, დავინახავთ რომ ხუთწლედში (VIII). როცა მაღალი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპები შესაბამისად მაღალი იყო აგრეთვე ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპიც და, პირიქით, როცა დაბალი იყო სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობის ზრდის ტემპი (X, XI ხუთწლედები) შესაბამისად დაბალი იყო ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპიც. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან აგრარული სექტორის ხვედრი წონა ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში, თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობაში შექმნილი ღირებულების იმ ნაწილსაც, რაც ფასების მექანიზმის მეშვეობით გადანაწილდება სოფლის მეურნეობის სხვა დარგების სასარგებლოდ, დიდია — შეადგენს 27-28%-ს.

1966-70 წლების შემდეგ ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ტემპებისა და აბსოლუტური ნამატის შემცირების ტენდენცია. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ძთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მატების ტემპი ხუთწლედების მიხედვით წინა ხუთწლედთან შედარებით ასეთია: VIII ხუთწლედში შეადგენდა 4,1%-ს, IX ხუთწლედში — 2,5%-ს, X ხუთწლედებში — 1,6%-ს, XI ხუთწლედში 1.1%-ს. საქართველოს სსრ-ში მატების ტემპი მნიშვნელოვნად მაღალია, მაგრამ ტენდენცია, თუ მეათე ხუთწლედს არ მივიღებთ მხედველობაში აქაც კლებისაა, ხოლო აბსოლუტური მატება უმნიშვნელოა. რით იყო გამოწვეული ტემპების შენელება? რა თქმა უნდა პასუხი არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვანი. იგი განპირობებული იყო მრავალი მიზეზით, რომელთა შორის აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის მართვა და დაგეგმვა კომპლექსური მიდგომის გარეშე ე. წ. დარგობრივი პრინციპით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის ნელი ტემპები, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მიმართულებით გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯის მიუხედავად იგი ხელს ვერ უწყობდა დანახარჯების შემცირებას: კაპიტალდაბანდებების ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა პროდუქციის ზრდის ტემპებს, შესაბამისად იზრდებოდა პროდუქციის ხვედრითი წილი კაპიტალდაბანდებებში; ნელა ინერგებოდა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები. სკკპ XXVII ყრილობამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987) პლენუმმა სათანადოდ შეაფასა ის მოვლენები, რომლებიც უკვე 70-იანი წლებიდან მოყოლებული ამუხრუჭებდნენ ეკონომიკური ზრდის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპებს. მიუხედავად სახელმწიფოებრივი შესყიდვის ფასების არაერთგზის გადიდებისა იგი სათანადო სტიმულს ვერ ქმნიდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რამდენადაც შესყიდვის ფასების ზრდის პარალელურად იზრდებოდა პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები. მაგალითად, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1965 წლიდან 1968 წლამდე მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძთლიანი პროდუქციის ერთ მანეთზე (შესადარის ფასებში) წარმოების დანახარჯები 0.75 მანდან 1.25 მან-მდე გაიზარდა. ასეთ პირობებში შესყიდვის ფასების გადიდება ვერ ასრულებდა მასტიმულირებელ ფუნქციას, იგი უპირატესად გადიდებული დანახარჯების დაფარვისათვის იყო გამიზნული.

დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე იზრდებოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში (სახელგადოებრივ წარმოებაში) შრომის ნაყოფიერება საშუალოდ წლიურად XI ხუთწლედში 81.9%-ით უფრო მაღალი იყო, ვიდრე VIII ხუთწლედის შესაბამისი მაჩვენებელი. ასეთ პირობებში პროდუქციის თვითღირებულების ზრდას განაპირობებდა ზოგიერთ აუცილებლ თანაფარდობათა და კანონზომიერებათა დარღვევა, რასაც წლების მანძილზე ეკონომიკაში და კერძოდ, მის აგრარულ სექტორში ჰქონდა ადგილი. მატერიალური სტიმულირების მიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით შრომის ანაზღაურების ზრდა ხშირ შემთხვევაში ხდებოდა სათანადო ეკონომიკური საფუძველის მომზადების გარეშე, რის გამოც მისი ზრდის ტემპები წინ უსწრებდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს, რაც აძვირებდა პროდუქციას და უარყოფითად მოქმედებდა მეურნეობათა სამეურნეო-ფინანსურ მდგომარეობაზე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაძვირებას არანაკლებად უწყობდა ხელს ფასების არასწორი პოლიტიკა, რაც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების თანაფარდობის დარღვევაში. მხედველობაში გვაქვს იმ წარმოების საშუალებათა ფასები, რომელსაც მრეწველობა სოფლის მეურნეობას აწვდის. იგი, განსაკუთრებით, 1970 წლის საბითუმო ფასების შემოღების შედეგად უკვე იმდენად მაღალი იყო, რომ მძიმე ტვირთად აწვებოდა სოფლის მეურნეობას და აბრკოლებდა იმ ტემპების შენარჩუნებას, რაც გვქონდა VIII ხუთწლედში, როცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მიღწეული იყო ფასების ერთგვარი პარიტეტი.

ფასების — სამეურნეო მექანიზმის ამ ძლიერი ბერკეტის ზემოქმედების ძალა წარმოებაზე შესუსტებულია არა მარტო იმით, რომ იგი ჩამორჩება დანახარჯების ზრდას პროდუქციის ერთეულზე, არამედ იმითაც რომ ჩამოყალიბდა დიდი სხვაობა სახელმწიფო შესყიდვის ფასებსა და არაორგანიზებული ბაზრის ფასებს შორის. მაგალითად, უნგრეთში, სადაც ზემოდან არ ხდება პროდუქციის წარმოების დაგეგმვა ეფექტიანად გამოიყენება ფასების მექანიზმი როგორც წარმოების მარეგულირებელი ფაქტორი და ეს, ჩვენის აზრით, მიიღწევა იმის შედეგ, რომ განსხვავება შესყიდვის ფასებსა და თავისუფალი ბაზრის ფასებს შორის ძალიან მცირეა, ზოგიერთი სახის პროდუქციაზე თითქმის თანაბარ დონეზეა. ამის გამო სახელმწიფო შესყიდვის ფასების მექანიზმის უშუალო ზემოქმედებით სხვა ბერკეტების გამოყენებასთან ერთად ადვილად ხერხდება ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოების გადიდების ან შემცირების რეგულირება. ჩვენთან შესყიდვის ფასების არაერთგზის გადიდების მიუხედავად, იგი ისეთი რეგულატორის როგორი ჯერჯერობით მაინც ვერ გამოდის, ვინაიდან მთელ რიგ პროდუქტებზე მისი დონე კვლავ მნიშვნელოვნად უფრო დაბალია, ვიდრე არაორგანიზებული ბაზრის ფასებისა, ამიტომ სათანადო სტიმულს ვერ უქმნის მწარმოებელს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებისათვის აუცილებელია ავამაღლოთ ეკონომიკური ბერკეტებისა და, კერძოდ, ფასების მექანიზმის გამოყენების ეფექტიანობა, არა ფასების გადიდების გზით, არამედ გეგმაინი ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიური საფუძვლების საშუალებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფის პრობლემების კვლევის სექტორის გამგემ, **ეკონ. მეც. კანდ. დ. იაკობიძემ** აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, როგორც სოციალიზმის მიზანდასახულობათა განხორციელების აუცილებელ პირობას და არა მიზანს, როგორც ამას ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს. დაჩქარების კონცეფციის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს სახალხო მეურნეობის გაძღოლაში პრინციპულ ცვლილებებს. აუცილებელია გარდაქმნის პროცესში ჩამოყალიბდეს ახალი ეკონომიკური აზროვნება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ჩვენი „მრგვალი მაგიდაც“ რომელიც სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კიდევ ერთი კარგი ინიციატივაა.

ახალი ეკონომიკური აზროვნებისა და გარდაქმნის კონცეფციის პოზიციებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული თეორიული დებულებები გამოირჩევიან მკვეთრი სიახლით, მაგრამ ეს არაა საკმარისი მათი სისწორის დასამტკიცებლად. ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობისაა წინაადმდეგობა დაგროვილ თეორიულ ცოდნასა და იმ ემპირიულ მასალას შორის რომელსაც ჩვენი სახალხო მეურნეობა გვაწვდის. როგორც აღიმქება ამჟამად მიმდინარე გარდაქმნების ფონზე, უადრესად ჩვენი ნორმატულ-პარამეტრული წარმოდგენები (ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით) სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების შესახებ, უადრესად არსებით მნიშვნელობას იძენს. ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ეკონომიკურმა მეცნიერებებმა თავი უნდა დააღწიონ ეგრეთ წოდებულ ნორმატულ მიმართულებას და განვითარდეს პრობლემურად. ყურადსაღებია ისიც, რომ ნორმატულ მიმართულებად ეკონომიკურ თეორიაში მიიჩნევენ, ისეთ მიმართულებას, რომლებიც შეისწავლიან წარმოებით ურთიერთობებს „წმინდა სახით". ასეთ მსჯელობას ეკონომიკური თეორიისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ამაში იოლად დაგრწმუნდებით, ჯერ ერთი, როდესაც ვცდილობთ გავცეთ პასუხი კითხვებს: რა არის გარდაქმნა? რას ნიშნავს ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირება?, როგორ დავიჩქაროთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარება? და ა. შ. მეორეც „წმინდა სახით" წარმოებით ურთიერთობათა ანალიზის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოცხადება და მისი დაპირისპირება პრობლემური აზროვნებისადმი მექანიკურად თიშავს ერთმანეთისგან სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობების ზოგადკომუნისტური და მიმდინარე ეტაპისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ეკონომიკური ფორმების ანალიზის დიალექტიკას. როგორც ვხედავთ, ჯერ ერთი წინასწარ უნდა განისაზღვროს ცალკეული ცნებების შინაარსი, სხვაგვარად შეუძლებელია თეორია გადაიქცეს პრაქტიკაზე ზემოქმედების საშუალებად. მეორეც წარმოებით ურთიერთობათა „წმინდა სახით" კვლევა იძლევა საზოგადოების განვითარების სწორი ორიენტირის ჩამოყალიბების საშუალებას.

ჩვენს გამოსვლაში საშუალება არა გვაქვს გარდაქმნის დაჩქარების წყურვილით შემოთავაზებული ყველა „სიახლე" გავაანალიზოთ, ამიტომ მხოლოდ ერთ ასეთ „სიახლეზე" შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ამასთანავე აღვნიშნავ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში „ტემპების ,ხარისხის" შესახებ დასმული საკითხი მცდარია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ცნება ტემპი რაოდენობრივის გამომხატველია და შეიძლება მხოლოდ მის გაანგარიშების ხარისხზე ლაპარაკი და არა თვით მის ხარისხზე. მეორე, იმიტომ რომ, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ,ტემპები როგორი სიზუსტითაც არ უნდა იყოს ფიქსირებული, ხარისხობრივი პოზიციებდან განხილვა რეალურად არის ამ ეკონომიკურ მაჩვენებელთა თვისობრივი მხარეების შეცნობის მცდელობა, მესამე — ეკონომიკური „განვითარების ტემპის ხარისხი", განხილვა, როგორც ორიენტაცია არა პროდუქციის რაოდენობაზე არამედ ხარისხზე გვევლინება. ცალკეული სახის სახმარ ღირებულებებს შორის სწორი თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდობის დამყარების რაოდენობრივ ზომად. ეს კი სხვა არაფერია თუ არა პროპორცია. ამგვარად, ჩვენი აზრით, ტემპი სახალხო მეურნეობის და მისი ცალკეული მომენტების დროში განვითარების რაოდენობრივი ცვლილებების ამსახველი მოვლენაა და მისთვის სხვა მნიშვნელობის მინიჭება შეუძლებელია. ხოლო ტემპსა და პროპორციას შორის დამოკიდებულება ეკონომიკური მოვლენების მიმართ უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერთშემავსებელ და ურთიერთშემცველ ფორმებს შორის არსებული დამოკიდებულება.

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ თანამშრომელმა, **ეკონ. მეცნ. კანდ. მ. ჯიბუტმა** თქვა:

— მე შევეხები წმინდა თეორიულ საკითხს, რომელსაც უშუალოდ პრაქტიკული ფასეულობა არ აქვს, მაგრამ მას, ისე როგორც თეორიის ნებისმიერ საკითხს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გასარკვევად თუ როგორ ვცხოვრობთ და როგორ უნდა ვიცხოვროთ. ამდენად ეს მსჯელობა მტკივნეულად ეხება ჩვენს ინტერესებსაც. ლაპარაკია ორი დებულების გაგების შესახებ, ერთი დებულება ეკუთვნის ვ. ი. ლენინს, მეორე კი ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში.

ვ. ი. ლენინი ამბობს: „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად... კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდეაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 499).

ამ დებულებასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში დაისვა კითხვა: როდის მიაღწევს სოციალიზმის საწარმოო ძალები იმ თვისებრივ მდგომარეობას, რომ შრომის მწარმოებლურობამ სოციალიზმის დროს საყოველთაოდ და საგრძნობლად გადააჭარბოს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მაჩვენებლებს? ან შესაძლებელია ეს სოციალიზმის სტადიაზე. საერთოდ თუ არა? კითხვაზე პასუხში გამოიკვეთა ორი პოზიცია: ერთნი თვლიან, რომ სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების აღნიშნული ღონის მიღწევა შეუძლებელია და რომ ეს მოხდება კომუნიზმის დროს. მეორენი კი ამტკიცებენ რომ კაპიტალიზმზე საბოლოო გამარჯვება სოციალიზმის ისტორიულ საზღვრებში უნდა მოხდეს. ნებისმიერი საკითხის გასარკვევად ჩვენ ეუბრუნდებით მარქსიზმის კლასიკოსებს. მოცემულ შემთხვევაში ამ გზით ვერაფერს ვერ გადაწყვეტთ. საქმე ისაა, რომ საკითხის ასეთი დასმა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს არ ჰქონიათ. ისინი უშვებდნენ, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებდა ყველა, ან უმრავლეს, ამასთან ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ახალი წყობილება ბუნებრივია უზრუნველყოფდა შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას. იმპერიალიზმის სტადიაზე კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარების კანონის აღმოჩენის საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის დასაკვნამდე. სინამდვილეშიც ასე მოხდა. სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში — რუსეთში. ამას მოჰყვა მსოფლიოს გაყოფა ორ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემად. მათ შორის იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის პირობებში სოციალიზმის ამოცანა ჩამოყალიბდა ზემოთმოცემული ლენინისეული დებულების სახით. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლაპარაკია სოციალიზმის ეტაპზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე. დასტურის გარდა საჭიროა დასაბუთებაც. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებია: მექანიზაცია, ავტომატიზაცია, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შრომის ეკონომიკა, შრომის დისციპლინა და სხვ. რომელთაგანაც არც ერთი არ წარმოადგენს ისეთს, რომ პრინციპულად მიუღწეველი იყოს ან სოციალიზმისათვის ან კაპიტალიზმისათვის. საერთოდ ტექნიკის, ტექნოლოგიის და მოლიანად საწარმოო ძალების განვითარების თვალსაზრისით არ შეიძლება პრინციპული უპირატესობის მოპოვებაზე ლაპარაკი. ამას ადასტურებს თუნდაც სამხედრო პარიტეტის არსებობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. სამხედრო მრეწველობა გადის ტექნოლოგიის მოწინავე ხაზზე. სხვათა შორის როგორც პირველი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (40-50-იანი წწ.), ისე მეორე (70-80-იანი წწ.) სამხედრო წარმოებაში დაიწყო. მაგრამ არის თუ არა ისეთი ობიექტურად არსებული უპირატესობა სოციალიზმის ეკონომიკურ მექანიზმში, რომლის რეალიზაცია უზრუნველყოფს კაპიტალისტურ ქვეყნებზე მაღალი შრომის მწარმოებლურობის მიღწევას სოციალიზტურ ქვეყნებში? წინაადმდეგ შემთხვევაში დგება დებულების საკითხი. კრიტერიუმი, როცა ვლაპარაკობთ კაპიტალიზმისათვის მიუღწეველი შრომის მწარმოებლურობის დონეზე ერთია. იგულისხმება ისეთი დონე, რომელიც მოითხოვს წარმოების ისეთ მუშაკს რომელიც თავისუფალია, ყოველმხრივ და ჰარმონიულადაა განვითარებული და რომლისთვისაც შრომა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. ასეთი რამ კომუნიზმის უმაღლეს საფეხურზეა მხოლოდ მოსალოდნელი. მაშინ გამოდის, რომ სწორია ის დასკვნა, რომელსაც პირველი პოზიციის წარმომადგენლები აკეთებენ. ზოგადად ის სწორია, მაგრამ ცალმხრივია, არ შეიძლება სოციალიზმის ეტაპზე კაპიტალიზმზე გამარჯვების გამორიცხვა. კომუნისტური ურთიერთობები ერთი ხელის დაკვრით არ წარმოიშობიან. ისინი წარმოადგენენ სოციალიზმის დროს არსებული ზოგადკომუნისტური ურთიერთობების საყოველთაობის ფორმას. ამიტომ უკვე სოციალიზმის წიაღში მოიპოვება ისეთი ობიექტური უპირატესობები, რომელთაც უნდა უზრუნველყოს კაპიტალიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვება. ესაა — ახალი ტიპის მუშაკის ჩამოყალიბების პროცესი ყოველმხრივი დემოკრატიზაციის, მშრომელთა მართვაში მონაწილეობის გაზრდითა და ა. შ. გზით. ესაა — წარმოების სოციალისტური ტიპის ჩამოყალიბება — შრომის გეგმაზომიერი კოოპერაცია ს/ზოგადოების მასშტაბით, რაც კაპიტალიზმისათვის მიუღწეველია. ესაა — სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის შესაძლებლობები. ესაა — სოციალისტური წარმოების მიზნის მასტიმულირებელი როლი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების უფრო რაციონალურ ორგანიზაციას. ესაა — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დგება მეორე დებულების გაგების საკითხი. სკკპ პროგრამაში წერია: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ტექნიკასა და ტექნოლოგიაში ძირეული გარდაქმნების, მთელი ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გამოყენების საფუძველზე უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, ურომლისოდაც, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა „კომუნიზმზე საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვლა შეუძლებელია". უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევის გზაზე მომავალ თხუთმეტწლეულში დიდმნიშვნელოვან მიზნად არის დასახული მისი 2,3-2,5-ჯერ გაზრდა" (სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ. 220). რატომაა საპროგრამო ციფრები, 2,3-2,5 და არა 2,7, ან 2,9? იმიტომ, რომ 2,3 და 2,5 გამოხატავს ერთი მხრივ, იმ მინიმუმს რომელიც საჭიროა საუკუნის ბოლოს ეკონომიკის თვისობრივად ახალი ეტაპის მიღწევის უზრუნველსაყოფად, როცა წარმოების მთელი ზრდა უზრუნველყოფილი იქნება უცვლელი, ან შემცირებული შრომითი რესურსების საფუძველზე და მეორე მხრივ, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

„მრგვალი მაგიდის" შედეგები შეაჯამა აკად. ა. გუნიამ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში იშვიათია ასეთი შეხვედრები, დისკუსიები. მათ კი დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, როგორც ევრისტიკული, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით. ამიტომ მომავალში უფრო ხშირად უნდა ჩავატაროთ ასეთი შეხვედრები, გავზარდოთ მის მონაწილეთა რიცხვი და წარმომადგენლობის გეოგრაფია.

ДИСКУССИЯ ПО АКТУАЛЬНОЙ ТЕМЕ ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИИ

Резюме

В Институте экономики и права по инициативе Координационного научного совета по проблемам экономики АН Грузинской ССР было проведено заседание «круглого стола» на тему: «Теоретические основы роста производительности общественного труда и эффективности общественного производства региона на этапе развитого социализма в свете решений XXVII съезда КПСС». Во встрече за «круглым столом» принимали участие акад. А. Гуния, доктора экон. наук Г. Адеишвили, Н. Хурцидзе, Л. Чикава, кандидаты экон. наук М. Джибути, Д. Диасамидзе, М. Гвелесиани, Т. Чикваидзе, Д. Якобидзе.

Главной темой беседы стала проблема соотношения исторических процессов развития общественно-экономических формаций и уровня производительности труда.

Было заострено внимание на месте и роли проблемы производительности труда в концепции ускорения. Специально обсуждался вопрос конкретизации общих закономерностей в региональной экономике.

Акад. А. Гуния, подытоживая работу «круглого стола», особо отметил плодотворность таких встреч и целесообразность их проведения в будущем.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПОЛИТЭКОНОМИЧЕСКИЙ АНАЛИЗ АКТУАЛЬНОЙ ПРОБЛЕМЫ

РЕЦЕНЗИЯ НА КНИГУ Т. А. БЕРИДЗЕ «ЭФФЕКТИВНОСТЬ РЕГИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ». «МЕЦНИЕРЕБА», ТБИЛИСИ, 1987, 80 стр.

Рассматриваемая работа относится к числу тех, которые одновременно и легко, и сложно рецензировать. Легко потому, что поднимаемая автором проблема не исследована и, значит, в любом случае интересна. Сложно, так как неизученность политической экономией вопросов, связанных с определением эффективности региональной экономики, региональной тематики вообще, а значит, отсутствие здесь готовых схем делает многие положения книги спорными, не всегда ясными, а логику изложения не до конца строгой. Однако эти замечания, видимо ,будут справедливыми для любой работы, в которой поднимаются новые проблемы. В этом, на наш взгляд, сила и научная значимость таких публикаций. Поэтому в дальнейшем мы не считаем нужным останавливаться на подобного рода замечаниях, а сделаем попытку рассмотреть, что автор сделал и что ему предстоит еще сделать при разработке выбранной им и вне всякого сомнения интересной и практически важной темы.

Т. А. Беридзе прав, замечая, что до сих пор большинство специалистов изучают лишь материально-вещественные или технико-экономические моменты затрагиваемой проблемы (с. 3). Отсюда и сложность задачи, стоящей перед автором. Как это не покажется парадоксальным, ему требовалось доказать, что исследование региональных вопросов есть предмет политической экономии. Сказанное определило и цель работы, которая сформулирована как раскрытие «политэкономического содержания региональной эффективности общественного производства», обоснование «методологических принципов построения системы показателей региональной эффективности», раскрытие «особенностей планового управления эффективностью региональной экономикой» (с. 5).

Система доказательств автора строится на том, по нашему мнению, верном постулате, что производственные отношения социализма многоструктурны и одним из структурных уровней последних являются регионы. Этот структурный уровень (подсистема) выполняет собственную, ему адекватную функцию, а оценка эффективности выполнения этой задачи требует оценки, обеспечивающей учет специфики происходящих в регионе процессов и целей его развития (с. 38 и др.).

Верным нам представляется и утверждение автора, о наличии региональных особенностей проявления экономических законов (с. 4), об особенностях проявления на рассматриваемом уровне социалистических производственных отношений (с. 21). Справедливо и то, что как субъект производственных отношений регион выступает в качестве сложного, ассоциативного организма, поскольку в его границах мы сталкиваемся с целой совокупностью интересов различных субъ-

ЭКЗЕМПЛЯР
ЗАПРЕЩЕНО

ектов хозяйствования (с. 18). Таким образом, регион решает как бы две группы задач: по выполнению своих функций в рамках общественного разделения труда и по удовлетворению собственных потребностей (с. 72), т. е. он несет двойную нагрузку. И в этой связи, видимо, действительно правильно говорить о том, что регион есть образование более сложное, нежели отрасль (с. 16).

Все эти вопросы так или иначе затрагивались уже в научной литературе. Но заслуга автора нам видится в том, что ему удается свести их (пусть и не всегда удачно) воедино, составить методологическую цепочку, позволяющую теоретически подойти к определению эффективности развития региональной экономики в ее увязке с долговременными интересами общества. Т. А. Беридзе удается, как мы полагаем, продвинуться вперед если не по пути сообразования интересов общества, регионов и отраслей, то уж, во всяком случае, в направлении понимания того, как эти интересы совместить.

Но (и это нельзя не отметить), задача решена не полностью. Автор верно замечает, что «эффективность хозяйствования на уровне региона не адекватна арифметической сумме слагаемых эффективности работы ее звеньев» (с. 65). С такой постановкой можно только согласиться. Но тогда должен иметь место единый (для данного региона), региональный субъект хозяйствования, с позиции которого (помимо общества) эта эффективность должна определяться. Автор же пытается выйти на ответ на данный вопрос опять-таки через оценку эффективности регионального производства (см., напр., с. 46—49), с чем мы лично согласиться не можем. В свою очередь, такая логика рассуждений заставляет Т. А. Беридзе принципиальнейший вопрос о конечных целях развития региона и о региональном субъекте хозяйствования перенести в конец книги. В итоге невольно получается, что не эффективность определяется конечными целями, а цели — эффективностью. Причем важно отметить, что сами рассуждения автора противоречат такому выводу, но построение изложения его подтверждает.

В свою очередь названный недостаток способствует известному упрощению понимания специфики действия объективных экономических законов на региональном уровне (с. 29—33). При этом хотелось бы все-таки заметить, что, несмотря на известную методологическую слабость книги в исследовании этого вопроса, его «скомканность», сделанная Т. А. Беридзе попытка разобраться в нем может быть записана ему в актив.

Особое внимание следует обратить на понимание автором вопроса самостоятельности региона (с. 59 и след.). Проблема эта находится в непосредственной связи с задачами регионального воспроизводства и функционированием регионального субъекта хозяйствования. Согласно концепции, регион не является обособленным хозяйствующим субъектом, а критерии оценки эффективности его развития едины с народнохозяйственными (с. 61), так как регион, по мнению автора, есть образование государственное (с. 60).

С последним утверждением мы полностью согласны. Но из него еще не следует факт самостоятельности региона. Каковы, например, экономические источники местничества? До сих пор считается, что таковых нет вообще, а местничество есть порождение лишь надстроечных явлений. Думаю, что это не так. Местничество имеет такую же мощную (но не аналогичную) экономическую базу, как и ведомственность. А если это так, то регион не только самостоятелен, но и обособлен экономически.

Из сказанного следует и другой вывод. Автор склонен отнести к регионам только республики (с. 60). Но, во-первых, местничество проявляется, начиная с района. Во-вторых, республика есть образование, сформированное в первую очередь и главным образом по национальному признаку. Наконец, в-третьих, в работе идет речь об экономической эффективности регионального развития и сам автор на с. 65, рассматривая особенности функционирования региона, анализирует проблемы, проявляющиеся и на уровне района, и на уровне области.

В этой связи представляется правомерным говорить о том, что происходящие на региональном уровне процессы по своей сложности близки к общенародным, но все же не равны им. Значит, и критерии оценки эффективности регионального развития не аналогичны тем, которые применимы на уровне ЕНХК.

Завершая рецензию, хотелось бы отметить, что высказанные выше критические замечания говорят лишь о том, что проблема требует своего исследования не только автором рецензируемой работы, но и другими политэкономами, которые, к сожалению, по большей части склонны ее игнорировать. Что же касается книги тов. Т. А. Беридзе, то она, вне всякого сомнения, будет интересна читателю, поскольку вносит свой вклад в исследование проблемы, имеющей огромное теоретическое и практическое значение.

Валентей С. Д.
к. э. н., ст. н. с.
ИЭ АН СССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი

1986 წლის 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე ქ. თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბაზაზე მიმდინარეობდა საერთაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო თათბირი: „სკკპ XXVII ყრილობა და სოციალიზმის ეკონომიკის თანამედროვე ანტიმარქსისტული კონცეფციების კრიტიკის გაღრმავების აქტუალური პრობლემები". მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები.

თათბირის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ა. თავხელიძე.** თათბირი გახსნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა **ე. პრიმაკოვმა.** მან აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესი უშუალო ზემოქმედებას ახდენს სოციალიზმის ბურჟუაზიული თეორიების ანალიზისა და კრიტიკის ხასიათსა და მიმართულებებზე, ამავე დროს, რეალური სინამდვილე მოითხოვს შემოქმედებითად განვავითაროთ სოციალიზმის თეორია, გაბედულად გავთვისუფლდეთ მოძველებული და დოგმატური შეხედულებებისაგან. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოციალიზმის პოლიტეკონომიური პრობლემების დარგთაშორის კვლევას, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის მიერ დაგროვილი ახალი ცოდნის გამოყენებას კვლევაში. ასეთ პრობლემებია: ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის თანაფარდობა ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმში; ბაზრის და საკრედიტო-ფულადი ინსტრუმენტების როლი გეგმიან მეურნეობაში; შრომის სოციალისტური დანაწილება, მისი ხარისხი და ანაზღაურება, ინიციატივის გამოვლენის სტიმულები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა **ა. გუნიამ** პლენარულ სხდომაზე მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ ბურჟუაზიული შეხედულებების კრიტიკის გააქტიურების თაობაზე. ბურჟუაზიული ეკონომისტები ამ შემოხვევაში იყენებენ ერთი და იგივე ხერხს, რომელიც ეწინააღმდეგება ნამდვილად მეცნიერული კვლევის მოთხოვნებს: ისინი, როგორც წესი, აანალიზებენ მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარების მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებს და ამავე დროს მათ ისეთნაირად განმარტავენ, თითქოს ეს ცალკეული ნეგატიური მოვლენები საერთოდ სოციალისტური სისტემისათვის იყოს დამახასიათებელი.

ე. მ. დ. **ი. ოლსევიჩმა** (სსრკ მეცნიერებათაა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი) აღნიშნა რომ სადღეისოდ სოციოლოგიების საქმიანობა მიმართუ-

ლია უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის „კრიზისის“ დასაბუთებისაკენ, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შინაარსისა და მიზნების ფალსიფიკაციისაკენ. ამასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება: პირველი მიმართულების ავტორები „ვერ ამჩნევენ“ ყრილობის მიერ მიღებულ ნოვატორულ გადაწყვეტილებებს და ამის საფუძველზე აცხადებენ, რომ მათი განხორციელება არარეალურია; მეორე კონცეფციის მომხრეები აღიარებენ დასახული მიზნების მხოლოდ ნაწილობრივად შესრულების შესაძლებლობას, ამასთან შენარჩუნებული იქნება „სხვაობა“ დასავლეთსა და აღმოსავლეთის შორის; მესამე კონცეფციით ყრილობის მიერ დასახული გარდაქმნების სიახლე და ფუნდამენტურობა აღიარებულია, მაგრამ მათი განხორციელება ეშვს ქვეშ არის დაყენებული; ბოლოს, მეოთხე კონცეფციის მომხრეები ცდილობენ დაახასიათონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები როგორც სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევა საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით. ბურჟუაზიულ „სოციალიზმისმცოდნეობაში“ გაბატონებულია პირველი ორი კონცეფცია, რომელთაც თან ახლავს მეცნიერულად და პრაქტიკულად ყოველად უსაფუძვლო კაპიტალიზმის „რევოლუციონურობის“, თავისუფალი წარმოების აპოლოგია.

პროფ. **ტ. ტრენდაფილოვმა** (ბულგარეთი) კრიტიკულად გააანალიზა უახლესი ტენდენციები სოციალიზმის ბუნების შესახებ ანტიკომუნისტურ დისკუსიაში. ბურჟუაზიული იდეოლოგების ერთ-ერთ მთავარ დებულებად კვლავ რჩება დებულება იმის შესახებ, რომ სოციალიზმი თავისი ბუნებით თითქოს არადემოკრატიული საზოგადოებაა. ამიტომ სადღეისოდ ფრიად პოპულარული გახდა „ჰუმანისტური ტიპის სოციალიზმის კონცეფცია“. სოციალიზმს ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნები საფუძველს აცლიან ამგვარ კონცეფციებს.

პროფ. **გ. ჰოლაიმ** (პოლონეთი) თავის მოხსენებაში დაახასიათა სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული კონცეფციის ნეონაროდნიკური ვერსია. პროფ. **ა. ბიონნშმა** საფუძვლიანად გაშუქა ევროპის უშიშროების პოლიტეკონომიური ასპექტები, პროფ. **დ. მარკუშმა** (უნგრეთი) — სოციალიზმის „უნგრული მოდელის“ ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკის საკითხები, **ვ. ლებედზინსკიმ** (პოლონეთი) — კათოლიციზმის დოქტრინის უახლოესი ეკონომიკური კონცეფციების კრიტიკის აქტუალური საკითხები.

მუშაობდა სამი სექცია. პირველ სექციაში („სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ანტიმარქსისტული კონცეფციების კრიტიკა“) მოხსენებით გამოვიდნენ: ე. მ. კ. **თ. ჩიკვაიძე** (სსრკ), პროფ. **მ. შესტაკოვა** (ჩეხოსლოვაკია) , პროფ. **ა. ულმასოვი (სსრკ)**, ე. მ. კ. **ა. ფედოტოვი**, ე. მ. კ. **მ. მაშინა**, ე. მ. კ. **ო. ლაბეცი**, ე. მ. კ. **ი. პეტროვსკაია**, ე. მ. კ. **მ. ალიმბაევა**, (სსრკ), პროფ. **ვ. ლებედზინსკი**, (პოლონეთი) და სხვები.

მეორე სექციაში („სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა“) მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. **ს. ხავინა**, (სსრკ), პროფ. **ლ. ჩიქავა**, (სსრკ), პროფ. **ჰ. ბეხარი** (ბულგარეთი), პროფ. **ა. კრედისოვი**, **პროფ. ს. მოჩერნი**, ე. მ. კ. **ე. რუდიკი**, ე. მ, კ, **ჩ, ჯ[illegible]ი**, ე. მ. კ. **ნ. ზახაროვა** (სსრკ) და სხვები.

მესამე სექციაში („სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება თანამედროვე ეტაპზე ბურჟუაზიული კლასიფიკაციების კრიტიკა“) მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. **ა. კლიმენტი** (ჩეხოსლოვაკია), პროფ. **ა. სმირნოვი**,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფ. **ნ. პილგული**, პროფ. **ვ. სიკორა**, პროფ. **ნ. კიკვაძე**, ე. მ. კ. **ა. სტულოვი** რკ) და სხვები.

თათბირის მუშაობისას გაიმართა „მრგვალი მაგიდა“: „დაჩქარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და იდეების ბრძოლა“, რომელიც მიპყავდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს **ლ. აბალკინს**. მონაწილეობდნენ: ე. მ. დ. **ა. ხუდოკორმოვი** (სსრკ), პროფ. **ჰ. ჰოლაი**, (პოლონეთი), ე. მ. კ. **ლ. სუპერფინა**, ე. მ. კ. **ო. ლაბეცკი**, ე. მ. კ. **ა. რუზაევა**. ე. მ. კ. **მ. პერეპერი**, ვ. მ. კ. **ი. ვოლკოვი**, ი. მ. კ. **ლ. მატარაძე** (სსრკ) და სხვები.

სექციების მუშაობის თაობაზე ანგარიშგებებით გამოვიდნენ: ე. მ. კ. **თ. ჩიკვაიძე**, პროფ. **ს. ხავინა** და პროფ. **დ. სმირნოვი**.

თათბირმა განიხილა და დამტკიცა სოციალიზმის ეკონომიკის არამარქსისტული კონცეფციების კრიტიკის სფეროში სოციალისტური ქვეყნების 1986-1990 წწ. სამეცნიერო-საკოორდინაციო გეგმა, რომელიც მოიცავს კვლევითი, საგამოცემლო და სამეცნიერო-ორგანიზაციული ხასიათის ასპექტებს.

თათბირმა მიიღო რეკომენდაციები.

თათბირის შედეგები შეაჯამა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა **ლ. აბალკინმა**.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. ენუქიძე**, მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგე ამხ. **გ. ჩოგოვაძე**.

თ. ჩიკვაიძე

613/164
ფასი 85 კაპ.
ინდექსი 76196